ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 10 აგვისტო 1999 №150 (923) | ფასი 50 თეთრი

2

ჭიჭველაშვილი უკვე ალანიელია

„ბათუმს“ ოსებისგან 200 ათას დოლარამდე ერგება

7

თქვენი დოკუმენტები?!



ციურიხში სამხრეთ აფრიკამ, ინგლისმა და მაროკომ ფიფას 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის განაცხადები წარუდგინეს

8

აიაქსი შეცვლებმა დაღუპა



„ფეიენოორდმა“ ჰოლანდიის სუპერთასი მოიპოვა

12

მარტინამ ტახტი დაიბრუნა



კლასიფიკაცია ისევ ჰინგისით იწყება

# ბოსკამპის დიაგნოზი და პროგნოზი:

## დინამოს აგრესია აკლდა! დავრჩები, თუ დინამოელები დარჩებიან

*კიშინიოვში, „ზიმბრუსთან“ წაგებული მატჩის შემდეგ, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელ იოჰან ბოსკამპთან გამოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა. რისი მთქმელი იყო, იერზე ეტყობოდა. განმარტოვებულიყო, თავი ჩაექინდრა, აშკარად ჩანდა, ურთიერთობა არავისთან სურდა, არც აინტერესებდა. თბილისამდე კრინტიც არ დაუძრავს. ასე გახლდათ რამდენიმე დღე. გუშინ კი ბოსკამპი ალაპარაკდა...*

იხილეთ მეორე გვერდი



იოჰან ბოსკამპი

# 6 წლის მერე ლინფილდი ისევ თბილისშია

*წუხელ 3 საათზე ლონდონიდან თბილისში უეფას თასის შესარჩევ ეტაპზე ჩვენებური „ლოკომოტივის“ მეტოქე „დინამოს“ ძველი ნაცნობი ჩრდილოირლანდიური „ლინფილდი“ ჩამოფრინდა*



1993 წლის 18 აგვისტო. ბელფასტის „ლინფილდი“, რომელიც ჩვენს „დინამოსთან“ დამარცხდა, მაგრამ მომდევნო ეტაპზე მაინც გავიდა



# იოჰან ბოსკამპი: დავრჩები, თუ დინამოელები დარჩებიან

— ოო, საშინელ ხასიათზე ვიყავი, რა მექნა, არ ვიცოდი. აბა, კიშინიოვში იმ გუნდთან წაგება იქნებოდა? მას შემდეგ ორი დღე ნორმალურად არ მიძინია. ძალიან განვიცადე, როგორ ვიფიქრებდი, თუ „ზიმბრუსთან" გამოვვარდებოდით.

**— ახლა გუნება გამოგკეთებიათ.**

— ოდნავ, თუმცა მაშინდელი წაგება რომ მახსენდება...

**— სხვა რა გზაა, უნდა გაიხსენოთ. დავიწყოთ თბილისური მატჩით. „დინამომ" კი მოიგო, მაგრამ მინიმალური სხვაობით, ანგარიში მშვიდად ყოფნის საშუალებას არ იძლეოდა. მაშინ კმაყოფილი დარჩით?**

— არც თუ ისე. გაცილებით მეტი გოლის გატანა შეგვეძლო, იმდენი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, კინაღამ მე შევვარდი მინდორზე. კმაყოფილი მხოლოდ აგრესიული თამაშით დავრჩი, მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება არ მივეცით, რაც ბოლოს გოლებშიც აისახა, „ზიმბრუმ" ვეღარ გაგვიძლო, თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ერთი გოლი იქამდე გავუშვით. „დინამოს" რომ პირველს გაეტანა, დარწმუნებული ვარ, მოლდოველებს დიდი ანგარიშით დავამარცხებდით. დაცვის ერთმა შეცდომამ კი რაც მოიტანა, თავად ნახეთ.

**— დაცვა მხოლოდ ერთხელ არ შემცდარა. ის ერთი, უბრალოდ, გუნდს გოლად დაუჯდა. რამდენიმე წუთში მეტოქე დონდტთან კვლავ პირისპირ დარჩა. ბერკოს რომ მაშინ გაეტანა, ახლა რას იტყოდით?**

— ბურთის გაშვების შემდეგ ყველა გუნდი იბნევა და მეტოქეზეა, ამას როგორ გამოიყენებს. „ზიმბრუსაც" მიეცა შანსი მეორე გოლისა, მაგრამ ბედად მეკარემ გადაგვარჩინა. შემდეგ კი „დინამომ" ისე შეუტია, არ არსებობდა, უგოლოდ დავრჩენილიყავით. მთლიანობაში ანგარიში არალოგიკური იყო, შვიდი-რვა ბურთის ნაცვლად, მხოლოდ ორის გატანა შევძელით.

**— საპასუხო მატჩის წინ რას ფიქრობდით?**

— ვიცოდი, გაგვიჭირდებოდა, მაგრამ ხომ გითხარით, იმის წარმოდგენაც მიჭირდა, რომ „ზიმბრუ" პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოგვაგდებდა.

**— თბილისური და კიშინიოვური მატჩები უმთავრესად რით განსხვავდებოდა?**

— „დინამოზე" მეკითხებით?

**— დიახ.**

— მთავარი ის აგრესია გახლდათ, რომელიც გუნდს თბილისში ჰქონდა. კიშინიოვში კი ფეხბურთელები ძალიან ინერტულები იყვნენ. არ ვიცი, მათზე რამ იმოქმედა. ხუთი მოთამაშე თავის ზონას ისე ტოვებდა, თითქოს ქუჩაში დასეირნობდა. ისინი დაზღვევაზეც არ ფიქრობდნენ, სად დარბოდნენ, თავად არ იცოდნენ. შესაბამისად მომენტებიც ვერ შევქმენით საკმარისად, თუმცა მატჩში ერთი შანსი რომ მოგვეცემა, უნდა გამოიყენო. ჩვენ სამჯერ შეგვეძლო ანგარიშის გათანაბრება თავდამსხმელებმა კი კარის ნაცვლად სადღაც დაარტყეს.

**— იმ ხუთ ფეხბურთელში რომლებს გულისხმობთ?**

— არ გეტყვით. სათქმელს, შენიშვნას პირში ვეტყვი ფეხბურთელს. რა საჭიროა, ყველამ გაიგოს?

**— ის ხუთნი ვინ არიან, თქვენი დავალება რომ შეასრულეს?**

— მეკარეზე არაფერს მეკითხებით?

**— რა უნდა გკითხოთ? ვფიქრობ, მან ყველაზე უკეთ გააკეთა თავისი საქმე.**

— იმ დღეს დონდტი მართლაც საუკეთესო იყო.

**— მაშ, დანარჩენებზე თქვით. ჩამოთვალეთ ის ხუთი ფეხბურთელი.**

— არ ჩამოვთვლი. ისე, რომ იცოდეთ, მათგან ერთმა უკვე დატოვა „დინამო".

**— დე სოუზაზე ამბობთ?**

— ...

**— გვითხარით...**

— ჭიჭველიშვილი. მან კიშინიოვში კარგად ითამაშა. დონდტისა და ჭიჭველიშვილის დამსახურებაა, მასპინძლებმა მეტი რომ ვერ გაგვიტანეს.

**— ახლა მთავარს გკითხავთ. უჩვეულოდ რატომ განალაგეთ ფეხბურთელები. სქემა „დინამოსთვის" ცოტა უცნაურიც იყო...**

— სხვათა შორის, ბევრმა მკითხა ამის თაობაზე. თავიდანვე შემტევი ფეხბურთის თამაში გვქონდა გადაწყვეტილი და ამიტომაც დე სოუზასა და აშვეთიას, ხომერიკი მივახმარეთ. მატჩი ფაქტობრივად სამი თავდამსხმელით დავიწყეთ, ამათ შემტევი ნახევარმცველი გიგიაძეც დაუმატეთ და ოთხი გამოვა. წმინდა ფორვარდი კი მხოლოდ დე სოუზა იყო, დანარჩენი სამი ბურთის დაკარგვისთანავე უკან უნდა დაბრუნებულიყო. გიგიაძე სიჭინავასა და კიკნაძეს შუაში უნდა დახმარებოდა, ხომერიკ-აშვეთიას ფლანგები უნდა გაეძლიერებინათ. ვერ ასწრებდნენ. გიგიაძე და აშვეთია ამიტომ შევცვალე.

**— ალექსიძე რატომ არ შეცვალეთ? „დინამოს" კართან თითქმის ყველა ხიფათი ხომ მარცხნიდან შეიქმნა?**

— საწყისი ნახევარი საათი კიშინიოველი დოდულის გადამკიდეს ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მერე ყველაფერი გამოსწორდა, მას შემდეგ მასპინძელსაც ბევრი არაფერი გაუკეთებია. შესვენებაზე ალექსიძეს ვუთხარი, შეტევებში უფრო თამამად ჩართულიყო, დავალება კარგად შეასრულა.

**— დე სოუზა რატომ ათამაშეთ?**

— ყველაზე მეტი მომენტი სწორედ მან შექმნა.

**— მეტს არაფერს გვეტყვით?**

— უხერხულია. ის დინამოელი აღარ არის. ახლა იოლია, ყველაფერი მას დავაბრალოთ.

**— რატომ წავიდა „დინამოდან"?**

— არ ვიცი.

**— „ზიმბრუს" ყველაზე სახიფათო ფეხბურთელის ეპურეანუს მეურვეობა ვის დაავალეთ?**

— კიკნაძეს, სიჭინავას და დიდავას ეპურეანუს წინააღმდეგ თამაშისას ერთმანეთი უნდა დაეზღვიათ. მათ გარდა რომელ ფლანგზეც მოლდოველი გადაინაცვლებდა, იქით მოთამაშე მცველის იმედად ვიყავით. მცველს ეს სამეული უნდა დახმარებოდა და „ზიმბრუს" ნახევარმცველი შუაში მოექციათ. ეპურეანუს გასაუვნებლად ზონური დაცვა ვარჩიეთ.

**— ეგებ პრესინგი სჯობდა? მისი თამაშიდან გათიშვა ერთი რომელიმე ფეხბურთელისთვის რომ დაგევალებინათ...**

— გურჩა რომ ფორმაში ყოფილიყო, მასზე უკეთ ეს არავის ეხერხება. ფეხბურთელი არ მეგულება, გურჩა აედევნოს და მეტოქემ რაიმე გააწყოს. „ზიმბრუსთან" თუ ვინმე გვჭირდებოდა, პირველყოვლისა გურჩი. სამწუხაროდ, კიშინიოვში ეპურეანუს ჩვენებმა ვერც ერთი ორთაბრძოლა ვერ მოუგეს.

**— მატჩის რომელ მონაკვეთში ითამაშა „დინამომ" ისე, თქვენ რომ გსურდათ?**

— საწყის ხუთ წუთში. მერე ყველაფერი აირია. როგორც დავიწყეთ, ისე რომ გაგვეგრძელებინა, დარწმუნებული ვარ, მოვიგებდით.

**— თქვენი ყველაზე დიდი შეცდომა რა იყო?**

— ბევრჯერ შევმცდარვარ. ყველანი ხომ შეცდომებზე ვსწავლობთ. უშეცდომო ცხოვრებაში არავინაა...

**— ცხოვრებაზე არა, კონკრეტულ თამაშზე გეკითხებით.**

— აბა, არც ამას გეტყვით. შეიცვლება რამე თუ... საკუთარ შეცდომებზე არ ვლაპარაკობ.

**— და მაინც. რატომ დამარცხდა „დინამო" „ზიმბრუსთან"?**

— ხომ გითხარით, კიშინიოვში ფეხბურთელებს აგრესიულობა აკლდათ, უფრო სწორად, ხუთ ფეხბურთელს. უმთავრესი ეგ იყო.

**— ბოლოს თქვენს მომავალზე გვითხარით. როდემდე დარჩებით „დინამოს" მწვრთნელად?**

— არ ვიცი, კლუბის ხელმძღვანელობა უკეთ გიპასუხებთ. კონტრაქტი კი ნოემბრის დამლევამდე მაქვს.

**— კონტრაქტის გაგრძელება რომ შემოგთავაზონ?**

— გააჩნია... თუ ფეხბურთელები „დინამოში" დარჩებიან, მეც დავრჩები. ამ ბიჭებთან ერთად წარმატებების მიღწევის იმედი მაქვს.

ჭობა ინასარიძე

# ოსთა ახალი ქართველი

## ჭიჭველიშვილი 200 000 დოლარამდე ღირს

*ვლადიკავკაზის „ალანიაში" მეოთხე ქართველი — ეროვნული გუნდის მცველი დავით ჭიჭველიშვილი ითამაშებს. ეს ამბავი წუხელ საბოლოოდ გადაწყდა, „ალანიამ" დათოს სანაცვლო თანხაც გვერდზე გადადო. ყველა სხვა საკითხიც მოგვარებულია. ოსთა ახალი ქართველიც უკვე ვლადიკავკაზშია, გუშინ ვალერი გაზაევის ხელმძღვანელობით პირველად ივარჯიშა და მოგვიანებით ჩვენც გაგვესაუბრა:*

— უკვე „ალანიას" ფეხბურთელად ჩამთვალეთ — გვითხრა დათომ — მართალია, ჯერ კონტრაქტზე ხელი არ მომიწერია, მაგრამ ყოველ წუთს ველი, როდის დამიძახებენ. საკითხავი ისღაა, რამდენ ხანს დავრჩები ვლადიკავკაზში. ან ერთს პლუს ერთწლიან კონტრაქტს გავაფორმებ, ანაც ორიანს. პირადად ორწლიანი მირჩევნია.

**— ამბობენ, გაზაევმა ჭიჭველიშვილი ისრაელში გაყიდული ქუტაუტასის შემცვლელად შეიგულაო. შენ რა გითხრა?**

— დიდხანს არ გვილაპარაკია. მითხრა, კმაყოფილი ვარ, რომ შევთანხმდით და ალანიელი ხარო. არც ის უთქვამს, როდის მათამაშებს.

**— უახლოესი მატჩი შაბათს გაქვთ.**

— ალბათ ძირითადში ვიქნები, თუმცა ვნახოთ. აქაური ქართველების თქმით, საბოლოო შემადგენლობას გაზაევი მატჩის დილას ასახელებს.

**— პირველმა ვარჯიშმა ნორმალურად ჩაიარა?**

— ყველაფერი კარგადაა. ეგაა, თავს ოდნავ გადაღლილად ვგრძნობ, „დინამო" — „ზიმბრუს" მატჩის შემდეგ ძალები ბოლომდე ვერ აღვიდგინე. მგონი, ეს გაზაევმაც შემატყო.

**— ისე, ბოსკამპის გაწვრთნილსა და მოსკოვის „სპარტაკში" ნავარჯიშევს „ალანიას" დატვირთვებთან შეგუება არ უნდა გაგიჭირდეს.**

— ვნახოთ. არა მგონია. მარტო „სპარტაკის" ფიზიკური დატვირთვები რად ღირს. რომანცევის საწვრთნელ მეთოდს თუ გავუძელი, ალბათ, არც აქ მომეკვეთება მუხლები...

*დავით ჭიჭველიშვილის სანაცვლოდ რამდენს გადაუხდის ვლადიკავკაზური კლუბი ჩვენებურ „ბათუმს", რომელსაც ერგება კიდეც ჭიჭველიშვილის ტრანსფერის სანაცვლო თანხა, ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ. თუმცა ვიცით — როცა დათო მოსკოვის „სპარტაკში" ვარჯიშობდა, „ბათუმი" რუსებისგან დაახლოებით 200 ათას დოლარს ითხოვდა. არა გვგონია, „ალანია" ფინანსურად „სპარტაკს" ბევრად ჩამორჩებოდეს.*

ჭობა ინასარიძე



დავით ჭიჭველიშვილი (მარცხნივ) და ალექსანდრე კაიდარაშვილი

# სპარტაკმა ფოცხვერიას კანიშჩევი არჩია

დონეცკის „შახტარის" ქართველ ფორვარდ — მიხეილ ფოცხვერიას მოსკოვის „სპარტაკში" გადასვლა გამოირიცხა. ჩემპიონთა ლიგაში ბელგრადის „პარტიზანთან" შეხვედრამდე „სპარტაკის" ხელმძღვანელობა ორ თავდამსხმელთან — ქართველ მიხეილ ფოცხვერიასთან და ბულგარელ გეორგი ბაჩევთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. „სპარტაკში" თავდამსხმელის პრობლემა მას შემდეგ გაჩნდა, რაც გუნდიდან სერგეი იურანი წავიდა.

ბაჩევის გადაყვანა კვირას გამოირიცხა. როგორც აღმოჩნდა, ფეხბურთელს სოფიის „სლავიას" გარდა კონტრაქტი კერძო სააგენტოსთანაც ჰქონია, რომელმაც ბაჩევის გაყიდვის უფლება ესპანურ სააგენტოებს მიჰყიდა.

აი, ფოცხვერიას კი რომანცევმა მოულოდნელად „ალანიიდან" გამოქცეული ანატოლი კანიშჩევი ამჯობინა. ევროთასებზე სპარტაკის №25 მაისურას სწორედ კანიშჩევი ჩაიცვამს.

ფოცხვერიას ტრანსფერს კი ხელი ძირითადად იმ ტრავმამ შეუშალა, რომელიც ქართველს თამაშის საშუალებას ახლაც არ აძლევს.

სიმონ მენაბდე

# ლინფილდი აქაა, ლოკომოტივმა კი ნომრები ჩამოარიგა

მას შემდეგ, რაც ევროთასებზე ფოთის „კოლხეთის“ შემდეგ „დინამოც“ შეგვირცხვა, ქართული ფეხბურთის ქომაგთ იმედად „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“ დარჩათ, იქნებ ამათ მაინც მოსწმინდონ ჩირქი დავრდომილ ქართულ ფეხბურთს, თორემ ამდენი საშვილიშვილო წაგება-შერცხვენით გასკდა გული და ეგაა.

...გუშინ გვიან ღამით თბილისის აეროპორტში ლაინერი დაეშვა, რომელმაც ლონდონიდან ჩრდილოირლანდიული ბელფასტის „ლინფილდის“ დელეგაცია ჩამოიყვანა — ფეხბურთელები, მწვრთნელები, კლუბის ხელმძღვანელები და ჟურნალისტები.

დიახ, 6 წლის შემდეგ „ლინფილდი“ კვლავ ესტუმრა თბილისს. ალბათ გახსოვთ, მათი პირველი სტუმრობა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ევროთასებზე დებიუტს რომ დაემთხვა. მაშინდელი „დინამო“ — „ლინფილდის“ მატჩს რა სკანდალიც მოჰყვა, ისიც გემახსოვრებათ.

თუმცა დღეს სხვა ვითარებაა — დებიუტანტები „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები არიან.

...აეროპორტში საბაჟო ფორმალობების გავლის შემდეგ „ლინფილდმა“ გეზი სასტუმრო „შერატონისკენ“ აიღო.

როგორც ჩანს, ჩრდილოირლანდიელები თბილისს მეორედ მართლა სერიოზული მიზნებით ეწვივნენ, თორემ თამაშამდე სამი დღით ადრე ალბათ არ ჩამოვიდოდნენ.

ჩვენს სტუმრებზე ხვალინდელ „სარბიელში“ მოგითხრობთ, ამჯერად კი „ლოკომოტივზე“ მოგახსენებთ. თბილისური გუნდი უეფას თასისთვის და ჩემპიონატისთვის ყვავილნარში ემზადებოდა. საკონტროლო მატჩების შემდეგ რკინიგზელთა თავკაცი მურთაზ ხურცილავა გუნდის მომზადების დონით ერთობ აღფრთოვანებული და კმაყოფილი დარჩენილა, ბიჭები ბდღვნიან ყველაფერსო.

...ვინც ახლა მყავს, მათი იმედი მექნება ჩემპიონატშიც. რა თქმა უნდა, სეზონისთვის თუ დაგვემატებიან, ურიგო არ იქნება. მით უმეტეს, რამდენადაც ვიცი, სურვილი ბევრს აქვს...

...ყვავილნარში რამდენად ნაყოფიერად მოვემზადეთ, „ლინფილდთან“ მატჩში გამოჩნდება. მთავარია, გუნდი მზადაა საბრძოლველად...

სამწუხაროდ, „ლინფილდის“ შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გამაჩნია. ფაქტობრივად უცნობ გუნდს ვეთამაშებით. რა თქმა უნდა, მათ წინასამატჩო ვარჯიშებს კი დავესწრები და მნიშვნელოვანს ჩავინიშნავ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ჩემი აზრით, მაშინდელი „ლინფილდი“ და დღევანდელი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა ერთს ალბათ არ შეცვლიდნენ, ისინი ხომ ბრიტანული სტილის მიმდევრები არიან...

...ყვავილნარში ყველანაირი პირობა გვქონდა მოსამზადებლად. ფაქტობრივად, რაც ჩაფიქრებული მქონდა, ყველაფერი გავაკეთე. ახალწვეულების მომზადების დონითაც კმაყოფილი ვარ. ბიჭები ამხანაგურ მატჩებშიც კარგად წარმოჩინდნენ...

...გვინდოდა, დავითნიძე და არსოშვილი ჩვენთან დარჩენილიყვნენ, გადაწყვეტილიც კი იყო, მაგრამ მათმა გუნდებმა — „ნივამ“ და „შერიფმა“ პრობლემები შეგვიქმნეს, ყველაფერზე თითქოსდა შეთანხმებულნიც ვიყავით, მოულოდნელად კი რაც მოხდა, თავადაც იცით...

...რა თქმა უნდა, შეგვეძლო საზღვარგარეთ გაგვეარა შეკრება. იქ იქნებ უკეთაც მოვემზადებულიყავით, მაგრამ თავად ვარჩიე აქ დარჩენა. მაინც ახალი გუნდია და შევსებასაც ნელ-ნელა ვილებდით. სრული შემადგენლობით ვარჯიში ფაქტობრივად ბოლოსკენ შევძელით, მანამდე კი გუნდის დაკომპლექტება, მოთამაშეთა შერჩევა მიხდებოდა...

...ჩომახიძეზე ალბათ იცით, შოთა ჩვენთან მხოლოდ ვარჯიშობდა და ისიც სრული დატვირთვით არა, იგი უცხოეთში აპირებდა წასვლას, მერე კი ეს საქმეც ჩაეშალა და დავიყაბულეთ. ასე რომ, ჩომახიძე ჩვენთანაა და, ალბათ, ჩემპიონატშიც დაგვეხმარება...

...ამ გუნდში დიდ პოტენციალს ვხედავ, ხომ გაგიგიათ, აღდგომა და ხვალეო. ვნახოთ, 12-ში რა იქნება. ერთი კია, თავის შერცხვენას ნაღდად არ ვაპირებთ, გვინდა ქომაგი ლამაზი და შთამბეჭდავი გამარჯვებით გავახაროთ. მე ამის მჯერა.

ეს გვითხრა მურთაზ ხურცილავამ, როცა წინასამატჩო პერიპეტიებზე დავეკითხეთ.

ამასობაში კი „ლოკომოტივმა“ მისამართი შეიცვალა. დიდი არაფერი მომხდარა, უბრალოდ, საკუთარ საწვრთნელ ბაზას, „შევარდენის“ სტადიონის ხასხასა მინდორი ამჯობინა და „ლინფილდთან“ საპაექროდ იქვე ემზადება.

მურთაზ ხურცილავამ გვითხრა, ახალი გუნდი გაკეთდაო, ამაში კი თავადაც დარწმუნდებით, როდესაც შემადგენლობას გადაავლებთ თვალს, „ლოკომოტივში“ ძველები მხოლოდ — ჯანელიძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, ბარნოვი, ჩიხრაძე, კაციაშვილი, მელქაძე და წივწივაძე არიან, დანარჩენები — ასლანაძე (სამგურალი), ივარდავა (მეგრი), მიქაძე (დინამო), გველესიანი (არსენალი), განევი (გურია), ბარამიძე (ლარწყალი), გოგიჩაიშვილი (დინამო), ჩაჩუა (აკადემია), ქობულაძე (კოლხეთი), ჩომახიძე (დინამო), შავგულიძე (კოლხეთი), ქებაძე (დინამო) და რუსია (ბათუმი) — „ახალი სისხლია“.

ისე, აფერუმ ხურცილავას, თუ მართლა ამდენი ხალხი ისე შეათამაშა ერთმანეთში...

უეფას თასის შესარჩევი მატჩი თბილისის „ლოკომოტივსა“ და ბელფასტის „ლინფილდს“ შორის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 12 აგვისტოს გაიმართება და საღამოს 7 საათზე დაიწყება. უეფამ ამ მატჩის განსჯა ესპანელ მსაჯებს დაავალა: ედუარდო იტურალდე გონსალესი (არბიტრი), ლუის ნუნიეს ლოპესი, ხოსე ლუის მარკოს რონჩერო (თანაშემწეები), ხოსე ხავიერ ლოსანტოს ომარი (სათადარიგო). მატჩის დელეგატია შვეიცარიელი ჟაკ ანტენენი, რომელიც დღეს ჟენევიდან საღამოს ეწვევა საქართველოს დედაქალაქს.

ერთი სიტყვით, 12-ში „ლოკომოტივი“ იწყებს. ამ დღესვე, ოღონდ ტალინში, „ტორპედოც“ დებიუტანტობს. დღეს კი... დღეს „ლინფილდი“ ეროვნულზე ივარჯიშებს.

**გიორგი ვაშაკიძე**

## ლოკომოტივის განაცხადი

*მეკარეები:*

1 დავით ჯანელიძე
12 დავით ასლანაძე
30 დავით ივარდავა

*მცველები:*

2 გიორგი ბალაშვილი
3 დავით ბაქრაძე
4 პაატა ბარნოვი
5 გიორგი ჩიხრაძე.
15 ლევან მიქაძე
18 ვახტანგ გველესიანი
28 ალექსანდრე განევი

*ნახევარმცველები:*

6 სოსო ბარამიძე
7 გენადი კაციაშვილი
8 კახა გოგიჩაიშვილი
13 ლევან ჩაჩუა
14 კონსტანტინე მელქაძე
16 მიხეილ ქობულაძე
17 შოთა ჩომახიძე

*თავდამსხმელები:*

9 ლევან ქებაძე
10 ლევან შავგულიძე
11 ჰამლეტ წივწივაძე
21 მამუკა რუსია

# ოცდაორი ჯორჯიელი

ახალი საფეხბურთო სეზონი, ახალი სათამაშო ფორმა, ახალი მწვრთნელები და რამდენიმე ახალწვეული — ასე ხვდება თბილისური „ვიტ ჯორჯია“ მეთერთმეტე ჩემპიონატს.

რა თქმა უნდა, შარშანდელთან შედარებით მიზანიც უფრო განსხვავებული და მაღალია, იდეებიც გაცილებით სოლიდური.

„ვიტ ჯორჯია“ წელიწადნახევრის წინ შექმნილი გუნდია. თუ კლუბის მეპატრონეს საქმეები სწორად მიჰყავს, 18 თვე ის დროა, გუნდმა საფეხბურთო იერარქიაში სერიოზულ ადგილზე იფიქროს. გურამ რუხაძეც ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა აღწევს მიზანს, კლუბი აღმასვლას განიცდის.



ხვიჩა ხართიშვილი

აღდგომა და ხვალეო, ნათქვამია. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიც რამდენიმე დღეში განახლდება და ვეტერინართა ამბიციების სიმტკიცეც მაშინ გამოჩნდება, მაგრამ ერთიც ხომ ფაქტია, მართალია, საქართველოში, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ“ სრულყოფილი მოსამზადებელი ციკლი გაიარა. მწვრთნელ-ფეხბურთელებს დრო უქმად არ დაუკარგავთ. ნორმალური პირობები და ამას დამატებული ოფლისღვრა უნდა გახდეს კლუბის წარმატების საფუძველი — ამტკიცებს პრეზიდენტი.

„ვიტ ჯორჯიამ“ მზადება და დაკომპლექტება დაასრულა. ფეხბურთის ფედერაციასაც ერთ-ერთმა პირველმა წარუდგინა განაცხადი. მასში 22 ფეხბურთელია შეყვანილი. ამ ბოლო დროს ბევრ ორგანიზაციულ და სხვა საკითხებშიც პირველობენ ვეტერინარები. მგონი, არ უნდა ხუმრობდნენ. 22 მოთამაშიდან არც ერთია ნათხოვარ-ნახვეწი და საწვალებელ-სანუგეშებელი. ყველა მათგანს კონტრაქტი აკავშირებს კლუბთან. ისინი ამიერიდან „ვიტ ჯორჯიას“ საკუთრებას წარმოადგენენ.

სანამ მათ ვინაობას გამცნობდეთ, მანამდე ერთსაც მოგახსენებთ. ვეტერინარებმა ადრინდელი შემადგენლობიდან მხოლოდ ორი ფეხბურთელი მოისაკლისეს. კლუბსა და ვასილ მაისურაძის შორის ნათქვამი მართალი სიტყვა არ გატეხილა. ისინი ერთმანეთის კეთილისმსურველებად გაიყარნენ, ხოლო რევაზ ქემოკლიძე „დინამოს“ საკუთრება იყო, იჯარის ვადა გაუვიდა და მიუხედავად ფეხბურთელის და „ვიტ ჯორჯიას“ სურვილისა ერთად ყოფილიყვნენ, მოთამაშეს უკან გაბრუნებამ მოუწია.

ახლა არავისგან ვართ დავალებულიო, გვითხრა გურამ რუხაძემ და მართალიც არის, საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში რამდენიმე გუნდი მოიძებნება, სადაც „ვიტ ჯორჯიადან“ ნათხოვარი ფეხბურთელები თამაშობენ. ფეხბურთელს ვერ გავწირავ, არავითარ შემთხვევაში არ დავამუხრუჭებ. ახლა ვერ ხვდება ძირითადში, გავუშვებ სხვა გუნდში, წავიდეს, თავი გამოიჩინოს, ითამაშოს და მერე დამიბრუნდეს, მირჩევნიაო ამბობს. კლუბის თავკაცი. ამიტომ ენდობიან კიდეც გურამ რუხაძის სიტყვას მწვრთნელ-ფეხბურთელებში და ფეხბურთის ფედერაციაშიც მას პატივისცემით ეპყრობიან.

მაშ ასე, მეთერთმეტე ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯია“ ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს:

*მეკარეები:* სერგო ჭურაძე, დავით მამარდაშვილი

*მცველები:* ირაკლი ბარქაია, ჯაბა მუჯირი, გიორგი ჭანკოტაძე, ხვიჩა ხართიშვილი, ედიკ საჯაია, სერგო თოდუა, გურამ მეტრეველი

*ნახევარმცველები:* კახა ალადაშვილი, ზვიად გვაზავა, დავით დოლიძე, ლაშა ნოზაძე, მიხეილ მაზიაშვილი, ვლადიმერ ქუთათელაძე, ვალერი კოტორაშვილი, დავით დილმელაშვილი

*თავდამსხმელები:* გიორგი ქორიძე, ვლადიმერ გოჩაშვილი, არჩილ ბოკერია, ლევან ხაბულიანი, რევაზ გოცირიძე.

ჩამოთვლილთაგან ასე თუ ისე ყველა ნაცნობია, მხოლოდ ერთის გახსენება გაუჭირდება ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარს. ეს ხვიჩა ხართიშვილია, ვისაც ნორაკიძისეული „ტორპედო“ ახსოვს, არც ხართიშვილის მცველობის გახსენება გაუჭირდება. ცხონებული გიგა ნორაკიძე მასზე დიდ იმედებს ამყარებდა.

თითქმის ხუთი წელი თამაშობდა ხვიჩა რუსულ ჩემპიონატში. საქართველოში კი სტავროპოლის „დინამოდან“ დაბრუნდა. 25 წლის ხართიშვილი ვეტერინართა დაცვის ცენტრს გაამაგრებს.

ჩემპიონატი კი ვეტერინარებისთვის წყალტუბოში იწყება. 14 აგვისტოს საკმაოდ გადახალისებული თასის ფინალისტი მომზადებულ „ვიტ ჯორჯიას“ უმასპინძლებს.

**მამუკა კვანტალიანი**

# სამგურალმა დინამოც გაანადგურა — 3:0, 9:0

მარადი ჩემპიონი აქ არაფერ შუაშია („ზიმბრუსთან“ გაბითურებულს „სამგურალიღა“ აკლდა!?) არადა, მორიგი საკონტროლო მატჩები წყალტუბოელებმა მართლაც „დინამოსთან“ გამართეს. შაბათისთვის ბოლო თასის ფინალისტმა ერთი მეორეჯგუფელიც შეიგულა სპარინგპარტნიორად, იქვე, წყალტუბოში დისლოცირებული გაგრის „დინამო“. რევაზ ბურკაძემ ამ თამაშშიც 20-მდე ფეხბურთელი გამოსცადა. საბოლოოდ კი მისმა გუნდმა იოლ გამარჯვებას მიაღწია — 3:0.

გაგრელებს ბურთები სადილიანმა, ხაჭაპურიძემ და ჭყონიამ გაუტანეს.

გუშინ წყალტუბოელებმა სულ ახალბედა გუნდს, ქუთაისის „დინამოს“ უმასპინძლეს. დიახ, ქუთაისში ერთ დროს პოპულარული კლუბის (საბჭოურ ხანაში საქართველოს სამგზის ჩემპიონი გახდა) აღორძინება ჩაუფიქრებიათ. თუმც ჯერ არავინ უწყის, ხორცს შეისხამს თუ არა ეს იდეა . ენთუზიასტ მწვრთნელ ედუარდ შავგულიძეს თავისივე აღზრდილი 16-18 წლის ბიჭები კი შეუკრებია, ერთი ნორმალური გუნდის ჩამოყალიბების სურვილით, მაგრამ ხომ იცით, სურვილი ერთია და შესაძლებლობა მეორე. კლუბს თუ დამფინანსებელი არ გამოუჩნდა, არაფერი გამოგვივაო — გვითხრა შავგულიძემ.

„სამგურალმა“ არც ჭაბუკ დინამოელებს გაუწია შეღავათი და ცხრა უპასუხო გოლით გააწბილა. ქუთაისელთა კარი ნებიერიძემ, ხაჭაპურიძემ, ძოძუაშვილმა (ორჯერ), ქუთათელაძემ, ლევან ქობულაძემ, ჭყონიამ, ვოსკანოვმა და ესაიაშვილმა დალაშქრეს.

აღსანიშნავია, რომ წყალტუბოელთა რიგებში მეორე ტაიმში ბესიკ ბერაძე გამოჩნდა. „ბონას“ ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცისგან“ „სამგურალში“ განათხოვრების ნებართვა მიულია, ოღონდ ახლა სიტყვა „სამგურალის“ მესვეურებზეა. ბერაძეში, ისევე როგორც წყალტუბოში მოვარჯიშე ხელაძეში, ჭყონიასა და ესაიაშვილში კლუბს 5 ათასამდე დოლარის გაღება მოუწევს.

რევაზ ბურკაძის გუნდში ყოფილმა მერანელმა დავით ჭელიძემაც ითამაშა. ჭელიძე მეათე ეროვნულის პირველ წრეში „სამგურალის“ ღირსებას იცავდა.

**იუზა ქაციტაძე წყალტუბოდან**



ბესიკ ბერაძე (მარცხნივ) „სამგურალში“ ვარჯიშობს

# გორში ისევ შიმშილია

## დილას სოღოლაშვილი გაექცა

არაა „დილას“ საშველი და არ იქნა გორელი ფეხბურთის მესვეურების გამოსწორება. ჯერ ჩემპიონატი არ დაწყებულა და უკვე ფინანსურმა სიდუხჭირემ იჩინა თავი. არადა, თითქოს ეშველათო, „დილას“ ამიერიდან არ მოშივდებაო, ირწმუნებოდნენ გორელი ქომაგები.

თავიდან პირობებს მართლაც არა უშავდა რა, საჭმელიც იყო და ვარჯიშებიც. „დილამაც“ თითქმის ყველა გაქცეული ფეხბურთელი დაიბრუნა, მაგრამ მალევე გათავებულა ფული, მოშიებიათ ფეხბურთელებს და ვარჯიშებიც თურმე კანტი კუნტად ტარდება.

ვეტერანები ახლა სადღა წავლენ და ახალგაზრდებს გაქცევაზე უჭირავთ თვალიო, ბოროტი ხმები მოდის გორიდან.

ყველაზე დიდი დანაკლისი მეკარე რამაზ სოღოლაშვილის წასვლაა. არ ვიცით, რამ გაანაწყენა „დინამოსა“ და ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მეკარე, მაგრამ გორში დაბადებულ-გაზრდილმა შუმახერამ, აქ გამჩერებელი არ ვარო, გუნდიდან გაურკვეველი მისამართით წასულა. მასთან დაკავშირება დღემდე ვერ მოვახერხეთ.

რა ქნან ახლა გორელებმა, სოღოლაშვილი გაიქცა, ილ[illegible]იძე ავადმყოფობს, სამიოდ დღეში ჩ[illegible]იონატი იწყება და კარში ვინ ჩა[illegible]ენონ?

გამოსავლის ძიებაში მდივანი გაახსენდათ. დათო არაერთხელ დახმარებია გასაჭირში მყოფ „დილას“, მაგრამ კარგა ხნის უთამაშებელი და უვარჯიშებელი მეკარე ფორმას როგორ აღიდგენს, საკითხავიც ეს არის.

მოკლედ, გორში ყველაფერი ძველებურადაა. ალბათ, ისევ ენთუზიაზმის ხარჯზე მოუწევთ ფეხბურთელებს ბურთაობა, მაგრამ კოკას რომ წყალი მუდამ ვერ მოაქვს, ესეც ხომ სიმართლეა.

**მამუკა ძვანტალიანი**

# თბილისი — ოთხში პირველი

6 და 7 აგვისტოს რუსთავსა და თბილისში გაიმართა „ოთხთა ტურნირი“. თბილისის „თბილისი“ და „მერანი“, რუსთავის „გორდა“ და საქართველოს მოყვარულთა ნაკრები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. ტურნირი პლეი ოფის სისტემით ჩატარდა — ნახევარფინალებში გამარჯვებულები ფინალის საგზურს ეუფლებოდნენ.

პირველი დღის შეხვედრები რუსთავში, „ფოლადზე“ გაიმართა. მოყვარულებმა და „თბილისმა“ შესაბამისად „მერანი“ და „გორდა“ დაამარცხეს და საბოლოო წყვილებიც შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდა: „თბილისი“ — მოყვარულთა ნაკრები, „გორდა“ — „მერანი“.

გადამწყვეტი მატჩები I და III ადგილებისთვის დიღმის საწვრთნელი ბაზის მინდორზე ჩატარდა. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში „გორდამ“ „მერანს“ მოუგო 2:1. მერე კი ოთარ კორღალიძის „თბილისი“ და ჯონი ჯანელიძის მოყვარულები შეხვდნენ ერთმანეთს.

მასპინძლებმა იმარჯვეს და მოყვარულთა მიერ გატანილ ერთ ბურთს ორით უპასუხეს.

ასე გახდა თბილისის „თბილისი“ თავისი პირველი ტურნირის გამარჯვებული.

**პაატა რურუა**

# თბილისელია, თბილისში უნდა

დიდი ხანი არ არის, რაც გიორგი დავითნიძე საქართველოში დაბრუნდა. ტერნოპოლის „ნივაში“ გიორგის თამაში თითქოს ეჭვს აღარ იწვევდა, ფეხბურთელმა კონტრაქტსაც მოაწერა ხელი და მწვრთნელიც კმაყოფილი ჰყავდა, მაგრამ საბოლოოდ „მერანი“ — „ნივას“ ტრანსფერი არ შედგა და საზაფხულო ბანაკი დავითნიძემ „ლოკომოტივში“ დასცა.

მერე კი კვლავ ქართული ფეხბურთის მარადმა ჭირმა — უფულობამ იჩინა თავი და ტერნოპოლელთა მოთხოვნილი 9000 დოლარი ზუსტად ის თანხა აღმოჩნდა, რომლის გადახდაც რკინიგზელთა საშეფო გუნდს არ შეეძლო.

ჯორჯო თბილისის „თბილისმა“ იხსნა — ერთ დროს თბილისის „დინამოს“ ფარმკლუბმა და უმცროსმა ძმამ გადაწყვიტა, ჯიბე შეემსუბუქებინა და დავითნიძეს უთხრა — შენ ჩემთან მოდი და მოკვდეს „თბილისი“, თუ „ნივას“ შენი თავი დავაჩაგვრინოო.


გიორგი დავითნიძე

**ლუკა თალაკვაძე**

# საზაფხულო მიდი-მოდი

| «ა» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** *იოჰან ბოსკამპი* | ა. მუჯირი, ტულუში (ბათუმი), გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოღოლაშვილი (დილა), კვარაცხელია, ბათიაშვილი (თბილისი), ლ. მიქაძე, გოგიჩაიშვილი, ქებაძე შ. ჩომახიძე (ლოკომოტივი), ჭიჭველიშვილი (ალანია, რუსეთი), მ. მაჭავარიანი, კიკნაძე (?) | ს. გოგიაძე, ვ. გოგიაძე (იბერია), გ. შენგელია (სამგურალი), ჭიჭველიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (თსუ), ლომაია (მერანი), გრიშკაშვილი (ალანია, რუსეთი), დონდუა (ლოკერენი, ბელგია), ზირაქიშვილი (არსენალი), ხიზანეიშვილი, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი) | ქრეფნი (ირლანდია) 0:0, ტაფაზი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, პოჰარლები (პოლანდია) 10:0, რაპიდი (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (პოლანდია) 0:3, შტაინ ვეიდი (პოლანდია) 2:1, კლიმარნიკი (პოლანდია) 2:2, ჰოფენჰაიმი (გერმანია) 8:1, მაინცი (გერმანია) 1:4 |
| **ლოკომოტივი** *მურთაზ ხურცილავა* | ზ. არჩვაძე, შ. ხუჯაძე, დოლაბერიძე (ბათუმი), დ. მუჯირი (მერიფი, მოლდოვა), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი (სიონი), დაუშვილი, ზ. ქოიავა, გ. ლუდუშაური, ვ. კილასონია (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ასლანიძე, (სამგურალი), ვ. გველესიანი (არსენალი), ბარამიძე, (ლარნაკა), რუსია (ბათუმი), გოგიჩაიშვილი, ქებაძე, ლ. მიქაძე, შ. ჩომახიძე (დინამო), ივარდავა (მეგრი), ლ. ჩაჩუა (აკადემია), განევი (გურია) | დილა 0:3, ცხუმი 5:0, თბილისი 2:1, 1:5, მერანი 1:1, იბერია 0:0, ბათუმი 3:1, კოლხეთი 2:1, 2:0 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნევალე* | თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ჭიჭველიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (დინამო), ვერემჩუკი (თბილისი), ნადირაძე (გორდა), რუსია (ლოკომოტივი), მაქაცარია, ყულევიშვილი, გუჯაბიძე, ქუტიძე, ფუტკარაძე (?) | ზ. არჩვაძე, შ. ხუჯაძე, დოლაბერიძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი. ბახტაძე (კოლევი) | ტორპედო 0:4, იბერია 5:1, ლოკომოტივი 1:3, კოლხეთი 4:1, 0:1, 3:0 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | ვ. მაისურაძე (ტორპედო), გ. გვაზავა, ერაძე, ლამბაშიძე, გვირჯიშვილი, თ. ბოკერია (თსუ), ქემოკლიძე (თბილისი), ჭოხონელიძე (კოლხეთი), ი. კაპანაძე (სიონი) | კოტორაშვილი (ლოკომოტივი), გ. მეტრეველი (აკადემია), თოდუა (იბერია), ხართიშვილი (დინამო, სტავროპოლი, რუსეთი), დილმელაშვილი (სამსუნსფორი, თურქეთი), ე. საჯაია, რ. გოცირიძე (თბილისი) | დილა 2:1, 3:4, გორდა 1:1, ცხინვალი 3:2, მერანი 3:0, იბერია 3:1, თსუ 6:4, 1:2 |
| **არსენალი** *დავით ჩახავა* | ზირაქიშვილი (დინამო), ვ. გველესიანი (ლოკომოტივი), ჩიქოვანი (თამაში მიატოვა) | გონჩაროვი (თსუ), კუპატაძე, ვახტანგ გაგუა, კვირკველია, კობრეიძე (არსენალი-2), გუგუნავა (სიონი) | არსენალი-2 4:2, 1:1, აქშაბადი (თურქეთი) 1:0, ტრაბზონსფორი-2 (თურქეთი) 1:1, გირესუნსფორი (თურქეთი) 1:4 |
| **სამგურალი** *რევაზ ბურკაძე* | აფციაური (ერევანი, სომხეთი), მახვილაძე (ტორპედო), ასლანაძე (ლოკომოტივი), ახალაძე (თსუ), გ. შენგელია (დინამო), გიორგობიანი (ლუჩი, რუსეთი), გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე, დარსაძე (იბერია), ბურნაძე, გ. კილასონია, გლუნჩაძე (?) | ჭყონია (სპარტაკი, კოსტრომა, რუსეთი), მ. ძოძუაშვილი (გურია), სადილიანი (სულორი), ი. ხაჭაპურიძე, კაკაბაძე (მარგვეთი), ზ. ფხაკაძე (იბერია), ხელაძე, ესაიაშვილი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ), ბოდოკია, კ. დიდავა, ზურაბიანი (ტორპედო-2), ნებიერიძე, კოპალიანი, გაბლაია, თ. გიორგაძე (სამგურალი-2), გედენიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), ბერაძე (ჩერნომორეცი, რუსეთი), დ. ჭელიძე (მერანი) | ტორპედო 0:3, ინტერი 4:1, მეტალურგი 5:0, დინამო (გაგრა) 3:0, დინამო (ქუთაისი) 9:0 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ისიანი (თბილისი), ლ. ამბიძე (მერანი) გუგუნავა (არსენალი), კ. ნიკლაური, (იბერია), ძნელაძე, დ. ბერიძე, ტყავაძე (?) | დ. გოდერძიშვილი ნ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი), მ. მინდიაშვილი (დილა), ვოლკოვი (თამაში მიტოვებული ჰქონდა), სიდამონიძე (გორდა), ი. კაპანაძე (ვიტ ჯორჯია) | ზოოვეტი 2:4 ლოკომოტივი-2 2:0, თსუ 1:1 |
| **თბილისი** *ოთარ კორღალიძე* | ხიზანეიშვილი, ზ. ხიზანიშვილი (დინამო), ე. საჯაია, რ. გოცირიძე (ვიტ ჯორჯია) | ბათიაშვილი, კვარაცხელია (დინამო), ბაჯელიძე (მერანი), ქემოკლიძე (ვიტ ჯორჯია), ვ. ჩხაიძე (გურია), ზამთარაძე, ებრალიძე (თსუ), ისიანი (სიონი), ლ. ბერიძვილი (სლავია, მოზირი, ბელარუსი), გ. ყიფიანი (პანეტოლიკოსი, საბერძნეთი), ა. ჩიხრაძე (სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი), ბედიაშვილი (გორდა) | ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1, მერანი 2:2, 3:1, გორდა 4:1, თბილისი (მოყვარულები) 2:1 |

| «ბ» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | კ. მეტრეველი, მაზანიშვილი (ტრანსფერზე არიან) | ვ. მაისურაძე (ვიტ ჯორჯია), მახვილაძე (სამგურალი), გოგიაშვილი (ჟემჩუჟინა, რუსეთი), ამისულაშვილი (კახეთი), გ. სომხიშვილი (ყვარელი), თ. მაისურაძე, მ. ბობოხიძე, თავბერიძე (დინამო 2), კვერნაძე, ვადაჭკორია, ასათიანი (ტორპედო 2) | დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0, სამგურალი 3:0, ლოვჩი (ბულგა) 1:1, ირონი (რიშონ, ისრაელი) 3:2, ლომელი (ბელგია) 0:4, ბეერსხოტი (ბელგია) 2:9 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), ე. გვასალია (ერევანი, სომხეთი), ამაშუკელი (სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი), კალანდაძე, ჩადუნელი (?) | რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ჯღარკავა, მაკალათია, ლეჟავა (ფაზისი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (თსუ), ჭოხონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია), კედელაშვილი, მ. მელაძე (გორდა), ინიაშვილი, ფაცურია, ზ. კვეკესკირი (გურია), მგელაძე (მერცხალი), ქვაჩახია (სოკოლი, სარატოვი, რუსეთი) | თბილისი (მოყვარულები) 4:2, 2:1 ცემენტარნიცა (მაკედონია) 2:4, 0:4, იბერია 3:0, 3:1, ლოკომოტივი 1:2, 0:2, ბათუმი 1:4, 1:0, 0:3 |
| **მერანი** *თემურ ჩხაიძე* | ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), ხუციშვილი (მერიფი, მოლდოვა), დავითნიძე (თბილისი), დ. ჭელიძე (სამგურალი), გ. კვეტენაძე (?) | კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყებია (ლარნაკა), პ. ლურსმანაშვილი (ოდიში), ლ. ამბიძე (სიონი), ლ. ხორხელი, ა. ხორხელი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ), ქველაძე (იბერია), ქობესაშვილი (თორი), კოშკაძე (21-ე საუკუნე) | ცხუმი 4:2, ლოკომოტივი 1:1, ქაბუკიანი 1:0, არსენალი-2 1:2, დილა 1:3, თბილისი 2:2, 1:3, ვიტ ჯორჯია 0:3, თბილისი (მოყვარულები) 2:1, 0:0 3:8:9, გორდა 1:2 |
| **იბერია** *სოსო ჭრუაძე* | ს. გოგიაძე, ვ. გოგიაძე (დინამო), ხუჭუა (კოლხეთი), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ზ. ფხაკაძე (სამგურალი) ქველაძე (მერანი), ვარდიაშვილი (?) | გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე, დარსაძე (სამგურალი), ო. მეტრეველი (ტორპედო 2, მოსკოვი, რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე (უნივერსიტეტი იბერია), ხურციძე (ფაზისი), გელაშვილი (ორიოლი, რუსეთი), ბიბაძე (მარგვეთი), ნიკურაძე (გურია), ზ. მეტრეველი (არსენალი-2), კ. ნიკლაური (სიონი) | ლოკომოტივი 0:0, მეგრი 1:1, ბათუმი 1:5, კოლხეთი 0:3, 1:3, ვიტ ჯორჯია 1:3 |
| **დილა** *მერაბ ხუციშვილი* | ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (?), მ. მინდიაშვილი (სიონი), რ. ახალკაცი (?, ვარნა, ბულგარეთი) | სოღოლაშვილი (დინამო), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ლოკომოტივი), ოქროპირიძე (გორდა) | ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3, მერანი 3:1 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | ბედიაშვილი (თბილისი), რ. მახარაძე (მერცხალი), კედელაშვილი, მ. მელაძე (კოლხეთი), ოქროპირიძე (დილა), სიდამონიძე (სიონი), ვ. მაჭავარიანი, კალმახელიძე, პ. მესხი (?) | თელიაშვილი (ლარნაკა), ბუკია (თსუ), გ. ხიზანიშვილი (აკადემია), კ. პაპავა (ალგეთი), მიქავა (დინამო-2), ნადირაძე (ბათუმი), თ. მეტრეველი (?, საბერძნეთი) | ხალიბი 5:2, 4:2, ვიტ ჯორჯია 1:1, შამქირი (აზერბაიჯანი) 0:2, თბილისი 1:4, მერანი 2:1 |
| **თსუ** *პოტე დოლიძე* | თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (კოლხეთი), კ. ალანია, მერაბიშვილი (ხობი), ჭუმბურიძე, გაბელია (?) | ახალაძე (სამგურალი), გ. გვაზავა, ერაძე, ლამბაშიძე, გვირჯიშვილი, თ. ბოკერია (ვიტ ჯორჯია), შ. მახარაძე (გურია), დ. არჩვაძე (ნივა, ვინიცა, უკრაინა), დ. ხომერიკი, გ. მიქაძე, გ. გოცირიძე (ვაკე-91), კვიციანი, მ. ვაშაკიძე (აკადემია), კრავეიშვილი (ოკეანე), ფარქოსაძე (არმინია ამატორი, გერმანია) | გარეჯი 13:0, ზოოვეტი 2:1, სიონი 1:1, ქაბუკიანი 3:1, ვიტ ჯორჯია 4:6, 2:1 |
| **ხობი** *ფრიდონ გოცირიძე* | | კ. ალანია, მერაბიშვილი (თსუ) | მეგრი 2:4, 2:1 |

**შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯერობით საბოლოო არ არის**

# ინგლისი

# ტინსაიდში მომხდარი აურზაური

I ტური

**ევერტონი 1:1 მანჩესტერი**

0:1 იორკი (7), 1:1 სტამი (86 ს.კ.)
ევერტონი: ჟერარდი, უორდი (კადამარტერი 70), უოტსონი, გაფი, უაერი, ბარმბი, ჯემილი, კოლინზი, ანსუორთი, ჰათჩისონი (ფელანი 85), კემპბელი
მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, ბერგი, სტამი, ირვინი, ბექემი, კინი, სქოულზი, ე. კოული, იორკი, სოლსკიაერი (ბათი 76)
გაფრთხილება: კინი, კოლინზი, უოტსონი, გაფი
მსაჯი: გალაჰერი

**არსენალი 2:1 ლესტერი**

0:1 კოტი (57), 1:1 ბერგკამპი (65), 2:1 სინკლერი (90 ს.კ.)
არსენალი: მენინგერი, დიქსონი, უინტერბერნი, ვიეირა, კიოუნი, ლიუნგბერგი (ანრი 46), ბერგკამპი, პარლოუ (ოვერმარსი 64), პეტი, გრიმანდი, კანუ
ლესტერი: ფლაუერსი, სინკლერი, უოლში (ტაგარტი 18), იზეტი, ლენონი, ჰესკი (მარშალი 43), გუპი, სავიჯი, ელიოტი, იმპი, კოტი
გაფრთხილება: გრიმანდი, ელიოტი
მსაჯი: უილკი

**ჩელსი 4:0 სანდერლენდი**

1:0 პოიეტი (20), 2:0 ძოლა (32), 3:0 ფლო (77), 4:0 პოიეტი (78)
ჩელსი: დე გუი, ფერერი, დესაი, ლებეფი, ლე სო, პეტრესკუ (დი მატეო 86), უაიზი, დეშამი, პოიეტი (ბაბაიარო 79), სატონი (ფლო 73), ძოლა
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, ბოულდი, ბატლერი, გრეი, სამერბი, ბელი (ფრედგაარდი 60), რეი, ლუმსდენი (მაკენი 46), ქუინი, ფილიპსი
გაფრთხილება: ლე სო, რეი, მაკინი, ქუინი
მსაჯი: რილი

**უოტფორდი 2:3 უიმბლდონი**

0:1 კორტი (10), 1:1 კენედი (17), 1:2 გეილი (28), 2:2 ნგონგე (71), 2:3 იონსენი (78ს.კ.)
უოტფორდი: დეი, ლიტლი, უილიამსი, პეიჯი (სმიტი 45, ბრუკერი 85), ბონოტი, პალმერი, იონსონი, იასტონი, კენედი, ნგონგე, მუნი
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, პედერსენი, ბლექველი, კიმბლი, კორტი, რობერტსი, ერლი, ჰიუზი (ჯუპი 21), ჰართსონი (ერდლი 66), გეილი (ეუელი 75)
გაფრთხილება: გეილი, ჰართსონი
გაძევება: ბლექველი (17)
მსაჯი: ლოჯი

**ლიდსი 0:0 დერბი**

ლიდსი: მარტინი, მილსი, ვუდგეიტი, რადებე, ჰარტი, ჰოპკინი, ბეტი, ბოუერი, კიუელი, სმიტი (მაკფაილი 52), ბრიჯისი
დერბი: პოომი, პრაიორი, კარბონარი, ლაურსენი, დელაპი, ერანიო (ბორბოკისი 77), პოუელი, იონსონი, დორიგო, ბაიანო (ბეკი 67), სტარიჯი (ბარტონი 46)
გაფრთხილება: ბატი, კიუელი, ბოუერი, დორიგო, იონსენი, ერანიო, დელაპი, პოუელი
მსაჯი: ბარბერი

**მიდლსბრო 0:1 ბრედფორდი**

0:1 სონდერსი (89)
მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი, ვიკერსი (თაუნსენდი 78), ფესტა, მასტო, გესქოინი, დინი, ონილი, სტამპი, ციგე, კემპბელი (რიკარდი 70)
ბრედფორდი: უოლში, უეტერლი, მილსი, უალი, ბიგრი, ობრაინი, უინდასი (სონდერსი 78), ჰალე, დრეიერი, ჯაკობსი, რედფერნი
გაფრთხილება: მასტო, ბიგრი, რედფერნი, ჰალე
მსაჯი: ბერი

**ნიუკასლი 0:1 ასტონ ვილა**

0:1 ჯოაკიმი (75)
ნიუკასლი: ჰარპერი, ბარტონი, მარსელინო (დეიერი 45), გომა, დომი, დუმა, სოლანო (რობინსონი 85), სპიდი, სერანტი (მარიჩი 75), ქეცბაია, შირერი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, დელანი, საუთგეიტი, კალდერვუდი (სტოუნი 87), ეჰიოგუ, რაიტი, ბოატენგი (ჰენდრი 56), ტეილორი, ტომპსონი, დაბლინი, ჯოაკიმი
გაფრთხილება: გომა, ბარტონი, შირერი, სპიდი, დელანი, ტომპსონი, ეჰიოგუ
გაძევება: შირერი (70)
მსაჯი: რენი

**შეფილდ უენსდი 1:2 ლივერპული**

0:1 ფაულერი (75), 0:2 კამარა (84), 1:2 კარბონე (88)
შეფილდი: სრნიჩეკი, ჰინჩკლიფი, ტომი, უოლკერი, სონერი, სიბონი, რუდი, ალექსანდერსონი (კრისუელი 59), დონელი (ბრისკო 77), ნიუსომი, დე ბილდე (კარბონე 67)
ლივერპული: ვესტერველდი, ჰეგემი, ჰიიპია, კარაგერი, მატეო, შმიცერი, რედნაპი, ჰამანი (ტომსონი 24), ბერგერი (სტონტონი 81), ფაულერი, კამარა (მეიერი 89)
გაფრთხილება: დონელი, ტომსონი
მსაჯი: პოლი

**ვესტ ჰემი 1:0 ტოტენჰემი**

1:0 ლამპარდი (45)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ი. პირსი (კოლერი 35), რ. ფერდინანდი, ს. პირსი, პოტსი, ფოე, დი კანიო (კოული 85), ლამპარდი, მინტო, ვანჩოპე, სინკლერი
ტოტენჰემი: უოლკერი, კარი, კემბელი (სკაილზი (27), პერი, ედინბურგი, ანდერტონი, შერვუდი, ფროინდი, ჟინოლა (ლეონარდსენი 46), ივერსენი, დომინგუში (ლ. ფერდინანდი 45)
გაფრთხილება: ფოე, დი კანიო, ფროინდი, შერვუდი
მსაჯი: ელერი

**ქოვენთრი 0:1 საუთჰემპტონი**

0:1 ოსტენსტადი (85)
ქოვენთრი: ჰედმანი, ედუორტი, უილიამსი, შოუ, ბაროუზი, ტელფერი, ჰაჯი, მაკალისტერი, ჩიპო (ფროგატი 77), ველანი, ჰაკერბი (ალოიზი 70)
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, რიჩარდსი, ლუნდეკვამი, ბენალი, კალოული (ბერესფორდი 89), მარსდენი, ჰიუზი, ლე ტისიე (რიპლი 85), ოსტენსტადი, პახარსი
გაფრთხილება: ოსტენსტადი, დოდი
მსაჯი: ჯონსი

„ევერტონ“—„მანჩესტერის“ მატჩის დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა, როცა ჰოლანდიელმა იაპ სტამმა საკუთარ კარში გაიტანა და ჩემპიონებს გამარჯვება დააკარგვინა. დევიდ ანსუორთმა, ეგებ გაგვიმართლოსო და „მანჩესტერის“ საჯარიმოში მაღალი ჩაჰკიდა, ნიკ ბარმბიმ თავურით ბურთს მიმართულება შეუცვალა, იქვე მდგარმა სტამმა შემობრუნება ველარ მოასწრო და მისი თავიდან ასხლეტილი ბურთი მარკ ბოსნიჩის კარის ბადეში მოექცა... ასეთი იყო პრემიერლიგის პირველი ტურის ბოლო თამაშის ფინალი. არადა, „მანჩესტერისთვის“ ყველაფერი კარგად დაიწყო. უკვე მე-7 წუთზე დუაიტ იორკმა ენდი კოულის გადაცემით გახსნა ანგარიში. „ევერტონის“ ცენტრალური მცველები დეივ უოტსონი და რიჩარდ გაფი სტუმართა სწრაფ შეტევებს ველარ აუდიოდნენ და რომ არა მეკარე პოლ ჟერარდის კარგი თამაში, გატანა პოლ სქოულზსაც შეეძლო და იმავე იორკსაც. „ევერტონი“ კი იბრძოდა. მოედნის ცენტრში კონტრშეტევებს დონ ჰათჩისონი იწყებდა-ხოლმე და მეორე ნახევრის დასაწყისში გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. მანჩესტერლებს კი, რომლებსაც მინდორზე რაიან გიგზი და ტედი შერინგემი არ ჰყავდათ, 72-ე წუთზე კიდევ ერთი ჩინებული შანსი მიეცათ, მაგრამ ოლე გუნარ სოლსკიაერმა კარს ააცილა. საერთოდ, „მანჩესტერმა“ უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, იაპ სტამი კი 87 წუთის განმავლობაში შეუდარებელი იყო მინდორზე, მაგრამ...

ლონდონის „არსენალმა“ სულ ბოლოს გატეხა „ლესტერი“. აქაც ყველაფერი ავტოგოლმა გადაწყვიტა. 90-ე წუთზე ლესტერელმა სინკლერმა საკუთარ კარში შეაგდო და არსენ ვენგერის გუნდს პირველი სამი ქულა გადაულოცა. ლონდონის მეორე გუნდმა „ჩელსიმ“ კი ყველას დაანახა, რომ წლეულს ჩემპიონობისთვის სერიოზულადაა განწყობილი. შესაძლოა, ასეთი შთაბეჭდილება „სანდერლენდის“ სისუსტემაც შექმნა, მაგრამ მაინც, ვიალის გუნდმა ჩინებულად ითამაშა და რომ არა მარტივ სიტუაციებში გამოუყენებელი მომენტები, „სანდერლენდი“ მინიმუმ რვა ბურთის სხვაობით წააგებდა. პირველ ტაიმში „ბლექბერნიდან“ ლონდონს გადაბარგებული კრის სატონი ორჯერ დარჩა მეკარე სორენსენთან პირისპირ, მაგრამ ერთხელ მეკარემ აჯობა, მეორედ კი ფეხი ბურთის მაგიერ მიწას ამოჰკრა და კინაღამ ამოიგდო. მერე „არისტოკრატთა“ რუმინელი დან პეტრესკუს ჯერი დადგა. მეორე ტაიმის დასაწყისში მეკარესთან ახლა ის გავიდა ორჯერ პირისპირ, მაგრამ პირველად ძელს მოარტყა, მეორედაც ვერ მიაღწია მიზანს. გოლები კი ისეთი იყო, თქვენი მოწონებული. ურუგვაელ პოიეტსა და იტალიელ ძოლასთან ერთად თავი შეცვლაზე შემოსულმა ჩვენმა კარგმა ნაცნობმა ტორე-ანდრე ფლომაც გამოიჩინა.

„უიმბლდონმა“ დებიუტანტ „უოტფორდთან“ მატჩის სამი მეოთხედი კაცნაკლულმა ითამაშა, მაგრამ მაინც მოიგო. აი, მეორე ახალაღზევებულმა „ბრედფორდმა“ კი პატარა სენსაცია მოახდინა, როცა გასვლაზე ზაფხულში საკმაოდ მოძლიერებული „მიდლსბრო“ დაამარცხა. გამარჯვების გოლი დამთავრებამდე წუთით ადრე უელსელმა დინ სონდერსმა შეაგდო.

გახსნის ტურის ყველაზე ხმაურიანი ამბები კი ნიუკასლიდან მოვიდა. იქაურებმა „ასტონ ვილასთან“ 0:1 წააგეს და ეს გოლი ალან შირერის გაძევებიდან ხუთ წუთში გავიდა. შირერმა, რომელიც პარასკევს 29 წლის გახდა, 70-ე წუთზე კოლინ კალდერვუდთან შეტაკებისას მეორე ყვითელი მიიღო და მოედნის დატოვება მოუხდა. საინტერესოა, რომ ეს შირერის პირველი გაძევებაა კარიერაში.

მომხდარით აღშფოთებულმა „ნიუკასლის“ მწვრთნელმა რუდ გულიტმა ჯერ მთავარ არბიტრს შეაგინა, მერე კი სათადარიგო მსაჯს არ დაემორჩილა, ტექნიკური ზონა დაარღვია და მინდორზე გაიჭრა. ახლა ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია გულიტს ამ ორი გამოხტომისთვის ბრალდებას წაუყენებს და იქნებ საქმე დისკვალიფიკაციამდე ან სოლიდურ ჯარიმამდე მივიდეს.

გულიტს, თავის მხრივ, არგუმენტები აქვს. მას მიაჩნია, რომ თანამედროვე ფეხბურთი ერთობ კონტაქტური გახდა და მოთამაშის გაძევებაარგაძევების საკითხსაც მსაჯებმა სხვაგვარად უნდა შეხედონ.

რაც შეეხება ჩვენს თემურ ქეცბაიას, მან მთელი მატჩი ითამაშა და 55-ე წუთზე ტინსაიდელთაგან გატანის საუკეთესო შანსიც ჰქონდა, მაგრამ მეკარე ჯეიმსმა შორეულ კუთხეში უძლიერესად დარტყმული ბურთი მოიგერია.

**სოლომონ გულისაშვილი**



REUTERS

ჩელსი — სანდერლენდი 4:0. სტუმარი ნეილ ქუინი (მარჯვნივ) „ჩელსის“ ახალწვეულ ფრანგ დიდიე დეშამსა (მარცხნივ) და ესპანელ ალბერტ ფერერს ებრძვის

| | | | | | სულ | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 | უიმბლდონი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 3 | არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 | საუთჰემპტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 5 | ბრედფორდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 6 | ასტონ ვილა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 7 | შეფილდ უენსდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 | ვესტ ჰემი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 | ევერტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 | მანჩესტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 11 | ლიდსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 12 | დერბი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 13 | უოტფორდი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 14 | ლესტერი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 15 | ქოვენთრი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 16 | მიდლსბრო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 17 | ნიუკასლი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 18 | ლივერპული | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 19 | ტოტენჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 20 | სანდერლენდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |

**II ტური**

10 აგვისტო
ბრედფორდი — ჩელსი
სანდერლენდი — უოტფორდი
უიმბლდონი — მიდლსბრო
11 აგვისტო
ასტონ ვილა — ევერტონი
დერბი — არსენალი
ლესტერი — ქოვენთრი
ლივერპული — ვესტ ჰემი
მანჩესტერი — შეფილდი
საუთჰემპტონი — ლიდსი

## I დივიზიონი

**ბირმინგემი 2:2 ფულემი**

0:1, 0:2 ჰორსფილდი (36, 59), 1:2 ჰიუზი (62), 2:2 ლაზარიდისი (85)

**ბლექბერნი 0:0 პორტ ვეილი**

**ჩარლტონი 3:1 ბარნსლი**

1:0, 2:0 მენდონკა (6, 24 პ), 2:1 ბერნარდი (29), 3:1 მენდონკა (80 პ)

**კრისტალ პალასი 1:1 ქრიუ**

1:0 როჯერი (66), 1:1 რივერსი (84)

**გრიმსბი 0:1 სტოკპორტი**

0:1 სმიტი (51)

**იფსვიჩი 3:1 ნოტინგემი**

1:0 ნეილორი (18), 2:0 ჯონსონი (20), 3:0 შოუკროფტი (71), 3:1 ბარტ-უილიამსი (77 პ)

**პორტსმუთი 2:0 შეფილდ იუნ.**

1:0 მილიორანცი (26), 2:0 უიტინგემი (88)

**ქუინზ პარკი 3:1 ჰადერსფილდი**

1:0 დარლინგტონი (15), 2:0 კიოუმია (39), 2:1 ვინჰარდი (65), 3:1 პიკოკი (79)

**ტრანმერი 0:0 ბოლტონი**

**უოლსოლი 0:0 სვინდონი**

**ვესტ ბრომვიჩი 1:1 ნორვიჩი**

0:1 დალგლიში (49), 1:1 რავენი (73)

**სიტი 0:1 ვულვერჰემპტონი**

0:1 კინი (31)
სიტი: უივერი, ეძჯილი, ვიკენსი, მორისონი, გრენვილი (კრუკსი 15, ტეილორი 70), კუკი, ჯეფ უიტლი, ჰორლოკი, კენედი, გოტერი, დიკოვი

მართალია „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელი, ჯო როილი აცხადებს, რომ სეზონის ბოლოს მას ერთადერთი შედეგი, პრემიერლიგაში ასასვლელ პლეიოფში მოხვედრა დააკმაყოფილებს, „მეინ როუდის“ ბინადარმა პირველივე მატჩი წააგო. ინგლისელ მიმომხილველთა საყოველთაო აზრით ამის მთავარი მიზეზი „სიტიში“ მოთამაშე თავდამსხმელების, შონ გოტერისა და პოლ დიკოვის უსუსურობა გახლავთ.

„ბევრი ვიშრომეთ, ვიწვალეთ და მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესოდ არ გვითამაშია, წაგების ღირსნი მაინც არ ვიყავით. ვგონებ, პირველ დივიზიონში საშიში არაფერია. ჩვენი სუსტი ადგილი თავდასხმა გახლდათ, მაგრამ ეგ არაფერი, წინ კიდევ 45 შეხვედრა გველის და ამიტომ დღევანდელ მარცხს კატასტროფად არ მივიჩნევ. ერთი კია, შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში, ჩაწოდებული ბურთის დასარტყმელად მეტოქის საჯარიმოში ხალხის შევარდნაზე უნდა ვიმუშაოთ“ — განაცხადა როილმა.

გამარჯვებული გუნდის მოთამაშემ ლი ნეილორმა კი თქვა:

„სიტიმ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ვგონებ ამ სეზონში „მეინ როუდიდან“ ქულის წაღებას ბევრი გუნდი ვერ შეძლებს“.

## II დივიზიონი

ბლექპული — რექსემი 2:1; ბორნმუთი — კემბრიჯი 2:1; როვერსი — ბრენტფორდი 0:0; ბერი — ჯილინგემი 2:1; კარდიფი — მილუოლი 1:1; ჩესტერფილდი — კოლჩესტერი 0:1; ნოტსი — ლუტონი 0:0; ოლდემი — პრესტონი 0:1; რედინგი — ბრისტოლი 2:1; სტოკი — ოქსფორდი 1:2; უიგანი — სკანთორპი 3:0; უიკომბი — ბარნსლი 1:1

## III დივიზიონი

ბრაიტონი — მანსფილდი 6:0; კარლაისლი — ლეიტონი 2:1; ჩელტენემი — როჩდეილი 0:2; ჩესტერი — ბარნეტი 0:2; ექსეტერი — ჰალი 1:0; ჰალიფაქსი — დარლინგტონი 0:1; ლინკოლნი — როტერჰემი 2:1; მაკლსფილდი — ნორთჰემპტონი 1:0; პეტერბრო — ჰარტლპული 2:1; შრუსბერი — ტორკი 1:2; საუთენდი — პლიმუთი 2:1; იორკი — სუონსი 1:0

## ბელგია

I ტური

**ლიერსი 3:1 ბეერსხოტი**

1:0 კავენსი (38), 2:0 სომერსი (54), 2:1 ვან დერ ჰეიდენი (67), 3:1 ზდებელი (90)

ლიერსი: დემანი, ლარემანსი, ვან მეირი, ჰოფკენსი, პოორტერსი, სომერსი, ლეენი, ზდებელი, ვან დე ვეიერი (ბურგი 86), სპიტერი (სნოქსი 76), კავენსი

**სტანდარდი 2:1 მეხელენი**

0:1 ვან ჰუტი (14), 1:1 მ. მპენზა (57), 2:1 ე. მპენზა (67)

სტანდარდი: რუნიე, ვან ბუიეტენი, ჰელერსი, ვუიო, ბლეი, პიერი, ერნსტი, ბისკონტი (ტიისი 46), ალიაი (ლუკუნკუ 85), ემილ მპენზა, მბო მპენზა

**ანდერლეხტი 3:2 მუსკრონი**

0:1 ვანდოორენი (42), 1:1 შიფო (49), 2:1 ზეტერბერგი (61პ), 3:1 ვან დიმენი (15), 3:2 მარსინ ზევლაკოვი (90)

**ბრიუგე 4:0 სტ. ტრუიდენი**

1:0 ვერჰეიენი (19), 2:0 მარტენსი (57), 3:0 ლესნიაკი (86), 4:0 ვერმანტი (90)

**ვესტერლო 6:6 გენკი**

0:1 სტრუპარი (8პ), 1:1 ბრონიო (19პ), 1:2 სტრუპარი (24პ), 2:2, 3:2 პელიჩი (27, 45), 4:2 ბრონიო (56), 4:3 სტრუპარი (66პ), 4:4 ულარი (72), 4:5 ნსუმბუ (80), 5:5 ბრონიო (83პ), 5:6 (ტ. გუდიონსონი (86), 6:6 ბრონიო (90)

**შარლერუა 2:1 ჰარელბეკი**

1:0 ბრონიო (63), 1:1 დიატელი (75), 2:1 ჟერარი (87)

**ლომელი 1:0 ლოკერენი**

1:0 ვალიგორა (79)

**ბევერენი 0:2 აალსტი**

0:1 დ. კურემანი (20), 0:2 ს. კურემანი (55)

**გეელი 1:5 გენტი**

0:1 კარიფი (30), 0:2, 0:3 ვასოვი (46, 49), 0:4 აარსტი (63), 0:5 გასიე (73), 1:5 დელენი (74)

ბელგიის ჩემპიონატი დაიწყო, მარა რა დაიწყო! პირველ ტურში 40 (!) გოლი გავიდა. აქედან ლომის წილი „ვესტერლოსა“ და „გენკზე“ მოდის, რომლებმაც ერთმანეთს ექვს-ექვსჯერ გაუტანეს. არა, ქვეყნის ჩემპიონის („გენკი“) დაცვა ძალიან სუსტი ჩანს. ჯერ იყო და ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ხუთი გოლი გაუშა სლოვენიური „მარიბორისაგან“, ახლა კი — ექვსი. თანაც შეხვედრის დიდი ნაწილი „გენკი“ რიცხობრივ უმრავლესობაში იყო, თუმცა თამაში გუნდებმა ერთი რაოდენობის ფეხბურთელებით დაამთავრა. მასპინძლებს შასენსი (33-ე წთ) და ტანსი (47) გაუძევა მსაჯმა, სტუმრებს კი — დელბროკი (44) და ვან გეემი (82). ერთი სიტყვით, თუ „გენკმა“ დაცვას არ მიხედა, ბელგიას ამ სეზონში, ალბათ, ახალი ჩემპიონი ეყოლება.

ქართველი ლეგიონერებიდან არც ერთს უთამაშია. გელა შეყილაძის „ლიერსი“ ჩემპიონატის გახსნით მატჩში იმავე შემადგენლობით გამოვიდა, რომლითაც ქვეყნის თასის ფინალი მოუგო მეორე ქართველის, ლაშა ჯაკობიას „სტანდარდს“. ახალგაზრდა ლიერსელები მშვენივრად გამოიყურებოდნენ და ზედ ჩემპიონატის წინ შექმნილი „ბეერსხოტი“ იოლად დაჯაბნეს. „წაგების მიუხედავად, მრავალ კითხვას გაეცა პასუხი. ლიერსს თავდახრილნი არ ვტოვებთ. ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი გვაკლდა, ასე რომ, მომავალ ტურებში გაცილებით ძლიერად ვითამაშებთ“ — თქვა სტუმართა ნეხევარმცველმა მარკ დეგრიზმა.

„სტანდარდმა“ ჯაკობიას გარეშე ითამაშა და ძმები მპენზების გოლების წყალობით მოიგო. თუმცა ასეთი გარჯით ტომისლავ ივიჩის გაწვრთნილ გუნდს ნებისმიერი სინჯის მედლისთვის გაუჭირდება ბრძოლა. მატჩი ორიოდ წუთის დაწყებული იყო, როცა ივ. ვანდენბროკმა მასპინძელთა ახალწვეული ფრედე... პიერის შეტევა წესების უხეში დარღვევით შეაჩერა და „დამსახურებულ დასვენებაზეც“ წავიდა. „მეხელენის“ მწვრთნელს თამაშის ტაქტიკა არ შეუცვლია, შეტევის ხაზზე კვლავინდებურად ორი კაცი დატოვა და გამბედაობის შედეგიც მალე მოიმკა — ელიასის ჩაწოდებული ბურთი ვან ჰუტმა აკრობატულ ნახტომში შეაგდო რუნიეს კარში. პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა. შესვენების შემდეგ „სტანდარდმა“ თამაშის ტემპი გაზარდა და 57-ე წუთზე მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ მბო მპენზამ საპასუხო გოლი გაიტანა. მოგებით კი მასპინძლებმა სტუმართა შეცდომის ხარჯზე მოიგეს. ელიასმა საჯარიმო დარტყმის სწრაფად გათამაშება მოინდომა, მაგრამ ბურთს პიერი დაეუფლა, რომელმაც მბო მპენზას გადააწოდა. მბომაც ძმა ემილს მშვენიერი პასი მისცა და ჯაკობიას თანაგუნდელებმა პირველი სამი ქულაც მოიპოვეს.

ჩემპიონობის უმთავრესმა კანდიდატმა „ანდერლეხტმა“ დიდი ვაი-ვაგლახით დაამარცხა „მუსკრონი“, რომელიც შარშანდელივით უეფას თასის საგზურისთვის იბრძოლებს. მეორე ბელგიურმა გრანდმა „ბრიუგემ“ კი 15 ათასი მაყურებლის თვალწინ იოლად გაანადგურა „სენტ ტრუიდენი“.

**დავით სიჭინავა**



# ალექს ფერგიუსონის წარსული და მომავალი

სანამ „მანჩესტერ იუნაიტედის“ შოტლანდიელი მწვრთნელის, ალექს ფერგიუსონის რუსული შიშის ამბავს გავაგრძელებდეთ, ორიოდ სიტყვა მის ინგლისურ ცხოვრებაზე ვთქვათ. შაბათს სერ ალექსი BBC-ს სტუდიის სტუმარი გახლდათ და კატეგორიულად აცხადებდა:

„არა, არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდები მაგ სამუშაოს“

ეს სამუშაო ინგლისის ეროვნული ნაკრების გაწვრთნა გახლავთ.

ფერგიუსონი, რომელმაც გასულ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედს“ სამი დიდი ჯილდო, იგლისის ჩემპიონის ტიტული, ევროპის ჩემპიოთნა თასი და ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის თასი მოაპოვებინა, ბოლოხანს ხშირად იხსენიებოდა ინგლისის ნაკრებთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, შოტლანდიელობის მიუხედავად ამ ქვეყანაში სერ ალექსი ეროვნული გუნდის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ თავკაცად მიაჩნიათ, მაგრამ თავად სულ სხვ აზრზე დგას. 2002 წელს, 60 წლისა და რომ შეიქნება და „იუნაიტედთან“ კონტრაქტის ვადა ამოეწურება, ფერგი იქვე, კლუბში გენერალურ მენეჯერად აპირებს დარჩენას.

„სწორედ ეს გახლავთ საქმიანობა, რომელსაც ვისურვებდი, ოღონდ, ბუნებრივია, იმ შემთხვევაში თუ კლუბიც დაინტერესდება ჩემთან თანამშრომლობით. ვგონებ 2002 წლიდან დამსახურებულად დავისვენებ და უფრო სხვა ტიპის საქმიანობას მოვკიდებ ხელს. მწვრთნელს, რომელიც „იუნაიტედს“ ჩემს მერე ჩაუდგება სათავეში, შეეძლება, სურვილის შემთხვევაში, რჩევა მკითხოს, თუმცა მის საქმეებში აქტიურად არ ჩავერევი. მოგეხსენებათ 28 წელიწადია პროფესიის ერთგული გახლავართ და მთელი ამ ხნის განმავლობაში დიდ ზეწოლასაც განვიცდი. ალბათ, მოდის დასვენების დროც“ — განაცხადა ფერგიუსონმა.

შოტლანიელის ინგლისური საქმეებიდან ყურადსაღებია კიდევ ერთი სკანდალი, რომელიც მისმა ავტობიოგრაფიულმა წიგნმა გამოიწვია. საქმე ეხება მისი და მისი ყოფილი ასისტენტის, გასული დეკემბრის შემდეგ „ბლექბერნ როვერსის“ მწვრთნელის, ბრაიან კიდის ურთიერთობას. მემუარებში ფერგიუსონი წერს:

„გულის სიღრმეში ყოველთვის მეეჭვებოდა, რომ ბრაიან კიდი ოდესმე შეძლებდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელობას. ვგრძნობდი, რომ ჩემი რთულად განსახორციელებელი, ხშირ შემთხვევაში კი არაპოპულარული მოთხოვნები მისთვის აუტანელი ხდებოდა. ბრაიანი რთული პიროვნება გახლდათ, საკუთარ თავში დაურწმუნებელი, მითუფრო, როცა საქმე მის ჯანმრთელობას ეხებოდა. სულ შიშობდა, რომ ცუდი მწვრთნელი იყო და ნიადაგ მის გამხნევებაში ვიყავი“

ყოფილი შეფის ასეთ განცხადებას კიდი ბრაიზიანად გამოეხმაურა: „ვიმედოვნებ, რომ ფერგიუსონის წიგნს, როგორც ფანტაზიის ნიმუშს, უოლტ დისნეის სტუდია შეისყიდის. ადამიანთან ათწლიანი თანამშრომლობის შემდეგ უნებურად იცი მისი პირადი ცხოვრების ამბები. მე ასეთ ხალხთან ურთიერთობის პატივისცემას ვამჯობინებ, ფერგიუსონი კი აშკარად სხვა აზრისაა“

და ბოლოს რუსულ შიშზე, რომელიც სერ ალექსს იმავე წიგნში აქვს აღწერილი. გეხსომებათ 40 ათასი გირვანქის ამბავი, რუსმა აგენტმა, გრიგორი იესაულენკომ ფერგიუსონს ანდრეი კანჩელსკისთან დაკავშირებით რომ შეაჩეჩა.

BBC-სთვის მიცემულ, ზემოხსენებულ ინტერვიუში შოტლანდიელს ჟურნალისტებმა ჰკითხეს. იესაულენკოს ამბავი დაუყოვნებლივ რატომ არ შეატყობინა პოლიციას, მან უპასუხა:

„იესაულენკო ნიადაგ „ოლდ ტრეფორდზე“ ტრიალებდა ანდრეისთან ერთად და ამიტომ არ ვაცნობე პოლიციას. შემდეგ კი უცბათ გაქრა და დიდხანს აღარ გამოჩენილა“

ფერგიუსონმა განაცხადა, რომ სატრანსფერო საქმეებთან მწვრთნელი არაფერ შუაშია, ასე, რომ იესაულენკოს მხრივ მისთვის ფულის მიცემა სისულელე იყო.

„ვერ მივმხვდარვარ, რატომ მომცა ფული. მიზეზი არ აუხსნია. რომ დავუბრუნე გაოცებული მიყურებდა და მეუბნებოდა, რომ ვერ გამომართმევდა, რადგან ეს მისი საჩუქარი იყო“. — დასძინა ფერგიუსონმა, რომლისთვისაც, თურმე, ეს ქრთამთან დაკავშირებული შემთხვევა ერთადერთი იყო მის ცხოვრებაში.

„სანდი ექსპრესის“ თანახმად ფერგიუსონს მალე პოლიცია დაკითხავს იმ ამბის გამო.

**პაპუნა ქედია**

## ავსტრია

მე-7 ტური. რაპიდი — ლუსტენაუ 2:0; ბრეგენცი — ლინცერი 2:1; შტურმი — აუსტრია 2:2; რიდი — ზალცბურგი 3:0; ტიროლი — გრაცერი 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 7 | 7 | 0 | 0 | 15:2 | 21 |
| რაპიდი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:3 | 16 |
| შტურმი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:5 | 14 |
| ლუსტენაუ | 7 | 2 | 2 | 3 | 9:10 | 8 |
| აუსტრია | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| რიდი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:8 | 7 |
| ზალცბურგი | 7 | 2 | 1 | 4 | 3:8 | 7 |
| გრაცერი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | 7 |
| ბრეგენცი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:12 | 6 |
| ლინცერი | 7 | 0 | 2 | 5 | 5:16 | 2 |

## პოლონეთი

მე-4 ტური. ლეხი — სტომილი 1:2, პოლონია — პოგონი 4:0, რუხი — გროცლინი 4:1, გურნიკი — პლოცკი 4:1, ზაგლებე — ოდრა 1:0, ვისლა — რაძიონკოვი 2:0, ამიცა — ლეგია 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 4 | 4 | 0 | 0 | 12:4 | 12 |
| რუხი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 10 |
| სტომილი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:6 | 9 |
| ზაგლებე | 4 | 2 | 2 | 0 | 7:5 | 8 |
| პოლონია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| ამიცა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| პოგონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| ლეგია | 4 | 1 | 3 | 0 | 6:5 | 6 |
| გურნიკი | 4 | 1 | 2 | 1 | 11:9 | 5 |
| ლკს | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | 4 |
| პლოცკი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ლეხი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |
| ვიძევი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:9 | 1 |
| ოდრა | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| რაძიონკოვი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |
| გროცლინი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:12 | 0 |

## ნორვეგია

მე-18 ტური. ბოდიო გლიმტი — რუსენბორგი 2:4, კონგსვინგერი — ვიკინგი 1:3, ლილესტრიომი — ოდ გრენლანდი 1:2, მოსი — სკეიდი 5:0, სტრომსგოდსეტი — მოლდე 0:2, ტრომსო — სტაბეკი 3:3, ვოლერენგა — ბრანი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 18 | 13 | 2 | 3 | 52:17 | 41 |
| მოლდე | 18 | 12 | 2 | 4 | 33:21 | 38 |
| ლილესტრიომი | 18 | 11 | 2 | 5 | 45:29 | 35 |
| ბრანი | 17 | 11 | 0 | 6 | 29:26 | 33 |
| სტაბეკი | 18 | 9 | 3 | 6 | 39:34 | 30 |
| ტრომსიო | 17 | 8 | 3 | 6 | 42:30 | 27 |
| ვიკინგი | 18 | 8 | 2 | 8 | 31:27 | 26 |
| ოდ გრენლანდი | 18 | 8 | 2 | 8 | 25:35 | 26 |
| ბოდიო გლიმტი | 18 | 7 | 3 | 8 | 33:37 | 24 |
| მოსი | 18 | 6 | 1 | 11 | 28:34 | 19 |
| სტრიომს. | 18 | 6 | 1 | 11 | 28:40 | 19 |
| სკეიდი | 18 | 5 | 2 | 11 | 21:44 | 17 |
| ვოლერენგა | 18 | 4 | 3 | 11 | 25:38 | 15 |
| კონგსვინგერი | 18 | 4 | 0 | 14 | 26:45 | 12 |

## ჩეხეთი

მე-2 ტური. ვიქტორია — ბუდეიოვიცე 1:1; სიგმა — ბოჰემიანსი 0:0; სლავია — ბანიკი 2:0; დუკლა — ლიბერეცი 1:1; ბლშანი — ჰ. კრალოვე 1:0; ოპავა — სპარტა 1:1; იაბლონეცი — ტეპლიცე 3:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ლიბერეცი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| დუკლა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბუდეიოვიცე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბანიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| ბრნო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| იაბლონეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბლშანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:6 | 3 |
| ოპავა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ვიქტორია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სიგმა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ბოჰემიანსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ტეპლიცე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| დრნოვიცე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 2 |
| ჰ. კრალოვე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

## დანია

მე-3 ტური. ჰერფიოლგე — ოდენსე 1:0, ბრონდბიუ — სილკებორგი 1:0, ვიბორგი — ორჰუსი 1:1, აკადემისკი — ლიუნგბიუ 3:0, კოპენჰაგენი — ოლბორგი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემისკი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| ბრონდბიუ | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| ჰერფიოლგე | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ოლბორგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| სილკებორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:1 | 4 |
| ვიბორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ლიუნგბიუ | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| ესბიერგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| ორჰუსი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| კოპენჰაგენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ოდენსე | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |
| ვაილე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | 0 |

## შვედეთი

მე-16 ტური. ჰალმსტადი — გიოტებორგი 4:0; იორებრო — კალმარი 2:0; აიკ — ტრელებორგი 3:0; ფრიოლუნდა — ჰელსინგბორგი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 16 | 10 | 3 | 3 | 28:10 | 33 |
| ჰელსინგბორგი | 16 | 10 | 2 | 4 | 26:15 | 32 |
| ჰალმსტადი | 16 | 9 | 3 | 4 | 32:13 | 30 |
| იორგრიტე | 15 | 8 | 5 | 2 | 28:11 | 29 |
| იორებრო | 16 | 8 | 1 | 7 | 18:19 | 25 |
| კალმარი | 16 | 7 | 2 | 7 | 23:26 | 23 |
| ტრელებორგი | 16 | 6 | 4 | 6 | 25:24 | 22 |
| ფრიოლუნდა | 16 | 5 | 5 | 6 | 19:23 | 20 |
| გიოტებორგი | 16 | 5 | 5 | 6 | 15:23 | 20 |
| მალმიო | 15 | 4 | 3 | 8 | 17:26 | 15 |
| ჰამარბი | 15 | 3 | 5 | 7 | 17:26 | 14 |
| ნორჩიოპინგი | 15 | 3 | 5 | 7 | 15:24 | 14 |
| ელფსბორგი | 15 | 3 | 4 | 8 | 23:33 | 13 |
| იურგარდენი | 15 | 3 | 3 | 9 | 15:28 | 12 |

## გერმანია

თასის გათამაშების II რაუნდი

ჩვენებურების „ფრაიბურგმა“ გასვლაზე სამოყვარულო „ფორცჰაიმს“ აჯობა 2:0. ლევან ცქიტიშვილმა მთელი მატჩი ჩაატარა, ხოლო ლევან კობიაშვილი 76-ე წუთზე შეცვალეს.

ნორდერშტადტი (მ) — შტუტგარტი 0:3; გალე 96 (მ) — მაინცი (2) 1:2; რიუტლინგენი (მ) — ბოხუმი (2) 2:3; ტრირი (მ) — კარლსრუე (2) 1:1 (5:4 პენ); იურდინგენი (მ) — ტენის ბორუსია (2) 0:4; გიუთერსლო (მ) — კოტბუსი (2) 0:1; ბაბელსბერგი (მ) — უნტერჰახინგი 1:0; პირმასენსი (მ) — მიუნხენი 0:3; ფორცჰაიმი (მ) — ფრაიბურგი 0:2; დინამო (ბერლინი) (მ) — არმინია (2) 0:2; ვერდერი (მ) — ფორტუნა (2) 3:1; მეპენი (მ) — ოფენბახი (2) 2:1; პლაუენი (მ) — კიკერსი (2) 1:2; შიონბერგი (მ) — ვალდჰოფი (2) 0:3; ლანგერვეჰე (მ) — ხემნიცი (2) 0:6; ზინგენი (მ) — გრიოტერ ფიურტი (2) 1:3; ლანდსჰუტი (მ) — ჰერტა 0:2; დიუსელდორფი (მ) — ულმი 0:2; ვერლი (მ) — აინტრახტი 0:4; როზენჰაიმი (მ) — ზტ. პაული (2) 1:2; ლიუბეკი (მ) — ჰანოვერი (2) 0:1

*მ — მოყვარულები, 2 — მეორე ბუნდესლიგა*

## უკრაინა

მე-6 ტური. დინამო — ჩორნომორეცი 4:1, ზაპოროჟიე — შახტარი 1:0, ვორსკლა — პრიკარპატია 2:0, მეტალურგი — კარპატი 2:1, კრივბასი — მარიუპოლი 2:1, ზირკა — მეტალისტი 2:2, დნიპრო — ნივა 1:1, ტავრია — ცსკა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრივბასი | 6 | 5 | 1 | 0 | 13:4 | 16 |
| დინამო | 5 | 4 | 1 | 0 | 12:4 | 13 |
| მეტალისტი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:5 | 13 |
| ცსკა | 6 | 3 | 1 | 2 | 8:3 | 10 |
| ვორსკლა | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 10 |
| შახტარი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:2 | 10 |
| მარიუპოლი | 6 | 3 | 0 | 3 | 13:7 | 9 |
| კარპატი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:7 | 9 |
| ზაპოროჟიე | 5 | 3 | 0 | 2 | 7:7 | 9 |
| მეტალურგი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 |
| ტავრია | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| ნივა | 6 | 1 | 3 | 2 | 7:6 | 6 |
| პრიკარპატია | 6 | 0 | 3 | 3 | 4:10 | 3 |
| ზირკა | 6 | 0 | 3 | 3 | 4:11 | 3 |
| ჩორნომორეცი | 6 | 1 | 0 | 5 | 2:18 | 3 |
| დნიპრო | 6 | 0 | 2 | 4 | 4:13 | 2 |

## თურქეთი

პირველი ტური. ერზურუმი — დენიზლი 0:1, ფერენბაჰჩე — ვანი 3:2, გიოზთეფე — ქოჯაელი 0:0, ბურსა — ალთაი 1:4, ანთალია — ისთანბული 1:0, ადანა — ტრაბზონი 1:2, გენჩლერბირლიგი — ბეშიქთაში 1:0, სამსუნი — ანკარაგიუჯიუ 2:0, გალათასარაი — გაზიანთეფი 1:2

## საფრანგეთი

II ტური

**ტრუა 1:2 ლიონი**
0:1, 0:2 ვერელი (15, 52), 1:2 იეზიერსკი (82)

**ლე ავრი 0:0 მარსელი**

**სენტ ეტიენი 0:2 ნანტი**
0:1 მონტერუბიო (36), 0:2 სიბიერსკი (90)

**ბასტია 3:0 სტრასბური**
1:0 კაზანოვა (33), 2:0 პეტერსენი (67), 3:0 ნე (82)

**ლანსი 1:0 მონაკო**
1:0 მორეირა (40)

**სედანი 3:1 ნანსი**
1:0 დებლოკი (5), 2:0 მიონე (13), 3:0 კენი (71), 3:1 კასკარინო (77)

**მონპელიე 2:2 ბორდო**
1:0 ჯოდიჩი (20), 2:0 ლოკო (24), 2:1 მიკუ (39), 2:2 ვილტორდი (61)

**რენი 1:3 პსჟ**
0:1 რობერი (13), 1:1 დიატა (31), 1:2 მადარი (52პ), 1:3 რობერი (89)

**მეცი 3:0 ოსერი**
1:0 მეირო (17პ), 2:0 ბასტიენი (35), 3:0 საა (84)

# ახალბედობა მძიმე ხვედრია


REUTERS

რენი — პსჟ 1:3. ედუარდ სისემ (მარცხნივ), პსჟ-მ და მსაჯმა საბანი ნონდა და „რენი" დაამარცხეს

პირველ დივიზიონში დებიუტანტებს თითქმის ყოველთვის უჭირდათ. ასეა ახლაც. თავის სტადიონზე „ტრუა" თითქოს გაცილებით სჯობდა „ლიონს", მაგრამ სამი ქულა მაინც ბერნარ ლაკომბის შეგირდებმა მოიპოვეს. ცუდად მოგერიებული ბურთი, არდანიშნული პენალტი... „ტრუას" წაგებას ბევრი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი ჰქონდა. ელიტაში 21-წლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნებულ მასპინძლებს „ლიონის" კარგად მომუშავე „მანქანასთან" გამოცდილება არ ეყოთ. სანამ მოწინააღმდეგის კარს დაახლოებით 25-30 მეტრამდე მიუახლოვდებოდნენ, ალენ პერენის გაწვრთნილებს ყველაფერი კარგად გამოსდიოდათ, მერე კი...

გახსნის მატჩში შინ „მონპელიესთან" განცდილი მარცხის შემდეგ ლაკომბის გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა გამარჯვება, სხვანაირად მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა ძალიან გაჭირდებოდა. განსაკუთრებული ეშხისა და ლაზათის გარეშე სტუმრებმა თავიანთი, ფავორიტის სახელი არ შეარცხვინეს და მოიგეს. ანგარიში მე-15 წუთზე გაიხსნა. ფრედერიკ ადამმა თავისი საჯარიმოდან ბურთი კარგად ვერ გამოიტანა და იასეკ ბაკს ჩააბარა. მან წლეულს „სამპდორიადან" სამშობლოში დაბრუნებულ პიერ ლეგლს მიაწოდა, ვისი საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგაც ექსლანსელმა ტონი ვერელმა თავური დარტყმით ანგარიში გახსნა.

გაშვებულმა გოლმა „ტრუა" ვერ გატეხა. მის შემადგენლობაში განსაკუთრებით ალჟირელი ლეგიონერი რაფიკ საიფი გამოირჩეოდა, რომელმაც შეტევის მარჯვენა ფლანგზე გაილაღა, მაგრამ გრეგორი კუპეს კართან რეალური საფრთხე მაინც არ შექმნილა. მე-19 წუთზე მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრების კარგი შანსი უნდა მისცემოდათ, მაგრამ შეხვედრის არბიტრმა, ბატონმა მულენმა „ლიონის" საჯარიმოში სლადიან ლუკიჩის მოცელვაზე თვალები დახუჭა და თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა.

მეორე ტაიმი სტუმართა შეტევებით დაიწყო და ვერელს 51-ე წუთზე დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ მას მოწინააღმდეგე მეკარემ — ტონი ერტებისმა აჯობა. ვერელმა თავისი და „ლიონის" მეორე გოლი მაინც გაიტანა და ეს ზუსტად ერთ წუთში მოახერხა. სონი ანდერსონმა ვიკაშ ლორასოს გადააწოდა ბურთი, მან კი საჯარიმოში ჩაჰკიდა და ექსლანსელმა ნახტომში თავური დარტყმით მიუჩინა მას ბადეში ადგილი. ლოკომბმა იფიქრა, თამაშის ბედი გადაწყვეტილიაო და ანდერსონი, კავეგლია და დორასო ერთმანეთის მიყოლებით გამოცვალა, რაც კინაღამ ინანა კიდეც. 82-ე წუთზე ჯუკიჩის მოწოდებული კუთხურის შემდეგ იეზიერსკიმ ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. ბოლო ათმა წუთმა „ტრუას" შეტევებში გაიარა და საიფისთან უხეში თამაშისთვის მსაჯს კვლავ შეეძლო კუპეს კარში პენალტი დაენიშნა, მაგრამ მან ისევ გაჩუმება არჩია.

„სენტ ეტიენმა" პირველ საშინაო მატჩში „ნანტს" უმასპინძლა. წვიმიან ამინდში სტუმრებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. პირველ ტურში მონაკოში მიღწეული ფრის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ მასპინძლები არც „ნანტთან" დამარცხებოდნენ, მაგრამ... თამაშის დაწყების წინ „ჟოფრუა გიშარზე" თავმოყრილმა ხალხმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო 14 წლის ანდრიან ფლორენტენის ხსოვნას, რომელიც „მონაკოსთვის" პედრონის გატანილი გოლისთანავე გულის შეტევით გარდაიცვალა.

შეხვედრა „მწვანეების" იერიშით დაიწყო და მათ მიკაელ ლანდროს კართან რამდენჯერმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ „ნანტი" თავს მშვენივრად იცავდა და ლანდროც მუდმივად მოწოდების სიმაღლეზე იყო. ტაიმის მიწურულს კი ოლივიე მონტერუბიომ ანგარიშიც გახსნა. შესვენების შემდეგაც „სენტ ეტიენი" უფრო მეტს უტევდა, მაგრამ მარტო შეტევა რა ბედენაა. მეტოქის დაცვის გარღვევას იგი თითქმის ვერ ახერხებდა, სიბიერსკიმ კი მსაჯის მიერ წამატებულ დროში მეორე გოლიც გაიტანა და თბილი წვიმით დასველებულ მასპინძლებს ცივი წყალიც გადაავლო.

როგორც ლიგის თასის ფინალში, „ლანსმა" კვლავ დანიელ მორეირას გოლის წყალობით გაიმარჯვა. „მონაკო" ძალიან უხეიროდ თამაშობდა და მადლობა უნდა თქვას, დიდი ანგარიშით რომ არ დამარცხდა. შეხვედრა ორიოდ წუთის დაწყებული იყო და საფრანგეთის ნაკრების კარის დარაჯ ფაბიენ ბარტეზს უკვე სამჯერ მოუხდა თავისი ტექნიკის და საიმედოობის დემონსტრირება. მისი გუნდის დაცვა, მარტენ ჯეტუს დაბრუნების მიუხედავად, ძალიან ბევრ შეცდომებს უშვებდა. „ლანსი" მეტოქეს პრესინგს ეთამაშებოდა, რაც იწვევდა კიდეც ჯუჯა სახელმწიფოს გუნდის მცველთა შეცდომებს. „მონაკო" ძირითადად კონტრშეტევების იმედზე იყო, მაგრამ აქედან არაფერი გამოდიოდა, რადგან დავიდ ტრეზეგესა და მარკო სიმონეს აშკარად აკლდათ შეთამაშება. რასაც ვერ ვიტყვი საკო-მორეირა-ბრუნელის ტრიოზე, რომელსაც სტუმარი მცველები გამუდმებით შიშში ჰყავდა. მატჩის ერთადერთი გოლიც სწორედ ამ სამეულის ლამაზ კომბინაციას მოჰყვა — ფილიპ ბრუნელი მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და კრისტანვალის გაბითურების შემდეგ ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა. ლამინ საკომ ჭკვიანურად გაატარა და დანიელ მორეირამაც ძლიერი დარტყმით ფაბიენ ბარტეზს არანაირი შანსი არ დაუტოვა. მეორე ტაიმშიც უფრო მეტი მომენტები „სისხლისა და ოქროს ფერებს" ჰქონდათ, მაგრამ ბარტეზის დამწუხრება ველარავინ მოახერხა.

საინტერესო თამაში გაიმართა რენში, სადაც დედაქალაქური „პარი სენ ჟერმენი" იყო სტუმრად ჩასული. რომ არა მსაჯის უხეში შეცდომები, ბრეტონელები ნამდვილად არ წააგებდნენ. ანგარიში პირველი ტაიმის შემდეგ თანაბარი იყო, თუმცა „რენს" სავსებით შეეძლო მოწინააღმდეგეზე მეტი გოლის გატანა. მეორე ტაიმში კი ფეხბურთის ჟარგონი რომ ვიხმაროთ, შეხვედრის არბიტრმა პოლ ლე გუენის გუნდი „დაწვა". ჯერ იყო და ბრუნო როდრიგესის მასპინძელთა საჯარიმოში წაქცევისას, რაშიც ექსმეცელს არავინ „მიხმარებია", მან თერთმეტმეტრიანი გამოიგონა, შემდეგ კი საბანი ნონდას ბერნარ ლამას კარში გატანილი ულამაზესი გოლი არ ჩაუთვალა, აქაოდა სტუმართა მცველებმა მასთან ბრძოლისას თამაშის წესები დაარღვიესო. არადა, იმ მომენტში გოლი საერთოდ რომ არ გასულიყო (ესე იგი „უპირატესობის" წესის გამოყენებას „რენისთვის" ხეირი არ მოეტანა), პსჟ-ს კარის მიმართულებით ათიდან რვა მსაჯი არანაირ ჯარიმას არ დანიშნავდა. 88-ე წუთზე მასპინძლებს მაინც შეეძლოთ გათანაბრება, მაგრამ ლამამ ბარდონს გოლის გატანის საშუალება არ მისცა. კონტრშეტევისას კი „მონპელიედან" ახლახან შეძენილმა რობერმა ლამაზი ბურთი შეაგდო „რენის" კარში და პსჟ-მაც წინა სეზონში ნაწვნევი მარცხისთვის რევანში აიღო.

გაიოზ თალაკვაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ნანტი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| მარსელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| მეცი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ბორდო | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| მონპელიე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ბასტია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლანსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| სედანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ოსერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| სტრასბური | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| მონაკო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლე ავრი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| სენტ ეტიენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| რენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ტრუა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ნანსი | 2 | 0 | 0 | 0 | 2:5 | 0 |

### II დივიზიონი

მე-2 ტური: გენგამი — კრეტეი 0:2; ლე მანი — ნიორი 2:2; კაენი — ვასკეალი 0:0; კანი — ტულუზი 0:2; ვალანსი — ლუანი 3:0; ლორიანი — შატორუ 1:1; გენიონი — აიაჩო 2:2; სოშო — ნიცა 2:1; ლილი — ნიმი 1:0; ამიენი — ლავალი 1:1

## შვეიცარია

მე-7 ტური: გრასჰოპერი — ლუგანო 2:1; სტ. გალენი — ივერდონი 3:2; დელემონი — ქსამაქსი 2:2; ლოზანა — ციურიხი 2:0; ლუცერნი — არაუ 2:1; სერვეტი — ბაზელი 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტ. გალენი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| სერვეტი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| გრასჰოპერი | 7 | 3 | 3 | 1 | 12:5 | 12 |
| ლუცერნი | 7 | 3 | 2 | 2 | 87 | 11 |
| ივერდონი | 6 | 2 | 3 | 1 | 86 | 9 |
| ქსამაქსი | 7 | 1 | 5 | 1 | 10:12 | 8 |
| არაუ | 7 | 2 | 2 | 3 | 9:11 | 8 |
| ბაზელი | 5 | 1 | 4 | 0 | 7:4 | 7 |
| ლოზანა | 7 | 1 | 3 | 3 | 67 | 6 |
| ლუგანო | 7 | 1 | 3 | 3 | 810 | 6 |
| ციურიხი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:11 | 6 |
| დელემონი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:16 | 5 |

## შოტლანდია

II ტური

**სელტიკი 3:0 სტ. ჯონსტონი**
1:0 მოლბიუ (6), 2:0 ვიდუკა (28), 3:0 ვიგჰორსტი (50)

**ჰართსი 0:4 რეინჯერსი**
0:1 რეინა (14), 0:2 მოლსი (45), 0:3 ალბერცი (67), 0:4 რეინა (73)

**კილმარნოკი 2:0 აბერდინი**
1:0, 2:0 ჰეი (38, 62)

**მოზერუელი 2:2 დანდი იუნ.**
1:0, 2:0 მაკალოჰი (17, 36), 1:2 დოდსი (60პ), 2:2 ფერასი (80)

**დანდი 3:4 ჰიბერნიანი**
0:1 ლემანი (32), 1:1 ლოვერინგი (56ს.კ.), 2:1 მაკსკიმინგი (57), 2:2 სოზე (60), 3:2 ანანდი (73პ), 3:3 სოზე (84), 3:4 მილერი (90)

ჯონ ბარნსის „სელტიკმა" ფანტასტიკური სტარტი აიღო. ორ მატჩში რვა ბურთი გაიტანა და არც ერთი გაუშვია. ჩინებულად ითამაშა „რეინჯერსმაც". მეორე ტურშივე ცხადი გახდა, რომ ამ ორთან წლეულსაც ახლოს ვერავინ მივა. თუმც გასაკვირი ის იქნებოდა, სხვაგვარად მომხდარიყო. შაბათს ორივე ლიდერმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. „რეინჯერსის" შემადგენლობაში საუკეთესო ამერიკელი კლაუდიო რეინა გახლდათ, უცხოელები გამოირჩნენ „სელტიკშიც" — იოჰან მიელბიუ, მარკ ვიდუკა და მორტენ ვიგჰორსტი.

ტურის ბოლო მატჩი კი კვირას გაიმართა და დრამატულიც გამოდგა. მასპინძელი „დანდი" ორჯერ უგებდა „ჰიბერნიანს", მაგრამ სტუმრებმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და მაინც გაიმარჯვეს — გადამწყვეტი გოლი ბოლო წუთზე მილერმა გაიტანა.

მარკ ვიდუკა და კლაუდიო რეინა კი სამ-სამი გოლით ბომბარდირთა სიას ლიდერობენ.

სანდრო გარეჯელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| რეინჯერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ჰიბერნიანი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:5 | 4 |
| დანდი იუნ. | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| კილმარნოკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ჰართსი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| მოზერველი | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| დანდი | 2 | 0 | 0 | 2 | 4:6 | 0 |
| სტ. ჯონსტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |
| აბერდინი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |


REUTERS

სელტიკი — სტ. ჯონსტონი 3:0. „სელტიკის" ებრაელი ეიალ ბერკოვიჩი სტუმარ პოლ კეინის გაექცა

# თქვენი დოკუმენტები?!

გუშინ ოფიციალურად დაიწყო: მეომარმა ზულუმ და დროშებიანმა სკოლის მოსწავლეებმა გახსნეს ცერემონიალი, რომელმაც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლას დასაბამი დაუდო — ციურიხში სამხრეთ აფრიკამ, ინგლისმა და მაროკომ ფიფას თავიანთი განაცხადები წარუდგინეს.

შემდეგ კი პომპეზური არაფერი მომხდარა. ნაცვლად მოსალოდნელი ზარზეიმისა ხუთიდან სამმა კანდიდატმა უბრალოდ გადასცა დოკუმენტი ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერსა და გენერალურ მდიან მიშელ ზენ-რუფინენს. დღეს ზუსტად ოჯივე განმეორდება, ბლატერი და ზენ-რუფინენი ბრაზილიელებსა და გერმანელებს გამოართმევენ ქაღალდებს. ორივე ქვეყანას მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი პიროვნებები წარმოადგენენ: ბრაზილიელებს ზიკო, დუნგა და კარლოს ალბერტო, ხოლო გერმანელებს ფრანც ბეკენბაუერი.

სამხრეთ აფრიკელებს ყველაზე დასამახსოვრებელი წარმომადგენელი ზემოხსენებული ზულუ ჰყავდათ, ხოლო ინგლისელებს, რომელთაც ცერემონიალზე 15 წუთით დააგვიანდათ, ბობი ჩარლტონი, ჯეფ ჰერსტი, მაიკლ ოუენი და გადამდგარი სპორტის მინისტრი ტონი ბენქსი გამოეგზავნათ. მსუბუქი ლანჩის შემდეგ ოფიციალური განაცხადი გააკეთა მაროკომაც. ამ ქვეყნის სახელით — სამხრეთ აფრიკის მსგავსად — ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გამოვიდა.

შეგახსენებთ, რომ კანდიდატებს თავიანთი უპირატესობის დასამტკიცებლად ერთი წელიწადი აქვთ, მერე კი მათ ბედს ფიფას საგანგებო, 24 კაციანი დელეგაცია გადაწყვეტს.


REUTERS

ბობი ჩარლტონი, მაიკლ ოუენი, ზეპ ბლატერი და მიშელ ზენ-რუკინენი — როგორ ხასიათზე იქნებიან ისინი ერთი წლის შემდეგ

## ესპანეთი

### სუპერთასის პირველი მატჩი

**ვალენსია 1:0 ბარსელონა**

ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ბიორკლუნდი, ჯუკიჩი, კარბონი (ფიაჯინი 80), ალბელდა, ანგულო, ფარინოსი (ოსკარი (78), მენდიეტა, ლოპესი, ილიე (ხუან სანჩესი 68)

ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, ფ. დე ბური, სერხი, გვარდიოლა (დეუ 50), ლუის ენრიკე, კოკუ (გაბრი გარსია 76), ფიგუ, ლიტმანენი, კლუივერტი, ზენდენი (სიმაო საბროსა 58)

1:0 ლოპესი (85)

საპასუხო მატჩი წინაა, 15 აგვისტოს გაიმართება ბარსელონაში და მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეებს სხვადასხვა მიზანი აქვთ, ალბათ, საინტერესო იქნება — ყოველ შემთხვევაში არანაკლებ, ვიდრე ვალენსიის „მესტალაზე" გამართული გახლდათ.

გუნდებს, რომ სხვადასხვა მიზანი ჰქონდათ და აქვთ, ეს იმთავითვე ცნობილი ამბავი გახლდათ. ერთი მხრივ „ბარსელონა", რომელსაც ესპანეთის სუპერთასი არად ულირს, წინ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებები ელის და აქედან გამომდინარე „ვალენსიასთან" თამაშს უფრო მოსამზადებლად იყენებს. მეორე მხრივ, „ვალენსია", რომლისთვისაც სუპერთასი საქმეა, მითუმეტეს, რომ მეტოქე „ბარსელონაა", რომლის დამარცხებაც ყოველთვის პრესტიჟულია. და კიდევ, „ბარსელონას" ძლევით და სუპერთასის მოპოვებით ვალენსიელთა ახალი მწვრთნელი, არგენტინელი ექტორ კუპერი ქომაგთა თვალში ამთავითვე მნიშვნელოვან ქულას მოიპოვებს და განამტკიცებს რწმენას, რომ მას ამ გუნდშიც შეუძლია ჩაიდინოს ისეთი სასწაული „მალიორკაში" რომ ჩაიდინა.

„მესტალაზე" დანიშნული შეხვედრის წინ ცნობილი იყო ის გარემოებაც, რომ ესპანეთის ჩემპიონს არ ეყოლებოდა რივალდო და ხავი ერნანდესი, რომელმაც ჰოლანდიაში სეზონისწინა შეკრების დროს ტრავმა მიიღო და ჯერ არ მოშუშებულა. გარდა ამისა საეჭვო გახლდათ აბელარდოს, რაიციგერისა და კოკუს მოედანზე გასვლაც, თუმცა ბოლოს რაიციგერმა და კოკუმ შეძლეს თამაში, აბელარდო კი რივალდოსა და ხავის კომპანიას შეუერთდა.



REUTERS ვალენსიადან

ვლენსიელი მიგელ ანხელ ანგულოს თავურს ბარსელონელი სერხი შეჰყურებს

„ვალენსიას" არავინ აკლდა. მაყურებელი მოუთმენლად ელოდა ყოფილი ბარსელონელის, ოსკარ გარსიას სასტარტო შემადგენლობაში გამოჩენასაც, მაგრამ კუპერმა იგი მოედანზე მხოლოდ 12 წუთი შეუშვა ფარინოსის მაგვირად.

შეხვედრის ბედი კი არგენტინელმა კლაუდიო ლოპესმა გადაწყვიტა. თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მან მიგელ ანხელ ანგულოს მოზომილი გადაცემა მიიღო და გაწოლილი თავურით მოახერხა ბურთის რუუდ ჰესპის კარში შეგდება.

„ვალენსია" გოლის გატანას ნამდვილად იმსახურებდა, ვინაიდან თამაშის უმეტესი დროის განმავლობაში ერთობ ყოჩაღ ფეხბურთს თამაშობდა. „ბარსელონას" ქომაგები კი ჰესპისა და ლუის ენრიკეს მადლიერნი უნდა იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრის დასაწყისში მე-15 წუთზევე მოახერხა „ვალენსიამ", კერძოდ კი ანგულომ გოლის გატანა, მაგრამ მსაჯმა იგი ოფსაიდის გამო არ ჩათვალა. ხუთი წუთის შემდეგ ლოპესის მეცადინეობის შედეგად მენდიეტას ჩაუვარდა ხელთ გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ მან დაახლოებით 10 მეტრიდან ბურთის მიზნისთვის აცილება მოახერხა. მოგვიანებით იმავე ლოპესსა და ადრიან ილიესაც ჰქონდა მომენტები.

**მიხეილ სურგულაძე**

### ფეხბურთის რუკასთან

**პორტუგალიის** სუპერთასზე „პორტუმ" „ბეირა მარი" დაამარცხა 2:1. ეს გახლდათ, პირველი შეხვედრა. ანგარიში 67-ე წუთზე „ბეირა მარის" ფეხბურთელმა ფარი ფაიემ გახსნა, მაგრამ ერთ წუთში დომინგუშ ოლივეირამ გაათანაბრა, 73-ე წუთზე კი ესკერდინიამ პორტუელთა გამარჯვების გოლი შეაგდო.

**ფრანგი** ნიკოლა ანელკას ლონდონის „არსენალიდან" მადრიდის „რეალში" გადასვლის გაწელილი და მომაბეზრებელი ამბავი დასრულდა და ახლა ფეხბურთელი საქმესაა შემდგარი. ინტრიგებით და სიჯიუტით გადაღლილს „რეალის" მწვრთნელმა, ჯონ ტოშაკმა საგანგებო ვარჯიშები დაუნიშნა. იგი გუნდისგან დამოუკიდებელ პროგრამას ასრულებდა. „ანელკას მიმართ ნელა უნდა ვიმოქმედოთ" — განუცხადა ტოშაკმა ესპანურ გაზეთებს — „მას ერთი ხანი გაუცდა და გონს მოსაგებად დრო სჭირდება. ჩვენი სურვილია სეზონის დასაწყისში მას საუკეთესო ფორმა აღვადგენინოთ და ამიტომაც შევიმუშავეთ საგანგებო საწვრთნელი პროგრამა. გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლებას გმხოლოდ ამის შემდეგ მივცემთ". ესპანეთის პირველობა 21 აგვისტოს იწყება. პირველ ტურში მადრიდელები „მალიორკას" ესტუმრებიან. „ძირითად შემადგენლობაში თამაში არავის აქვს გარანტირებული" — დასძინა ტოშაკმა — „ანელკა მორიენტესის კონკურენტი იქნება. ზოგ შეხვედრაში შეიძლება ამ ორმა ფორვარდმა ერთადაც კი ითამაშოს".

**შოტლანდიელი** მწვრთნელის, გრემ სუნესის სახელი ბოლოხანს „ჰართსთან" დააკავშირეს. BBC-ს განცხადებით 46 წლის სპეციალისტმა, რომელიც ბოლოს ლისაბონის „ბენფიკას" ედგა სათავეში თანხმობა განაცხადა იმ ბიზნესმენთა ჯგუფთან დაკავშირებაზე, რომელიც ედინბურგული კლუბის შესყიდვასა და „რეინჯერსისა" და „სელტიკის" კონკურენტად გარდაქმნას გეგმავს. მოგეხსენებათ, სუნესი წარმოშობით ედინბურგელია.

**ინგლისის** ქალაქ ლიდსში, უფრო ზუსტად საფეხბურთო კლუბ „ლიდს იუნაიტედის" სტადიონ „ელანდ როუდზე" დადგეს ამ გუნდისა და შოტლანდიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავის ბილი ბრემნერის ბრინჯაოს ქანდაკება. ბრემნერი გახლდათ ნახევარმცველი, რომლის სახელთან მნიშვნელოვნად გახლავთ დაკავშირებული „ლიდს იუნაიტედის" 1960-იანი წლებისა და 70-იანების დასაწყისის დიდება. იგი 1997 წელს გარდაიცვალა. სამ მეტრიანი ქანდაკება გოლით მოზეიმე ბრემნერს გამოხატავს.

**ესპანეთის** ნაკრებისა და „ბარსელონას" ყოფილი მცველი მიგელ ანხელ ნადალი „მალიორკასთან" სამი წლით აკავშირებს ბედს. ნადალი 33 წლისაა და ეროვნულ გუნდში 45 თამაში აქვს ჩატარებული. 1991 წელს „ბარსელონაში" მისვლის შემდეგ მან ხუთჯერ მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული, ორჯერ ქვეყნის თასის მფლობელი გახლდათ, ხოლო 1992 წელს ევროპის ჩემპიონთა თასიც აღმართა.

**უელსის** პოლიციის ცნობით „კარდიფ სიტისა" და „მილუოლის" შეხვედრის დროს თოთხმეტი გულშემატკივარი დაიჭრა, ხოლო ექვსი დააპატიმრეს. ასე შეხვდნენ ქომაგები ინგლისის მეორე დივიზიონის პირველობის დაწყებას. „მილუოლი" ლონდონის გუნდია, რომელსაც კარდიფში 700 ფანი გაჰყვა. აღსანიშნავია, რომ ორივე კლუბის მხარდამჭერთ, ბრიტანეთში ჩხუბისთავთა რეპუტაცია აქვთ. ქომაგებს შორის ჩხუბი თავიდან ქალაქში ატყდა, მერე კი სტადიონზე. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

**კოლუმბიელი** ფეხბურთელი, თავდამსხმელი ედვინ კონგო მადრიდის „რეალისგან" ერთი წლით „ვალიადოლიდმა" „ისესხა", 22 წლის კონგო „რეალმა" იმიტომ გასცა, რომ შემადგენლობაში ძალიან ბევრი არაევროპელი დაუგროვდა. კონგოს კოლუმბიის ნაკრებში ექვსი თამაში აქვს ჩატარებული. მან ამასწინანდელ „კოპა ამერიკაზე" კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

# გრონკიაერისა და ლაუდრუპის გამოცვლამ აიაქსი დაღუპა

## ბლინდი არველაძისა და ვამბერტოს გამოყვანას ვოუტერსის შეცდომად მიიჩნევს

## ჰოლანდია

### სუპერთასი

**ფეიენოორდი 3:2 აიაქსი**

1:0 ტომასონი (13), 2:0 კალუ (15), 2:1 კნოპერი (45), 2:2 გრონკიაერი (53), 3:2 პააუვე (86)

სუპერთასისთვის შემადგენლობა იან ვოუტერსმა „სოუბორგთან" ბოლო საკონტროლო მატჩში შეარჩია, რომელსაც ამსტერდამელებმა 4:0 მოუგეს. სწორედ იქ გადაწყდა, რომ „ფეიენოორდის" წინააღმდეგ ძირითადში არ ითამაშებდა შოთა არველაძე. ვოუტერსმა თავდასხმაში ახალწვეულების — კნოპერის და პიკეს დაყენება გადაწყვიტა.

თამაშის პირველივე წუთებზე გამოჩნდა, რომ მოგებას „ფეიენოორდი" იმსახურებდა. ვან ფოსენმა, ვან გობელმა და პააუვემ „აიაქსის" დაცვა ოთხი-ხუთი მძლავრი შეტევის შემდეგ დაშალეს და 15 წუთში ორი ბურთით დაწინაურდნენ.

შესანიშნავად თამაშობდა კალუ, რომელსაც ვერლაატმა ვერაფერი მოუხერხა.

მე-18 წუთზე კალუმ მარჯვენა ფრთაზე გაინავარდა და თავისუფალი დანიელი დალ-ტომასონი მონახა, რომელმაც მეკარე გრიმს შანსი არ დაუტოვა — 1:0.

ორიოდ წუთში კი იმავე კალუმ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი თავით გადაგზავნა „აიაქსის" კარში — 2:0.

„ფეიენოორდს" პირველ ტაიმშივე შეეძლო შეხვედრის დასრულება, მაგრამ მე-40 წუთზე კონტერმანმა ასპროცენტიანი მომენტი გააფუჭა.

მეორე ნახევარში „ფეიენოორდმა" ტაქტიკა შეცვალა და ანგარიშის შენარჩუნების ნაცვლად ქაოსური შეტევებით ეკვეთა ამსტერდამელთა კარს, რითაც საკუთარი დაცვის ხაზი მთლიანად გააშიშვლა.

„აიაქსმა" ორივე გოლი ორი თავდამსხმელის ერთ მცველთან დარჩენისას გაიტანა.

45-ე წუთზე მახლასი-კნოპერი შეატოვეს დუდეკს, 53-ე წუთზე კი უკვე არონ ვინტერის და გრონკიაერის დუეტი დარჩა დუდეკისა და რზასას წინააღმდეგ — 2:2.

მატჩის შემდეგ აიაქსის ყოფილმა მცველმა დენი ბლინდმა განაცხადა, გრონკიაერის მეორე გოლმა იმიტომ ვერ შეიტანა მატჩში გარდატეხა, რომ ვოუტერსმა მიუტევებელი შეცდომები დაუშვა. მან ჯერ (82-ე წუთზე) შესანიშნავად მოთამაშე გრონკიაერი შეცვალა არველაძით, შემდეგ (85-ე წუთზე) კი მას ლაუდრუპიც მიაყოლაო.

„ფეიენოორდმა" სწორედ ლაუდრუპის გასვლის შემდეგ გაიტანა გამარჯვების გოლი. 86-ე წუთზე პატრიკ პააუვემ უზუსტესად შეასრულა საჯარიმო დარტყმა — 3:2.

„ჩვენ უფრო ძლიერები ვიყავით, „ფეიენოორდმა" საკუთარი ძალა თავდასხმაში დღეს კარგად გამოავლინა, ვან ვონ დერენის დაბრუნების შემდეგ დაცვაც გაუვალი გახდება" — თქვა „ფეიენოორდის" გახარებულმა თავკაცმა.

**სიმონ მენაბდე**



REUTERS ამსტერდამიდან

ჰოლანდიის ჩემპიონმა „ფეიენოორდმა" ახალი სეზონი წარმატებით გახსნა

# ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

## იტალია

FEDERAZIONE ITALIANA GIUOCO CALCIO

მილანი: კრისტიან ციგე* (მიდლსბრო, ინგლისი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრეა კრუზი (ტორინო), დეიან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია), მორფეო (ფიორენტინა), ოდო (ნაპოლი), კოკო (ტორინო), [illegible] (რეჯინა), დიდა (კორინთიანსი, ბრაზილია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე აშენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტო (ემპოლი)**; ლაციო: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა)**; იუვენტუსი: ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი)**; ინტერი: იური ჯორკაეფი* (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარი (ლეჩე), კალონი (კალიარი)**; ფიორენტინა: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი)**; პარმა: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კელმესი, არგენტინა)**; რომა: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია)**; ბოლონია: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მაინი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როკატი (რავენა)**; უდინეზე: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალორი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯანა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილე (ატალანტა), პისარო (უენდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლერუა, ბელგია), აკვასი (ლუგანო, შვეიცარია)**; ბარი: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარი (ინტერი)**; კალიარი: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანონჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილიზო (ვიჩენცა), მაიელი (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა)**; ლეჩე: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარი (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), კიმენტი (რომა), კიშიშევი (ლიტექსი, ბულგარეთი)**; პერუჯა: კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯანა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნივერსიდადე კათოლიკა, ჩილე), ბერნანდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი)**; პიაჩენცა: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი)**; რეჯინა: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა)**; ტორინო: ფატორი (ვიჩენცა); **ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტცი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), კრუზი (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიავარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკაია (იუვენტუსი)**; ვენეცია: რეკობა (ინტერი), აპინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია)**; ვერონა: ფლორიო (რეჯინა); **ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), სპეხარი (მონაკო, საფრანგეთი), ფრეი (ინტერი), ანასტაზი (ფოჯა)**.

## ესპანეთი

REAL FEDERACION ESPAÑOLA DE FUTBOL

ბარსელონა: სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია), ოკუნოვო (ბენფიკა, პორტუგალია), პელეგრინო (ველესი, არგენტინა); **დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმაო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია)**; რეალი: ფერნანდო სანსი (მალაგა), ხაიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), როხასი (მალაგა), კონტრერასი (მალაგა), ედგარი (მალაგა), ეტო (მალაგა), დავორ შუკერი (არსენალი, ინგლისი); **ნიკოლა ანელკა* (არსენალი, ინგლისი), ელვირ ბალიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიჩელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი (ვალიადოლიდი), კონგო (კალდესი, კოლუმბია), ნჯიტაპი (გენჩლერბირლიგი, თურქეთი)**; სელტა: მიჩელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კრუიფი (მანჩესტერი, ინგლისი), ეგენი (ალავესი), ხოსემა (ოსასუნა); **გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ექტორ ტურდო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), ჯოვანელა (სალამანკა), ველასკო (სევილია), პაბლო (ნუმანსია), სერხიო (სპორტინგი)**; სარაგოსა: გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პიერი (ტენერიფე), მარტინ ველისკა (სალამანკა)**; ატლეტიკო: ხუან კარლოს კარსედო (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კაპდევილა (ესპანიოლი), ჯიმი ჰასელბაინკი (ლიდსი, ინგლისი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ველიკო პაუნოვიჩი (მალიორკა), ტონი (ესპანიოლი), უგო ლეალი (ბენფიკა, პორტუგალია), პილიპაუსკასი (ბელა ვისტა, ურუგვაი)**; ბეტისი: ნადი (ოვიედო), არპონი (ოსასუნა); დეპორტივო: მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი, ინგლისი), ხავიერ მანხარინი (რასინგი), არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); **ხაიმე (რეალი), ხოსე მანუელი (სპორტინგ ხიხონი), სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე), ივან პერესი (ბორდო, საფრანგეთი), ვიქტორი (რასინგი, სანტანდერი), მანელი (ოვიედო), ცეზარი (ოვიედო), რუბიო (რეალი), მაკაი (ტენერიფე)**; მალიორკა: დანი (ბარსელონა), მარსელინო (ნიუკასლი, ინგლისი), ველიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო), პინედა (უდინეზე), ჩუპა ლოპესი (სან ლორენცო, არგენტინა), რუფეტე (მალაგა); **არმანდო (დეპორტივო), ხერმან ბურგოსი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ივან სესარ გაბრიჩი (ესტრემადურა), სერისუელა (ლანუსი, არგენტინა), კუინტეროსი (არგენტინოს ხუნიორსი)**; ბილბაო: კორინო (ესპანიოლი), ნაგორე (ნუმანსია), ხორხე პერესი (ნუმანსია); **ედუ ალონსო (სალამანკა), ორბაისი (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), არტურო სივორი (ალავესი), ბოლო (რაიო ვალეკანო)**; სოსიედადი: იგორ ცვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია), გრაცია (ვილიარეალი); **ბონილა (რენისტასი, ურუგვაი)**; ალავესი: ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), არტურო სივორი (ბილბაო), ივან როჩა (სარაგოსა), ალფონსო (ოსასუნა), ვიტამინა სანჩესი (ფეიენოორდი, ჰოლანდია); **ალექს დიას ვეგა (ნუმანსია), მორენო ვარელა (ნუმანსია), ოსკარ ტელესი (ვილიარეალი), ჰერარა (ფერო კარილ ოესტი, არგენტინა), კონტრა (დინამო, ბუქარესტი, რუმინეთი), ეგენი (სელტა), მინგო (სპორტინგი), მორალესი (ერკულესი), ნან რიბერა (ესპანიოლი), ხავი მორენო (ნუმანსია), კოდრო (ტენერიფე)**; ვალენსია: ოსკარ ტელესი (ალავესი), პოპესკუ (პორტუ, პორტუგალია), ლუკარელი (სამპდორია); **დავიდ ალბელდა (ვილიარეალი), დანიელ ფაჯიანი (ნეველს ოლ ბოისი, არგენტინა), ლოპეს გერარდი (ალავესი), ოსკარ გარსია (ბარსელონა), ხუან სანჩესი (სელტა), პალოპი (ვილიარეალი), კაზეირო (ბენფიკა, პორტუგალია)**; რასინგი: ფროდ გროდასი (შალკე 04, გერმანია), ვიქტორი (დეპორტივო); **ხავიერ მანხარინი (რასინგი), მარსელო ესპინია (კოლო-კოლო, ჩილე), კოლსა (ლოგრონიესი)**; მალაგა: **კონტრერასი (რეალი), ედგარი (რეალი), როხასი (რეალი), ფერნანდო სანსი (რეალი); კიკი მუსამპა (ბორდო, საფრანგეთი), რუფეტე (მალიორკა)**; ოვიედო: მორა (ესპანიოლი), მანელი (დეპორტივო); **უნსუე (ტენერიფე), კლასენსი (ბრიუგე, ბელგია), ნადი (ბეტისი), ოსკარ ალვარესი (ბარსელონა B)**; ესპანიოლი: ტონი (ატლეტიკო), ელგერა (რეალი), კაპდევილა (ატლეტიკო), ნან რიბერა (ალავესი), პაჩეტა (ნუმანსია); **ნავასი (უდინეზე, იტალია), ტონი ველამასანი (ესტრემადურა), მოლნარი (ზალაეგერცეგი, უნგრეთი), ცეზარ სანტისი (უნიონი, ჩილე), კორინო (ბილბაო), როტჩენი (ინდეპენდიენტე, არგენტინა), მორა (ოვიედო)**; სევილია: ველასკო (სელტა); **ანხელი (ნუმანსია), ფრედი (სპორტინგი), გალვანი (რეკრეატივო)**; ვალიადოლიდი: ხულიო ცეზარი (რეალი), რაული (პუებლა, მექსიკა), გუტიერესი (პუებლა, მექსიკა), დუტუელი (პუებლა, მექსიკა); **ტენა (რეალი), ლუისი (ბარსელონა B)**; ნუმანსია: პალაციოსი (მერიდა), პაბლო (სელტა), ხავი მორენო (ალავესი), მოისესი (ტენერიფე), ანხელი (სევილია); **მანუსოვიჩი (სან ლორენცო, არგენტინა), მუნისი (რაიო ვალეკანო), პაჩეტა (ესპანიოლი), ხორხე პერესი (ბილბაო), ნაგორე (ბილბაო)**; რაიო ვალეკანო: ბოლო (ბილბაო), მუნისი (ნუმანსია)

## გერმანია

ბაიერნი თომას ჰელმერი (სანდერლენდი), ალი დაეი (ჰერტა); **პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი), როკე სანტა კრუზი (ოლიმპია ასუნსიონი), მიხაელ ვისინგერი (ნიურნბერგი), პაულო სერჟიო (რომა)**; ლევერკუზენი ერიკ მეიერი (ლივერპული), იან ჰაინცე (ეინდჰოვენი), ჰანს-პეტერ ლენჰოფი ?, ნიკო კოვაჩი (ჰამბურგი), რუდიგერ ფოლბორნი (კარიერა დაასრულა), პატრიკ ფალკი (აინტრახტი), პაოლო რინკი (სანტოსი), ადამ ლედვონი, მეჰდი პაშაზადე (ორივე ფორტუნა); **მიხაელ ბალაკი (კაიზერსლაუტერნი), რობსონ პონტე (გუარანი), ბერნდ შნაიდერი (აინტრახტი), ტომას ბრდარიჩი (ფორტუნა), ოლივერ ნოივილე (ჰანზა), ფრანკ იურიჩი (დიუსელდორფი), ვრატისლავ გრეშკო (ბრატისლავა), ტორბენ ჰოფმანი (ფრაიბურგი), მიროსლავ შპიცაკი (ურდინგენი)**; ჰერტა კრისტიან საბა (ბაიერნი), კარსტენ ლაკისი (ვალდჰოფი); **ალი დაეი (ბაიერნი), სებასტიან დაისლერი (მიონხენგლადბახი), კაი მიხალკე (ბოხუმი), კოსტას კონსტანტინიდისი (პანათინაიკოსი), მარკო რემერი (ჰანზა), დენის მაკერტი (ვალდჰოფი)**; დორტმუნდი ბაშირუ სალუ (აინტრახტი), რენე შნაიდერი (ჰანზა), თომას ჰესლერი (მიუნხენ 1860), თომას ჰენგენი (ბეშიქთაში), მანფრედ ბინცი (ოფენბახი), მარტინ კრეე ?, ჰარი დეშეიველი (კარიერა დაასრულა), სკოტ ბუტი (ტვენტე), სტეფან შაპუიზა (გრასჰოპერი), კრისტიან ტიმი (კიოლნი); **ვიქტორ იკპება (მონაკო), კრისტიან ვიორნსი (პსჟ), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), ჯუზეპე რეინა (არმინია), ოტო ადო (ჰანოვერი), სეად კაპეტანოვიჩი (ვოლფსბურგი)**; კაიზერსლაუტერნი მიხაელ ბალაკი (ლევერკუზენი), თომას რიდლი (მიუნხენ 1860), ოლივერ შეფერი (ბეშიქთაში), უვე როსლერი (ბერლინი), დანიელ გრაფი (ფორტუნა), პასკალ ოჯიგვე (კიოლნი); **იური ჯორკაეფი* (ინტერი, იტალია), ტომას სობოჩიკი (აინტრახტი), ჯეფ შტრასერი (მეცი), სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი), იგლი ტარე (დიუსელდორფი), იორგენ პეტერსონი (მიონხენგლადბახი), სილვიო აჯიჩი, რომან ვაიდენფელერი (სამოყვარულო გუნდიდან)**; ვოლფსბურგი როი პრეგერი (ჰამბურგი), სეად კაპეტანოვიჩი (დორტმუნდი), მარიან კოვაჩევიჩი (დუისბურგი), კლაუდიო რეინა (გლაზგო რეინჯერსი), უვე ციმერმანი (ბრაუნშვაიგი), ჯონათან აკპობორი (ოსნაბრუკი), დრაგან სტეფანოვიჩი ?; **დორინელ მუნტეანუ (კიოლნი), ჯონათან აკპობორი (შტუტგარტი), კრისტიან ვუკი (უგუნდოდ), მარკუს ფელდჰოფი (მიონხენგლადბახი), პატრიკ ვაიზერი (რენი), კრისტიან ბრანდი (ვერდერი), მარტინ ბილიშკოვი (ჰაიდუკი)**; ჰამბურგი სერგეი კირიაკოვი (ბერლინი), თომას ფოგელი (მიონხენგლადბახი), მარტინ დალინი (ბლექბერნი), ალექსანდერ კურტიანუ (კიშინიოვი), ოლივერ შტრაუბე (უნტერჰახინგი), ალან იეპსენი (ჰერენვენი); **მეჰდი მაჰდავიკია (ბოხუმი), ნიკო კოვაჩი (ლევერკუზენი), როი პრეგერი (ვოლფსბურგი)**; დუისბურგი სლობოდან კომლიენოვიჩი (კაიზერსლაუტერნი), პასკალ ტიულერი (სენტ გალენი), მარტინ ფრიდეკი (ტეპლიცე); **მიხაელ ცაიერი (შტუტგარტი), მარიან კოვაჩევიჩი (ვოლფსბურგი), მარტინ შნაიდერი (მიონხენგლადბახი), რალფ კაიდელი (ნიუკასლი), ანდრეას ვოსი (ლევერკუზენი)**; მიუნხენ 1860 აბდერაჰიმ ოუაკილი (ბერლინი), ბერნდ მაიერი (მიონხენგლადბახი), შტეფან მალცი (არსენალი), მანფრედ ბენდერი (კარლსრუე), ბერნდ ჰობში (ნიუნბერგი); **კრისტიან პროზენიკი, მარკუს პორკი (ორივე რაპიდი, ვენა), ტომას ვოტავა (სპარტა), თომას ჰესლერი (დორტმუნდი), მარტინ მაქსი (შალკე), შტეფან პასლაკი (მიონხენგლადბახი), თომას რიდლი (კაიზერსლაუტერნი)**; შალკე ჰამი (ტრაბზონსპორი), ფილიპ ტაპალოვიჩი (მიუნხენ 1860), რენე აიკელკამპი (კარიერა დაასრულა), მარტინ მაქსი (მიუნხენ 1860), ფროდე გროდასი (სანტანდერი), საშა ვოლფი (ესენი); **ტომაშ ვალდოხი (ბოხუმი), მილს ოუდე-კამპუსი (ტვენტე), ებე სანდი (ბრონდბიუ)**; შტუტგარტი ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი), ჯონათან აკპობორი (ვოლფსბურგი), ფრანკ ვერლაატი (აიაქსი), მიხაელ ცაიერი (დუისბურგი); **პაველ კუკა (ნიუნბერგი), იენს ტოდტი (ვერდერი), ჰაიკო გერბერი (ნიურნბერგი)**; ფრაიბურგი დამირ ბურიჩი (მიონხენგლადბახი), ტორბენ ჰოფმანი (ლევერკუზენი), იორნ შვინკენდორფი (ვალდჰოფი), მაიკ რიტპიჩი (ბოხუმი); **ბიორნ დრეერი (ნორდერშტადტი), ტობიას ვილი (სამოყვარულო გუნდიდან), ანდრეას ცაიერი (ბოხუმი), ოუმარ კონდე (ბლექბერნი), ფლორიან ბრუნსი (ოლდენბურგი)**; ვერდერი იენს ტოდტი (შტუტგარტი); **ფრანკ ბაუმანი (ნიურნბერგი)**; ჰანზა ოლივერ ნოივილე (ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰერტა), იენს დოვე (რაპიდი, ვენა); **რენე შნაიდერი (დორტმუნდი), აბდელაზიზ აჰანფუფი (უნტერჰახინგი)**; აინტრახტი თომას სობოჩიკი (კაიზერსლაუტერნი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), იშტვან პისონტი (ჰაპოელი), დამირ სტოიაკი (ნაპოლი), ზვოლტ პეტრი (კავალა), ტორე პედერსენი (უიმბლდონი), ბურჰანეთინ კაიმაკი (იზმირი), საშა ამშტეტერი (ურდინგენი), ტორსტენ ფლიკი (საარბრუკენი); **ბაშირუ სალუ (დორტმუნდი), ეროლ ბულუტი (ფენერბაჰჩე), ჰორს ჰელდტი (მიუნხენ 1860), პატრიკ ფალკი (ლევერკუზენი), როლფ-კრისტელ გუიე-მიენი (კარლსრუე), ტორსტენ კრახტი (ბოხუმი)**; არმინია ჯუზეპე რეინა (დორტმუნდი), ჰენრიკ ბალუშინსკი, სვენ ბოი (ორივე ბოხუმი); **მარსიო ბორჯესი (ვალდჰოფი), დირკ ვან დერ ვენი (ურდინგენი), კრისტიან საბა (ჰერტა), მარკუს ვაისენბერგერი (ლინცერი)**; უნტერჰახინგი მატიას ლუშტი (ბოხუმი), აბდელაზიზ აჰანფუფი (ჰანზა), მიხაელ შპისი (ლიუბეკი); **ლუდვიგ კიოგლი (ლუცერნი), ოლივერ შტრაუბე (ჰამბურგი), დანიშ შვარცი (კარლსრუე), დენის გრასოვი (კიოლნი)**; ულმი ფრიც ვალტერი (კარიერა დაასრულა), ივიცა პირიჩი (ჰაიდუკი); **რუი მარკეში (ბენფიკა), რაინერ შარინგერი (კარლსრუე)**

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული; * – უახლესი ტრანსფერი*

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ხუთშაბათს, 12 აგვისტოს „კროკო" იმუშავებს ჩვეულებრივი სამუშაო რეჟიმით

### ჩემპიონთა ლიგა. III შესარჩევი ეტაპი. I წრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10.08 | 501 | ჩელსი (ინგლისი) — სკონტო (ლატვია) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 502 | რაპიდი (ავსტრია) — გალათასარაი (თურქეთი) | (2,0-1,5) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 503 | ფიორენტინა (იტალია) — ვიძევი (პოლონეთი) | (1,01-15,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 504 | ოლბორგი (დანია) — დინამო (უკრაინა) | (3,5-1,2) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 505 | მოლდე (ნორვეგია) — მალიორკა (ესპანეთი) | (5,0-1,1) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 506 | ლიონი (საფრანგეთი) — მარიბორი (სლოვენია) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 507 | კროაცია (ხორვატია) — მტკ (უნგრეთი) | (1,15-4,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 508 | რეინჯერსი (შოტლანდია) — პარმა (იტალია) | (4,0-1,15) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 509 | ბრონდბიუ (დანია) — ბოავიშტა (პორტუგალია) | (2,1-1,45) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 510 | აეკ (საბერძნეთი) — აიკ (შვედეთი) | (1,2-3,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 511 | ჰერტა (გერმანია) — ანორთოსისი (კვიპროსი) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 512 | ზიმბრუ (მოლდოვა) — ფსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | (10,0-1,02) | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| | 513 | სპარტაკი (რუსეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) | (1,4-2,3) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 514 | ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) — ვალენსია (ესპანეთი) | (7,5-1,05) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 11.08 | 515 | შტურმი (ავსტრია) — სერვეტი (შვეიცარია) | (1,5-2,0) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 516 | ტეპლიცე (ჩეხეთი) — დორტმუნდი (გერმანია) | (10,0-1,02) | 4,4 | 3,1 | 1,7 |

### უეფას თასი. შესარჩევი ეტაპი. I წრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10.08 | 517 | შახტარი (უკრაინა) — სილექსი (მაკედონია) | (1,15-4,0) | 1,2 | 5,0 | 2,0 |
| 11.08 | 518 | ჰიკ (ფინეთი) — შირაქი (სომხეთი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 12.08 | 519 | კლაკსვიკარი (ფარერები) — გრაცერი (ავსტრია) | (15,0-1,01) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 520 | გორიცა (სლოვენია) — ინტერი (უელსი) | (1,2-3,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 521 | ლინგბიუ (დანია) — ბირკირკარა (მალტა) | (1,01-15,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 522 | ანდერლეხტი (ბელგია) — ლეიფტური (ისლანდია) | (1,01-15,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 523 | ბელშინა (ბელარუსი) — ომონია (კვიპროსი) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 524 | ვიკინგი (ნორვეგია) — პრინჩიპატი (ანდორა) | (— -50,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 525 | ერევანი (სომხეთი) — ჰაპოელი (თელავივი, ისრაელი) | (7,5-1,05) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 526 | ტულევიკი (ესტონეთი) — ბრიუგე (ბელგია) | (15,0-1,01) | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| | 527 | ვაასა (ფინეთი) — სტ. ჯონსტონი (შოტლანდია) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 528 | პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) — ცსკა (ბულგარეთი) | (7,5-1,05) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | 529 | კრივბასი (უკრაინა) — შამქირი (აზერბაიჯანი) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 530 | სტიაუა (რუმინეთი) — ლევადია (ესტონეთი) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 531 | გრასჰოპერი (შვეიცარია) — ბრეი (ირლანდია) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 532 | მეტალურგი (ლატვია) — ლეხი (პოლონეთი) | (7,5-1,05) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 533 | ლანტანა (ესტონეთი) — ტორპედო (საქართველო) | | ანგარიში — 5,0 | | |
| | 534 | ნეფთჩი (აზერბაიჯანი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | (25,0 - —) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | 535 | ბოდო გლიმტი (შვედეთი) — ვადუცი (ლიხტენშტაინი) | (— - 50,0) | 1,01 | 10,0 | 2,0 |
| | 536 | გიოტებორგი (შვედეთი) — კორკი (ირლანდია) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 537 | რეიკიავიკი (ისლანდია) — კილმარნოკი (შოტლანდია) | (7,5-1,05) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 538 | ლოკომოტივი (საქართველო) — ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) | | ანგარიში — 5,0 | | |
| | 539 | შერიფი (მოლდოვა) — სიგმა (ჩეხეთი) | (7,5-1,05) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 540 | ვოივოდინა (იუგოსლავია) — უიპეშტი (უნგრეთი) | (1,35-2,5) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 541 | ვლაზნია (ალბანეთი) — სპარტაკი (ტრნავა, სლოვაკეთი) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 542 | ქუიმბჩანი (უელსი) — სელტიკი (შოტლანდია) | (25,0- —) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | 543 | აპოელი (კვიპროსი) — ლევსკი (ბულგარეთი) | (3,5-1,2) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 544 | ფერენცვაროში (უნგრეთი) — კონსტრუქტორული (მოლდოვა) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 545 | მაინდერკანჟი (ლუქსემბურგი) — დინამო (რუმინეთი) | (15,0-1,01) | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| | 546 | ანკარაგიუჯუ (თურქეთი) — ტორსჰაგენი (ფარერები) | (1,02-10,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 547 | ინტერი (სლოვაკეთი) — ბილისი (ალბანეთი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 548 | რიგა (ლატვია) — ჰელსინბორგი (შვედეთი) | (10,0-1,02) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 549 | ვარდარი (მაკედონია) — ლეგია (პოლონეთი) | (3,5-1,2) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 550 | სლიმა (მალტა) — ციურიხი (შვეიცარია) | (10,0-1,02) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 551 | ჰაიდუკი (ხორვატია) — დუდელანჟი (ლუქსემბურგი) | (— -25,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 552 | მაკაბი (თელავივი, ისრაელი) — კაუნასი (ლიტვა) | (1,15-4,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 553 | ბატე (ბელარუსი) — ლოკომოტივი (რუსეთი) | (15,0-1,01) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 554 | ოლიმპია (სლოვენია) — კარედა (ლიტვა) | (1,2-3,5) | 1,3 | 4,0 | 7,5 |

### ინტერტოტო. ფინალი. I წრე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10.08 | 555 | მონპელიე (საფრანგეთი) — ჰამბურგი (გერმანია) | (1,7-1,7) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 556 | ვესტ ჰემი (ინგლისი) — მეცი (საფრანგეთი) | (1,5-2,0) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 557 | იუვენტუსი (იტალია) — რენი (საფრანგეთი) | (1,1-5,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |

### ინგლისი. პრემიერლიგა II ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10.08 | 001 | დერბი — არსენალი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| | 002 | სანდერლენდი — უოტფორდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 003 | უიმბლდონი — მიდლსბრო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 11.08 | 005 | მანჩესტერი — შეფილდ უენსდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | 006 | ლესტერი — ქოვენთრი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 007 | ასტონ ვილა — ევერტონი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 008 | საუთჰემპტონი — ლიდსი | 2,9 | 2,8 | 2,3 |

### ჰოლანდია. I ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12.08 | 010 | სპარტა — ტილბურგი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### შვეიცარია. გადადებული მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.08 | 011 | ივერდონი — ბაზელი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ნორვეგია. გადადებული მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.08 | 012 | ბრანი — ტრომსო | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისი. ლიგის თასი. I ეტაპი. I მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10.08 | 013 | ბირმინგემი — ექსეტერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 014 | ბლეკპული — ტრანმერი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 015 | ბორნმუთი — ბარნეტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 016 | ბერი — ნოტსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 017 | კემბრიჯი — ბრისტოლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 018 | კარდიფი — ქუინზ პარკი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 019 | კარლაისლი — გრიმსბი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| | 020 | ჩესტერი — პორტ ვეილი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 021 | კოლჩესტერი — კრისტალ პალასი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 022 | დარლინგტონი — ბოლტონი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 023 | ჰალიფაქსი — ვესტ ბრომვიჩი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 024 | ჰარტლპული — ქრიუ | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 025 | ლინკოლნი — ბარნსლი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 026 | ლუტონი — როვერსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 027 | მაკლსფილდი — სტოკი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 028 | ნორთჰემპტონი — ფულემი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 029 | ნორვიჩი — ჩელტენემი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 030 | პრესტონი — რექსემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 031 | როჩდეილი — ჩესტერფილდი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 032 | როტერჰემი — ჰალი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 033 | სკანთორპი — ჰადერსფილდი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 034 | შეფილდ იუნატედი — შრიუსბერი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 035 | საუთენდი — ოქსფორდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 036 | სტოკპორტი — ოლდემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 037 | სვინდონი — ლეიტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 038 | უოლსოლი — პლიმუტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 039 | უიკომბი — ვულვერჰემპტონი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 040 | იორკი — უიგანი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 11.08 | 041 | ბრენტფორდი — იფსვიჩი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 042 | ბრაიტონი — ჯილინგემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 043 | მანჩესტერ სიტი — ბარნლი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 044 | ნოტინგემი — მანსფილდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 045 | რედინგი — პიტერბრო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 046 | სუონსი — მილუოლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

### ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

### უეფას თასი

UEFA CUP

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| შვედეთი | 25,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტებსკი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 50,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია (პრაღა) | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება. იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23

შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია (ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# აზოტს ჯერ არავინ შემატებია

ქვეყნის ორგზის ვიცე-ჩემპიონი რუსთავის „აზოტი“ ახლა უკვე სერიოზულ მზადებას შეუდგა კორაჩის თასზე უკრაინულ „ბკ კიევთან“ სათამაშოდ. მოგეხსენებათ, კალათბურთელები თავიდან რუსთავშივე ვარჯიშობდნენ იმ იმედით, რომ მალე კლუბის ხელმძღვანელობა სახსრებს გამონახავდა, „აზოტს“ ქალაქურ სიცხეს განარიდებდა და სადმე შეკრებაზე წაიყვანდა.

რუსთაული კლუბის თავკაცებმა დანაპირები შეასრულეს — პარასკევიდან „აზოტმა“ მანავში გადაინაცვლა, სადაც მწვრთნელები ძირითადად ფიზიკურ მომზადებაზე გაამახვილებენ ყურადღებას. აგვისტოს მეორე ნახევარში დაგეგმილია ორკვირიანი შეკრება ურეკშიც. ნატანების საკალათბურთო დარბაზში ახლა ტაქტიკურად გავმეცადინდებითო, გვითხრა ამასწინანდელი საუბრისას გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ოთარ ხმელიძემ.

საევროპოდ „აზოტი“ გაძლიერებას აპირებსო, ვიუწყებოდით. რუსთაველები ახლა უკვე ყოფილი დინამოელების — კილაძე-ხოშტარიას და ვითელი ზურაბ ჩუბინიძის დამატებას გეგმავდნენ. ცხადია, მწვრთნელებს იმედი ჯერ არ გადაუწურავთ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ „აზოტი“ დღემდე მათ გარეშე ვარჯიშობს.

ირაკლი ხოშტარია შვებულებას შინ — სამტრედიაში ატარებს და როგორც შევიტყვეთ, „აზოტს“ ურეკში შეუერთდება. ვალერი კილაძე აჭარაში ისვენებს და ამავდროულად უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ გამზადებული „ბათუმის“ შეთავაზებულ წინადადებას განიხილავს. თუმცა, არც „აზოტში“ გადასვლას უარობს. რაც შეეხება ზურაბ ჩუბინიძეს, იგი „ვითას“ ბაკურიანში გაჰყვა საწვრთნელ შეკრებაზე. წასვლამდე კი გვითხრა, რუსთაველთაგან პირადად არავინ გამსაუბრებიაო.

დანარჩენი ძველებურადაა. ვიცე-ჩემპიონთა შემადგენლობა არავის დაუტოვებია და სავარაუდოდ ისევ „აზოტის“ ნაცად ბირთვს დააწვება ჯაფა „ბკ კიევთან“ შეხვედრებში, რომელიც 16 და 23 სექტემბერს გაიმართება.

გიორგი გიჭაშვილი

## ვითა ბაკურიანში იწყებს მზადებას

რუსთავის „აზოტს“ ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონი „ვითაც“ ჩაუდგა კვალში. რაკი „ვითას“ ევროთასებზე თამაში წლეულსაც აუხდენელ ოცნებად დაურჩა, ისლა მოახერხა, რომ შინაური ბატალიებისთვის აქედანვე დაიკაპიწა მკლავები. ორიოდ დღის წინ, მართალია, არასრული შემადგენლობით, მაგრამ გუნდი მაინც გაემგზავრა ბაკურიანში, სადაც მზადების პირველ ეტაპს გაივლის.

— დასვენებულ მოთამაშეებს ნელ-ნელა, ეტაპობრივად დავტვირთავთ. ბუნებრივია, აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე გადავიტანთ. ბაკურიანში საამისოდ ნორმალური პირობებია, სატრენაჟორო დარბაზი დაგვითმეს. კალათბურთელები სხვადასხვა დისტანციებზე ირბენენ და გამძლეობას გაიუმჯობესებენ.

პირადი პრობლემების გამო რამდენიმე მოთამაშე მოგვიანებით შემოგვიერთდება. გუნდიდან წასვლის სურვილი არავის გამოუთქვამს, ეგ კი არა, რამდენიმე ახალგაზრდას დავადგით თვალი და რომ დავბრუნდებით, კონკრეტული წინადადებებით მივმართავთ. მათ ვინაობას ჯერ ვერ გაგიმხელთ — გვითხრა ბაკურიანში გამგზავრებამდე ჩემპიონთა და აწ უკვე ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ.

მისგანვე შევიტყვეთ, რომ „ვითა“ შარშანდელის მსგავსად, ახლაც გეგმავს თურქულ შეკრებას.

## ქარაბაკი ესტონეთში ბედს მოძებნის

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების თავდამსხმელი ლევან ქარაბაკი, მოგეხსენებათ, სარატოვის „ავტოდორთან“ ერთად ჩერემშინის საწვრთნელ ბაზაზე გადიოდა მზადებას. მწვრთნელ ანდრეი სიდიაკინის ხელმძღვანელობით ქართველმა თითქმის ორი კვირა ივარჯიშა, მაგრამ რაკი სარატოველებს სარფიან კონტრაქტს ვერ გამორჩა, სამშობლოში დაბრუნდა და ესტონურ ვარიანტს მიაპყრო ყურადღება.

შეგახსენებთ, რომ ფინურ „ვოიკოტში“ თამაშისას ქარაბაკს ესტონელი ჰეინო ლილი წვრთნიდა. მას შემდეგ, რაც ლილი ესტონეთში დაბრუნდა, ლევანს მოსვენება დაუკარგა, გინდა თუ არა ჩამოდი, აქაურ კლუბში მოწყობა არ გაგიჭირდებაო — თითქმის ყოველდღე ურეკავდა მწვრთნელი.

ქარაბაკსაც ბევრიც აღარ უფიქრია და ესტონეთში წასვლა გადაწყვიტა. ლევანი ხვალ ტალინში ჩაფრინდება, სადაც მას ჰეინო ლილი დახვდება და იმ დღესვე ქართველს ქვეყნის ჩემპიონ „ბკ ტალინს“ მიჰგვრის.

ეს კლუბი ახალი ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შეკრებას სწორედ ქარაბაკთან ერთად დაიწყებს და, ალბათ, მალე საბოლოო პასუხსაც ეტყვის ჩვენებურს.

## თავისუფალი აგენტების ბაზარი

6-7-8 აგვისტო

***ლოს ანჯელეს კლიპერსი:*** ჯერ შეინარჩუნა, მერე კი „ატლანტა ჰოქსში“ გაყიდა ცენტრი ლორენცენ რაიტი (შვიდწლიანი კონტრაქტი); შეინარჩუნა უკანახაზელი ერიკ პიატკოვსკი (ერთწლიანი კონტრაქტი)

***მაიამი ჰითი:*** აიყვანა უგუნდო უკანახაზელები მარკ დევისი და ენტონი კარტერი

***ნიუ იორკ ნიქსი:*** აიყვანა „ტორონტოს“ ყოფილი ფორვარდი ჯონ უოლესი

***სან ანტონიო სპურსი:*** შეინარჩუნა უკანახაზელი ჯარენ ჯეკსონი

***პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი:*** შეინარჩუნა ფორვარდი გერი გრანტი (ერთწლიანი კონტრაქტი)

## ატლანტა სიმაღლეში იზრდება

*ამ შაბათ-კვირას ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში არცერთი დიდი გარიგება არ შემდგარა. კლუბებს დიდად არ აუტკივებიათ თავი სავაჭრო საქმეებით და ამიტომ, უქმეების უდიდეს ტრანსფერად არცთუ გამორჩეული ლორენცენ რაიტის „ატლანტა ჰოქსში“ გადასვლა შეირაცხა.*

ფორვარდ-ცენტრი ლორენცენ რაიტი თავისუფალი აგენტი იყო, რომელსაც „ლოს ანჯელეს კლიპერსთან“ სამწლიანი კონტრაქტი დასრულებოდა. კვირას „კლიპერსმა“ შვიდწლიანი კონტრაქტი გაუფორმა რაიტს და „ატლანტა ჰოქსში“ გაგზავნა. სანაცვლოდ „კლიპერსმა“ მომავალი წლის დრაფტის პირველი წრის ორი არჩევანი მიიღო. რაიტის კონტრაქტის ფინანსური დეტალები უცნობია.



AP ატლანტიდან

ლორენცენ რაიტმა ატლანტაში პრესკონფერენცია მოაწყო

211-სანტიმეტრიანი რაიტი მნიშვნელოვნად გააძლიერებს და გაამაღლებს „ჰოქსის“ წინა ხაზს. ამასთანავე, გუნდის თამაშს გაამრავალფეროვნებს. „ატლანტას“ პრეზიდენტის სტენ კასტენის აზრით: „ლორენცენი ის მოთამაშეა, რომელიც ჩვენი გუნდის წინა ხაზს სჭირდებოდა. ამიერიდან დიკემბე მუტომბოს ახალგაზრდა და ნიჭიერი დამხმარე ეყოლება“.

23 წლის რაიტი 1996 წლის დრაფტის მეშვიდე ნომერია. იგი „კლიპერსმა“ აირჩია, მანამდე კი მემფისის უნივერსიტეტში თამაშობდა. წინა სეზონში მან 48 მატჩი ითამაშა, ხოლო საშუალო შედეგიანობა 6,7 ქულა და 7,5 მოხსნა ჰქონდა. 1997 წლის 26 დეკემბერს შედეგიანობის პირადი რეკორდი დაიმყარა: „ლეიკერსს“ 32 ქულა ჩაუგდო, ხოლო წლეულს 11 მარტს „საკრამენტოს“ 25 ბურთი მოუხსნა.

წინა კვირაში რაიტმა გამოაცხადა, რომ აღარ სურდა „კლიპერსში“ თამაში. ბევრმა ივარაუდა, რომ იგი კარიერას ლოს ანჯელესშივე, ოღონდ „ლეიკერსში“ გააგრძელებდა. როგორც ხედავთ, ეს გარიგება არ შედგა და რაიტი ატლანტაში წავიდა.

„ჰოქსი“ წლეულს ძალიან გაახალგაზრდავდა. დრაფტის დღეს გუნდი შეელია 32 წლის მუკი ბლეილოკს და სანაცვლოდ „გოლდენ სტეიტისგან“ დრაფტის პირველი წრის არჩევნის უფლება მიიღო. ატლანტელებმა წლეულს ოთხი ახალბედა აიყვანეს, რომელთაგან გამთამაშებელ ჯეისონ ტერის ძირითად ხუთეულში დაყენებას უპირებენ. მერე გუნდმა დაითხოვა, 30 წლის სტივ სმიტი და ედ გრეი. მათ მაგიერ „პორტლენდიდან“ მოსული აიზია რაიდერი და ჯიმ ჯეკსონი 28-28 წლის არიან. ახლა ამათ რაიტიც დაემატა.

„კლიპერსმა“ კი მეოთხე თავისუფალი აგენტი დაკარგა. მანამდე გუნდთან კონტრაქტები აღარ განაახლეს ლემონდ მიურეიმ (კლივლენდში გადავიდა), დარიკ მარტინმა (საკრამენტოში გადავიდა) და როდნი როჯერსმა (ფინიქსში გადავიდა). ლოსანჯელესელებმა, ჯერჯერობით, ერთადერთი თავისუფალი აგენტი, ერიკ პიატკოვსკი შეინარჩუნეს.

# ვინ სად და რატომ ისვენებს

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, ზაფხულს, უპირველესად, დასასვენებლად იყენებენ, მერე კი — თავისუფალ აგენტთა მიმოსვლისთვის, კლუბებს შორის ვაჭრობისთვის, გარიგებებისთვის და საზაფხულო ლიგის თამაშებისთვის. შვიდთვიანი მომქანცველი სეზონის შემდეგ კალათბურთელები გემოზე ისვენებენ და ამისთვის სხვადასხვა ადგილებს ირჩევენ. „სიეტლ სუპერსონიქსის“ ვლადიმერ სტეფანიამ ამ საქმისთვის ჯერ მშობლიური თბილისი არჩია, მერე კი — ამჟამინდელი საცხოვრებელი, სიეტლი. ვნახოთ, ლიგის რომელ მოთამაშეს სად ურჩევნია დასვენება და როგორ ასაბუთებს თავის არჩევანს.

***რეჯი მილერი:*** „ანგილა. ეს სრულიად უცნობი, მაგრამ, ამავდროულად, უბრწყინვალესი ადგილია. თუ ხალხისგან მოშორებით გსურს ყოფნა, უკეთესს ვერაფერს ინატრებ. აქ ყველაფერი შესანიშნავია, ხოლო სანაპირო, წყალი და საჭმელი — ბრწყინვალე! ბევრ ადგილას ვარ ნამყოფი, მაგრამ ანგილა ერთადერთია, სადაც ხალხმა მართლა არ იცის ჩემი ვინაობა და რაც ყველაზე მეტად მიხარია, არც აინტერესებს“.

***გლენ რაისი:*** „მაიამი ყველაზე კარგი ადგილია. მზეზე ნებივრობა, მერე ბავშვებთან თამაში, მერე ისევ მზეზე ნებივრობა. მეტი რა მინდა?“

***აიზეკ ოსტინი:*** „ყველაფერს ფლორიდა მირჩევნია. იმიტომ, რომ იქ უამრავი საინტერესო რამ ხდება. მაიამისა და ორლანდოში ბევრი ხალხი და ბევრი კულტურა ირევა. იქ როცა ვარ, თავს ცხრა მთას იქით ვგრძნობ. თანაც, ბაჰამის კუნძულებიც იქვეა“.

***სტივ სმიტი:*** „დასასვენებელი ადგილის შერჩევისას დიდხანს არ ვფიქრობ: დეტროიტი, მიჩიგანის შტატი, ჩემი მშობლიური ქალაქი“.

***პენი ჰარდევეი:*** „ჩემი საყვარელი ადგილია მაუი, ორი აზრი არ არსებობს. იქ ყველაფერი მშვენიერი და სუნთქვისშემკვრელია“.

***სტივენ მარბერი:*** „ზაფხულობით დასვენების მიზნით არსად დავდივარ. მე ჩემს ოჯახთან ყოფნა მირჩევნია. სეზონთაშორის პერიოდში მერილენდის შტატის ქალაქ სვიტლენდში მივდივარ. იქ დედაჩემი ცხოვრობს და თავისუფალ დროს მეც იქ ვატარებ. დედაჩემის სახლში ყველაზე კარგად ვისვენებ“.

***ტონი კუკოჩი:*** „არსად ისე არ ვისვენებ, როგორც ხორვატიაში, ადრიატიკის ზღვის კუნძულებზე. რატომ? პირველ რიგში იმიტომ, რომ ისინი ძალიან ახლოსაა ჩემს მშობლიურ სპლიტთან. მეორეც — კუნძულებზე ლამაზი და მშვენიერი ბუნებაა. იქ ბევრი რამაა გასართობი, მაგრამ მე კიდევ ერთს ვისურვებდი — გოლფის მოედანს, თუკი კუნძულებზე გოლფის მოედანი გაჩნდება, შესაძლოა, იქიდან ფეხიც აღარ მოვიცვალო“.

***მიჩ რიჩმონდი:*** „ტაიტი ულამაზესია. იქ ბევრი კარგი პლაჟია, მაგრამ, მთავარია, რომ ზვიგენების დაპურებაც შეიძლება. ერთხელ იახტით შუა ოკეანეში გავედით და წყალში თევზის თავები ჩავყარეთ. უეცრად ზვიგენები მოცურდნენ და მათი ჭამა დაიწყეს. ინსტრუქტორი გვიყვიროდა, სასწრაფოდ უკან დაიწიეთო, მაგრამ ვინ უსმენდა: ასეთი დიდებული მომენტის მოწმე დიდი ხანია არ ვყოფილვარ“.

***ანტუან უოლკერი:*** „ცხოვრებაში სულ რამდენჯერმე ვიყავი არდადეგებზე და ამიტომ არ ვიცი, სადაა ჩემი საყვარელი ადგილი. დროის უდიდესი ნაწილი ნიუ ჯერსიში გავატარე. ძალიან მიყვარს მაუი, მაგრამ სად არის სრულყოფილება, ჯერ არ ვიცი“.

***კეით ვან ჰორნი:*** „მე მიყვარს ისეთი ადგილები, სადაც მზე აცხუნებს. ამგვარი კი მაიამია. იქ ამინდი კარგია და ღამ-ღამობითაც კარგ დროს გაატარებ. გასართობი ბევრია. მართალი გითხრათ, პლაჟის კაცი არა ვარ, მაგრამ კარგი ამინდის მოყვარულად თავს ნამდვილად ვთვლი“.

***მეტ გეიგერი:*** „კაიმანის კუნძულები. ძალიან მიყვარს უსაქმურად ხეტიალი“.

***ალენ აივერსონი:*** „ჩემი საყვარელი ქალაქია ატლანტა. იქ ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს“.

***ალან ჰენდერსონი:*** „ვირჯინიის კუნძულებზე კარგ დროს ვატარებ. წყალი წყნარი და სუფთაა, პლაჟები — ლამაზი, ხოლო ამინდი — უნაკლო. ეს ყველაფერი არის ის, რაც მე მინდა“.

## უოლესის დაბრუნება

1996 წლის დრაფტში „ნიუ იორკ ნიქსმა“ თავდამსხმელი ჯონ უოლესი ამოირჩია და ერთი სეზონი თავის რიგებში ათამაშა. მერე „ნიქსი“ სამგუნდიან ვაჭრობაში ჩაება, რომლის შედეგად ცენტრი კრის დადლი დაისაკუთრა, ხოლო ჯონ უოლესი „ტორონტო რეპტორზში“ აღმოჩნდა.

ტორონტოში სადებიუტო წელს უოლესმა მატჩში საშუალოდ 14,0 ქულა და 4,6 მოხსნა გააკეთა. მომდევნო წელს მისი შედეგები უფრო მოკრძალებულია: 8,6 ქულა და 3,6 მოხსნა.

ამ სეზონის შემდეგ უოლესი თავისუფალი აგენტი გახდა და ახალი კლუბის ძებნა დაიწყო. მოთამაშეს, უფრო ზუსტად კი თავდამსხმელს ეძებდა „ნიუ იორკ ნიქსიც“. პირველად ჩარლზ ოკლის დაუკავშირდნენ. სხვათა შორის, ჩარლზიც ყოფილი ნიუიორკელია: შარშან იგი „ტორონტოში“ გაუშვეს მარკუს კემბის სანაცვლოდ. ოკლისთან მოლაპარაკება „ნიუ იორკისთვის“ უშედეგო აღმოჩნდა, შემდგომმა ძიებამ კი ჯონ უოლესის სახელი წამოატივტივა.

25 წლის უოლესი დათანხმდა ყოფილი გუნდის წინადადებას, ნიუ იორკში დაბრუნდა და აღნიშნა, მიხარია რომ კვლავ „ნიქსში“ ვარ, ამ გუნდს საჩემპიონო მიზნები აქვსო.

„ნიქსის“ მწვრთნელმა ორი წლის წინანდელი ამბები გაიხსენა და თქვა: „მაშინ არ გვინდოდა ჯონ უოლესის გაყიდვა, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა. პატრიკ იუინგის შემცვლელი გვჭირდებოდა და რამდენიმესვლიანი გაცვლების შედეგად კრის დადლი მივიღეთ“.

უოლესის კონტრაქტის ფინანსური დეტალები უცნობია.




## აფრიკის ჩემპიონატი. 29 ივლისი - 6 აგვისტო. ანგოლა

ფინალი. 6 აგვისტო

**ანგოლა 79:72 ნიგერია**

ანგოლა: ა. ვიქტორიანუ (4), კრისტოვაო (3), ე. ვიქტორიანუ (13), კარვალიო (13), გომეში (2), დიასი 21), ალმეიდა, ლუტონდა (11), კონსეისაო (12)

ნიგერია: ოგვუნდირე (12), სამუელი (3), ოკონკვო (8), აჩა (19), ოვინჯე (8), ჯუბრილი, ავოჯობი (13), იბრაჰიმი, ოიედეჯი (9)

*ანგოლა ითამაშებს სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადაზე*

***საბოლოო მდგომარეობა:*** *1 ანგოლა, 2 ნიგერია, 3 ეგვიპტე, 4 მალი, 5 ტუნისი, 6 ალჟირი, 7 სენეგალი, 8 კოტ დივუარი, 9 კაბო ვერდე, 10 მოზამბიკი, 11 მაროკო, 12 სამხრეთ აფრიკა*

## სიდნეის ოლიმპიადაზე ითამაშებენ

| | | |
|---|---|---|
| 1 | იუგოსლავია | (მსოფლიოს ჩემპიონი) |
| 2 | ავსტრალია | (ოლიმპიადის მასპინძელი) |
| 3 | იტალია | (ევროპის ჩემპიონი) |
| 4 | ესპანეთი | (ევროპის ვიცე-ჩემპიონი) |
| 5 | საფრანგეთი | (მესამე გუნდი ევროპიდან) |
| 6 | ლიტვა | (მეოთხე გუნდი ევროპიდან) |
| 7 | რუსეთი | (მეხუთე გუნდი ევროპიდან) |
| 8 | აშშ | (ამერიკის ზონის ჩემპიონი) |
| 9 | კანადა | (ამერიკის ზონის ვიცე-ჩემპიონი) |
| 10 | ანგოლა | (აფრიკის ჩემპიონი) |

**უნდა გამოვლინდნენ**

| | |
|---|---|
| 11 | აზიის ჩემპიონი |
| 12* | წყნარი ოკეანისა და ოკეანეთის ზონის ჩემპიონი ან ვიცე-ჩემპიონი |

**იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონი ავსტრალია გახდება, ოლიმპიადაზე აღნიშნული ზონის ვიცე-ჩემპიონი გაემგზავრება*

# მარტინა ისევ დედოფალია

**კარლსბადი. კალიფორნია. საპრიზო 520 000 $**

ამ უქმეებზე კარლსბადში განვითარებულმა მოვლენებმა ქალთა საკლასიფიკაციო სიაში ცვლილებები გამოიწვია. ამათგან უმთავრესი, რაღა თქმა უნდა, პირველი ჩოგნის შეცვლა გახლავთ. 18 წლის შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა კვლავ დაიბრუნა ქალთა საჩოგბურთო ტახტი და თავისი ურიცხვი გულშემატკივარი უზომოდ გაახარა. შვეიცარიელი უკვე ფინალში გასვლის შემდეგ გახდა ნომერი პირველი, რადგან ლინდსი დევენპორტმა საკადრისად ვერ იყოჩაღა და ნახევარფინალში კუპრივით შავ ვინუს უილიამსთან დამარცხდა, რითაც ავტომატურად ჩამოერთვა პირველი ჩოგნობა. ჰინგისის თაყვანისმცემლებს თუ არ ჩავთვლით, ჩოგბურთის გულშემატკივართა აზრით, აჯობებდა სწორედ დევენპორტი გასულიყო ფინალში და არა უილიამსი, რადგან მაშინ პირველობის ბედი ორი მძლავრი ქალის პირად ბრძოლაში გაირკვეოდა, მაგრამ განგებამ სხვანაირად ინება და ფინალური ბრძოლის შედეგის მიუხედავად ჰინგისი პირველი გახდა კლასიფიკაციაში.

დევენპორტის წინაალმდეგ უილიამსი განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს და ამისი საბაბიც აქვს. წინა კვირას, კალიფორნიაში ვინუსი სწორედ დევენპორტმა დაამარცხა, ამიტომაც იყო ახმახი ზანგი გოგო თავდაუზოგავად რომ თამაშობდა და მოიგო კიდეც. „განსაკუთრებით მსიამოვნებს, როცა მას (დევენპორტს) ვუგებ — ამბობდა გახარებული ვინუსი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ — მასთან ყოველთვის განსაკუთრებული ძალით ვთამაშობ." ვინუსი მართლაც იმსახურებდა მოგებას. აღფრთოვანებას იწვევდა მისი ძალღონე და მძლავრი მოწოდებები. უილიამსმა რამდენიმე ეისიც გააზერხა და ეს დიდად წაეხმარა მეტოქესთან ფსიქოლოგიური ბრძოლისას.

მარტინა ჰინგისმა კი იოლად დაამარცხა სამხრეთაფრიკელი ამანდა კუტცერი და ამით ყველას აგრძნობინა, მე დავბრუნდი და აწი მიფრთხილდითო. თავისი დაბრუნება კი მორიგი ტიტულის მოპოვებით აღნიშნა. მისთვის უილიამსი ვერ გამოდგა ამანდა კუტცერზე უკეთესი მეტოქე. დაბალმა შვეიცარიელმა ახმახი ამერიკელის ძალ-ღონეს ჭკუა და საქმის უბადლო ცოდნა დაუპირისპირა და მეტოქეს მხოლოდ პირველი სეტში მისცა ბრძოლის საშუალება. ვინუსმა აღიარა ჰინგისის პირველობა და თქვა — დიდი ჩოგბურთელია, დღეს ისე ითამაშა, ვერავინ მოუგებდაო.


REUTERS კარლსბადიდან

მარტინა ჰინგისი

**მეოთხედფინალი:** ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 7:5, 7:5; ვინუს უილიამსი (4, აშშ) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 7:5, 7:1; ამანდა კუტცერი (7, სამხრეთ აფრიკა) — ემი ფრეზერი (აშშ) 7:5, 6:1.
**ნახევარფინალი:** ვინუს უილიამსი — ლინდსი დევენპორტი 6:4, 7:5; მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — ამანდა კუტცერი 6:1, 6:2.
**ფინალი:** მარტინა ჰინგისი — ვინუს უილიამსი 6:4, 6:0

**მონრეალი. კანადა. MERCEDES SUPER 9. ჰარდი საპრიზო 2 450 000 $**

არ გაუმართლა ავსტრალიელ პატრიკ რაფტერს — ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული, რომელიც წლეულს პირველ ნომრად იყო განთესილი, 22 წლის ამომავალ ვარსკვლავ ნიკოლას კიფერთან დამარცხდა, ვისაც გერმანელები დიდი ბორის ბეკერის მემკვიდრედ მიიჩნევენ. კიფერმა ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტთან ჭიდილში ნამდვილი გერმანული, მეომრული სული გამოავლინა. იგი ბოლომდე ღირსეულად ებრძოლა რაფტერს და აკი სძლია კიდეც ჩემპიონს. ავსტრალიელმა მეორე სეტის მოგება მოახერხა ტაი-ბრეიკზე, მაგრამ მესამე გადამწყვეტ სეტში ასევე ტაი-ბრეიკში მობილიზება ველარ შეძლო და ჩემპიონობისთვის ბრძოლას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა. თუ რაფტერი აგებდა, სხვა ფავორიტებს თავი ქუდში, ანუ ნახევარფინალში ჰქონდათ. ანდრე აგასიმ იოლად მოინელა ტექნიკური, მაგრამ სუსტი ფრანგი ფაბრის სანტორო. ევგენი კაფელნიკოვს მართალია, გაუჭირდა, მაგრამ მაინც მოუგო ამერიკელ ტოდ მარტინს, ვისაც წინა დღეს ორჯერ მოუწია თამაშმა და რუსთან ურთულეს მატჩში ძალა ბოლომდე ვერ მიჰყვა. რაც შეეხება კიდევ ერთ მეოთხედფინალურ შეხვედრას, აქ ბურთი და მოედანი მეთერთმეტე ნომრად განთესილ ტომას იოჰანსონს დარჩა, კურიეს კი — რამდენიმე ათეული ათასი დოლარი და ტურნირიდან გავარდნა.

იოჰანსონმა მარტო მეოთხედფინალი როდი გაიარა. ნახევარფინალშიც ჩინებულად ითამაშა და კურიეს და სხვათა გზას თვით რაფტერის გამგდები კიფერიც მიაყოლა. ის, რაც გერმანელს ავსტრალიელთან გაუვიდა, შვედმა არ გაატანინა. პირველი სეტის მოგების და წინა დღით დიდი ბრძოლის შემდეგ გერმანელს მკლავში და მუხლში ძალა გამოელია და ფინალის საგზური იოჰანსონს დაუთმო.

მართალია, მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ორი გიგანტი და ორი ყოფილი პირველი ჩოგანი შეეჭიდა, მაგრამ... მაგრამ ითქმის კი ეს სიტყვა იმაზე, რაც კორტზე ხდებოდა. იქ ხომ ერთი კაცი თამაშობდა — ევგენი კაფელნიკოვი, მეორე კი — ანდრე აგასი ცდილობდა, ეთამაშა.

ამგვარად, კანადური ბარაქიანი ჯილდოსთვის ერთმანეთს შვედი და რუსი შეხვდნენ. იოჰანსონისთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფინალი იყო. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, არაფერი დაეთმო. შვედი შემართული დახვდა მძლავრ მეტოქეს, მოიგო კიდეც და რუსს პირში ჩალა გამოავლო.

თუმცა თავიდან ყველაფერი სხვანაირად იყო, ფინალური მატჩის პირველი სეტის შემხედვარე კაცი იფიქრებდა, კაფელნიკოვს მეტოქე ერთ ლუკმადაც არ ეყოფაო. სოჭელი გეიმს გეიმზე იგებდა. შვედი ვერც საკუთარი მოწოდებებისას ყოჩაღობდა და სეტი 1:6 წააგო. დაიწყო მეორე ხელი. კაფელნიკოვი თავის ძალებში დარწმუნებული გამოვიდა კორტზე. მას თავდაჯერებას მშვენივრად მოგებული პირველი სეტიც მატებდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. იოჰანსონმა „სამიზნე გაასწორა" და ძნელად გადასალახ დაბრკოლებად იქცა. რუსს გაუჭირდა რიტმის შენარჩუნება, რამდენიმე გაფუჭებულმა ბურთმა თავგზა აუბნია და გაცოფებულმა, ეს რა მემართებაო, რამდენჯერმე რუსულად ისე შეიგინა, ნახევარმა მონრეალმა მაინც გაიგონა. დაიწყო თუ არა სეტი, იოჰანსონი 3:0 დაწინაურდა. ჟენია ცოტა გამოცოცხლდა, თავს ძალა დაატანა და 4:3 წამოეწია, მაგრამ იქვე საკუთარი მოწოდება დათმო და მეორე სეტი წააგო. რუსი თავს არ ზოგავდა, მესამე, გადამწყვეტ ხელში იგი ჯერ 1:0 დაწინაურდა, შემდეგ 3:2, თითქოს კრიზისიც დაძლია, მაგრამ ნერვებმა უმტყუნა, რამდენიმე იოლი ბურთი ააცილა, ორჯერ მაყურებლებშიც გაგზავნა... ცივსისხლიანი შვედი კი თავის თამაშს თამაშობდა, ნერვებს იოკებდა და მიზანსაც მიაღწია. მან ყველა დარჩენილი გეიმი მოიგო და პრესტიჟული ტიტულის მოპოვებით თავის ჯიბეს 350 ათას დოლარამდე შემატა, საკლასიფიკაციო მონაგარს კი იმდენი ქულა, რომ 22-ე ადგილიდან ერთბაშად ხუთი საფეხურით აიწია. საკუთარ თავზე და კიდევ ვინ იცის, ვისზე გაბრაზებულმა ევგენი კაფელნიკოვმა თავისი გულისწყრომა იმით გამოხატა, რომ მსაჯს ხელი არ ჩამოართვა, თავისი ერთობ მოულოდნელი მარცხი კი უიღბლობით და მეტოქის კარგი თამაშით ახსნა.


ეროვნული ბიბლიოთეკა
REUTERS მონრეალიდან

ტომას იოჰანსონი

**მეოთხედფინალი:** ნიკოლას კიფერი (9, გერმანია) — პატრიკ რაფტერი (1, ავსტრალია) 6:3, 6:7, 7:6; ანდრე აგასი (2, აშშ) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:0, 6:3; ევგენი კაფელნიკოვი (3, რუსეთი) — ტოდ მარტინი (6, აშშ) 7:6, 6:7, 6:4; ტომას იოჰანსონი (11, შვედეთი) — ჯიმ კურიე (აშშ) 6:4, 6:4.
**ნახევარფინალი:** ევგენი კაფელნიკოვი — ანდრე აგასი 6:1, 6:4; ტომას იოჰანსონი — ნიკოლას კიფერი 4:6, 6:1, 6:3
**ფინალი:** ტომას იოჰანსონი — ევგენი კაფელნიკოვი 1:6, 6:3, 6:3

**ამსტერდამი. ჰოლანდიის ღია პირველობა. საპრიზო 475 000 $**

**ნახევარფინალი:** მარიო ზაბალეტა (3, არგენტინა) — ნიკოლას ლაპენტი (2, ეკვადორი) 3:6, 7:5, 7:5; იუნეს ელ აუნაოი (7, მაროკო) — მარატ საფინი (8, რუსეთი) 6:1, 6:4.
**ფინალი:** იუნეს ელ აუნაოი — მარიო ზაბალეტა 6:0, 6:3.

**ივანე ძოზიაშვილი**



# მალეტის შავებთან მოუწევს საქმის დაჭერა

Tri Nations

პრეტორია. 7 აგვისტო

**ს. აფრიკა — ახ. ზელანდია**
**18:34 (11:20)**

**სამხრეთ აფრიკა:** დურანი (ლერუ), დროცკე (კ. როსოუ), ვისაჯი, ბუმი (ენდრიუსი), ვან დენ ბერგი, კრუგერი (ვოსი), ვენთერი, ერასმუსი, ფან დერ ვესტჰოიზენი, დუტუა, პ. როსოუ (ტერბლანში), სმიტი, სნაიმანი (ფლეკი), კაიზერი, მონტგომერი
2ლ — სნაიმანი, ფან დერ ვესტჰოიზენი; 1გ და 2ს — დუტუა
**ახალი ზელანდია:** ფიკი, ოლივერი (ჰამეტი), მიუსი, მაქსველი, ბრუქი, ბლოუერსი (თორნი), კრონფელდი, რენდელი, მარშალი, მერთენსი, უმაგა, გიბსონი (ლომუ), იერემია, კალენი, ვილსონი
2ლ — კალენი; 7ს — მერთენსი; 1ს — ვილსონი

სამხრეთაფრიკელები კვლავ დამარცხდნენ, ზედიზედ მეოთხედ. ასეთი რამ სამხრეთაფრიკული რაგბის ისტორიას არ ახსოვს.

1997 წლიდან, როცა ნიკ მალეტი სამხრეთაფრიკელი „ქურციკების" მწვრთნელად დანიშნეს, ეროვნული რეკორდების დამყარება დაიწყო. ჯერ იყო და „ქურციკებს" ზედიზედ 16 მატჩი მოაგებინა, შემდეგ კი ორჯერ სამხრეთაფრიკული რაგბის ისტორიაში ერთ შეხვედრაში გუნდმა ყველაზე მეტი ქულა დააგროვა — 1998 წელს სამხრეთაფრიკელებმა უელსელებს სძლიეს 96:3, წლეულს კი იტალიელები იავარყვეს 101:0. თუმცა ყველაფერი ეს წლევანდელ ივლისამდე მოხდა, ანუ იმ თვემდე, რომელსაც მალეტი საშინელს და დათარსულს უწოდებს.

ივლისში აფრიკელებმა ორ ანტირეკორდს გამოჰკრეს ხელი — ჯერ ახალზელანდიელებთან დამარცხდნენ მშრალად 0:28, წლევანდელი სამი ერის ორ მატჩში კი მხოლოდ 6 ქულის მოპოვება შეძლეს, თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც შაბათს მოხდა. საქმე ისაა, რომ ახალზელანდიელებთან შაბათს წაგებულ მატჩამდე აფრიკელები ზედიზედ სამჯერ დამარცხდნენ — ჯერ უელსელებთან, მერე კი ავსტრალიელებთან და იმავე ახალზელანდიელებთან. ასეთი რამ 1974 წლის მერე, როცა „ქურციკებმა" ზედიზედ სამჯერ წააგეს ბრიტანელ „ლომებთან", არ მომხდარა.

შაბათს ახალზელანდიელებთან დამარცხებით სამხრეთაფრიკელებმა მთელი სარაგბო სამყარო უდიდესი ანტირეკორდის მოწმე გახადეს. ასე რომ, მალეტისთვის აგვისტო ივლისზე უფრო საშინელი თვე გამოდგა.

მატჩის წინ მალეტს ასეთი პერსპექტივა არ ხიბლავდა. მწვრთნელს ისედაც ბევრს აკრიტიკებდნენ, აქაოდა, გუნდში მხოლოდ ერთი შავკანიანი მორაგბე ჰყავსო. ის კი თავს იმით იმართლებდა, ზანგები ჯერჯერობით არ არიან უმაღლესი დონის მობურთალებიო. მაგრამ ახლა, ზედიზედ ოთხი მატჩის წაგების შემდეგ, ძნელი სათქმელია, რით გაიმართლებს თავს. არადა, საამმატჩოდ მწვრთნელმა რვა ახალ მობურთალს უხმო და გულშემატკივრებს ახალზელანდიელების დამარცხებასაც შეჰპირდა. „ოლ ბლექსის" დამრიგებელი ჯონ ჰართი კი, როგორც ყოველთვის, ფრთხილი იყო და სულაც არ მიიჩნევდა თავის გუნდს ამ მატჩში ფავორიტად.

მატჩის დასაწყისი მასპინძლებს ცუდს არაფერს უქადდა. უკვე მე-3 წუთზე „ქურციკები" ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი დუტუამ დააწინაურა, მაგრამ ნელ-ნელა უპირატესობა სტუმრებმა იგდეს ხელთ. მერთენსის წყალობით, რომელმაც პირველ ნახევარში ოთხი საჯარიმო გაიტანა, „ოლ ბლექსმა" ტაიმი 20:11 მოიგო.

შეხვედრის განახლება და ხანგრძლივი იძულებითი შესვენების შემდეგ სამხრეთაფრიკელთა გუნდში დაბრუნებული ფან დერ ვესტჰოიზენის ლელო ერთი იყო. კაპიტნის ლელომ ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე რომ შეამცირა, გულშემატკივრებს და თავად მორაგბეებსაც გამარჯვების იმედი მიეცათ, მაგრამ დარჩენილ დროში უპირატესობას კვლავ ახალზელანდიელები დაეუფლნენ და მერთენსმა და გარემარბმა კრისტიან კალენმა მასპინძლებს მატჩის მოგების ყველანაირი შანსი მოუსპეს.

**ბაატა თოთაძე**


REUTERS პრეტორიიდან

ახალზელანდიელი კრისტიან კალენის ამ შეტევას მისი პირველი ლელოც მოჰყვა

**სადღეისო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 96:33 | 6:4 | 0 | 12 |
| ავსტრალია | 2 | 1 | 0 | 1 | 47:40 | 6:1 | 1 | 5 |
| სამხრეთ აფრიკა | 3 | 0 | 0 | 3 | 24:94 | 2:9 | 0 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორბოლა

# შუმი ცოტასაც დაისვენებს

ვილი ვებერის ოპტიმისტურმა განცხადებამ მიხაელ შუმახერის ფანები ხასიათზე მოიყვანა. შუმის მენეჯერმა ახლახან განაცხადა, მიხაელი, ჰა და ჰა, საცაა საჭეს მიუჯდებაო, მაგრამ საქმე არც მთლად ასე ყოფილა. შაბათს შუმახერს ფეხის ძვალზე მეორე წარმატებული ოპერაცია გაუკეთდა და, როგორც ამბობენ, სექტემბრამდე მოუწევს მოცდაო.

ველორბოლა

# კასაგრანდე კლასიკოსია

## მსოფლიოს თასის ბასკურ-ქართული ეტაპი


REUTERS სან სებასტიანიდან

ფრანჩესკო კასაგრანდე

„ტურ დე ფრანსის“ გამო ველომრბოლთა მსოფლიოს თასის ეტაპი კარგა ხანს აღარ გამართულა. ამ გათამაშების მეექვსე ეტაპს ესპანეთმა, კერძოდ კი ბასკეთმა უმასპინძლა და სახელად „სან-სებასტიანის კლასიკა“ ერქვა. 230-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად იტალიელმა ფრანჩესკო კასაგრანდემ გაიარა, საერთო ჩათვლაში პირველი ადგილზე კი ბელგიელი ანდრეი ჩმილი გადავიდა.

ერთიცა და მეორეც სხვადასხვა მიზეზთა გამო „ტურის“ პელოტონში ვერ ვიხილეთ. ველოსპორტის უმთავრესი შეჯიბრის ორგანიზატორებმა კასაგრანდეს გუნდი — „ვინი კალდიროლა“ ბოლოსლა არ დაუშვეს ტურნირზე. უარი კი იმით ახსნეს, რომ „შვეიცარიის ტურისას“ ამ გუნდის უკრაინელ წევრ სერგეი გონჩარს ჰემატოკრიტის დონე დაშვებულზე მაღალი აღმოაჩნდა, რაც შეიძლება დოპინგის გამოყენების კვალი იყო.

„ჩვენი „ტურზე“ არდაშვება უსამართლობა იყო. ჩვენნაირ სიტუაციაში სხვა გუნდებიც იყვნენ, თუნდაც „მერკატონე უნოსა“ და მარკო პანტანის მაგალითი გავიხსენოთ“ — თქვა გულდაწყვეტილმა კასაგრანდემ, ვისაც პარიზში პოდიუმის ერთ-ერთ საფეხურზე შეხვედრა გადაეწყვიტა. არადა, ამის შესაძლებლობა მას ნამდვილად ჰქონდა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ იტალიელი მშვენიერ ფორმაში იყო, რისი დასტურიც მის მიერ „შვეიცარიის ტურის“ მოგებაა. ეს ნამდვილად დიდი წარმატება იყო, რადგან კასაგრანდეს 1998 წლის სეზონი ფაქტობრივად გაუცდა. შარშან გაზაფხულზე 28 წლის მრბოლი მასტიმულირებელი საშუალებების გამოყენებაზე გამოიჭირეს და ცხრათვიანი დისკვალიფიკაციითაც დასაჯეს.

ანდრეი ჩმილმა კი „ტურ დე ფრანსში“ მონაწილეობაზე თავად განაცხადა უარი, რადგან ივლისის დამდეგს იტალიაში ოჯახთან ერთად დასვენება ირჩია.

მივუბრუნდეთ „სან-სებასტიანის კლასიკას“, რომელიც ზედიზედ მეორე წელია, კასაგრანდეს გამარჯვებით სრულდება. შარშან ტოსკანელმა საფინიშო სპრინტში ლეგენდარული ბელგიელი მრბოლის — ედი მერქსის მოგვარე აქსელსა და იტალიელ ლეონარდო პიეპოლის აჯობა, რომლებმაც მის მიყოლა გზის მთავარ აღმართ ხაისკიბეზეც შეძლეს. აქ თემიდან გადავუხვევ და ვიტყვი, რომ ქართველები და ბასკები თუ არა, ამ ორი ხალხის ენები ნამდვილად ენათესავებიან ერთმანეთს. აბა, ბილბაოში არჩანდას მთასა და სან სებასტიანში ხაისკიბეს მთას რა უნდა?! კიდევ მრავალი სიტყვა გვაქვს ქართულში, რომელიც ბასკურს ჰგავს, მაგრამ ახლა ამაზე საუბრის გაგრძელება ნამდვილად უადგილო იქნება.

შაბათს მხოლოდ ალბერტო ელიმ და პიეპოლიმ მოახერხეს, ხაისკიბეს მთაზე კასაგრანდეს არ ჩამორჩენოდნენ, თუმცა თანამემამულემ ისინი მწვერვალამდე სამი კილომეტრით ადრე, ყველაზე ძნელ აღმართზე ჩამოიტოვა და გზა ეულად განაგრძო. მწვერვალზე იგი ელიზე 21 წამით ადრე ავიდა, პიეპოლი კი, ვისაც ფრანგი ჟან-სირილ რობენიც წამოეწია, წუთზე მეტს აგებდა. ფინიშამდე 30 კილომეტრი და ფართო გზა რჩებოდა, ეს კი მარტოხელა მრბოლისთვის საკმაოდ რთული გასავლელია. კასაგრანდეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან პელოტონს მიახლოების საშუალება არ მისცა და შეჯიბრი შედარებით იოლად მოიგო.

არადა, 27-კაციან მდევართა ჯგუფში რამდენიმე გუნდი კარგად იყო წარმოდგენილი და ბევრიც იმუშავეს ლიდერის დასაწევად. განსაკუთრებით ანდრეი ჩმილის „ლოტო“ აქტიურობდა, რადგან ოჯახის მოყვარულ ექსსაბჭოელს საერთო ჩათვლაში დაწინაურების შანსი ჰქონდა. შაბათამდე ლიდერი ბელგიელი ფრანკ ვანდენბრუკი „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებულ ლანს არმსტრონგთან ერთად ხაისკიბეს ძირშივე ჩამორჩა კასაგრანდეს მდევრებს. ისე, რაკი არმსტრონგი ვახსენე, იმასაც დავამატებ, რომ ამერიკელისთვის ეს წლეულს ბოლო ევროპული რბოლა იყო და იგი გაისამდე ბებერ კონტინენტზე გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობას აღარ მიიღებს.

ბოლო კილომეტრზე რიკ ვერბრიუგემ თანაგუნდელი ჩმილისთვის კარგად წაიმუშავა, თუმცა მისთვის ადგილის დათმობა „დაავიწყდა“ და ქულებიც მასზე მეტი მიითვალა. ანდრეი ჩმილი კი დარჩენილ ეტაპებზე ყოველნაირად ეცდება, საბოლოო გამარჯვებისთვის აუცილებელი და საკმარისი ქულები დააგროვოს, რათა, ისე როგორც 1994 წელს, შეჯიბრი რამდენიმე ქულით არ დათმოს.

**გაგი გურული**

### მსოფლიოს თასის მე-6 ეტაპი

„სან სებასტიანის კლასიკა“, 230 კმ

1. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ვინი კალდიროლა) — 5სთ 15 წთ 29 წმ
2. რიკ ვერბრიუგე (ბელგია, ლოტო) — +43წმ
3. ჯულიანო ფიგუერასი (იტალია, მაპეი)
4. ანდრეი ჩმილი (ბელგია, ლოტო)
5. სალვატორე კომესო (იტალია, საეკო)
6. ფრანკო მანსებო (ესპანეთი, ბანესტო)
7. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი)
8. მაქს სკიანდრი (დიდი ბრიტანეთი, ფრანსეზ დე ჟო)
9. მიკაელ ბოგარდი (ჰოლანდია, რაბობანკი)
10. მასიმილიანო მორი (იტალია, საეკო) — ყველას იგივე დრო

### საერთო ჩათვლა

1. ანდრეი ჩმილი — 208 ქულა
2. ფრანკ ვანდენბრუკი (ბელგია, კოფიდისი) — 199
3. მიკაელ ბოგარდი — 190
4. პეტერ ვან პეტერგენი (ჰოლანდია, ТВМ) — 135
5. ზბიგნევ სპრუში (პოლონეთი, ლამპრე) — 124
6. მარკუს ზბერგი (შვეიცარია, რაბობანკი) — 101
7. ფრანჩესკო კასაგრანდე — 100
8. ანდრეა ტაფი (იტალია, მაპეი) — 100
9. ლეონ ვან ბონი (ჰოლანდია, რაბობანკი) — 99
10. მარტენ დენ ბაკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) — 98

მძლეოსნობა




მორის გრინი




მარიონ ჯონსი




ჰაილე გაბრესელასიე

REUTERS ლონდონიდან

# სპრინტი ბრძოლის სასახლეში

ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ლონდონის ცნობილმა სტადიონმა „კრისტალ პალასმა“ მძლეოსანთა „გრან პრის“ პირველი კატეგორიის ტურნირს უმასპინძლა. ბრძოლის სასახლის ტრიბუნაზე 17000 მაყურებელმა მოიყარა თავი, სარბენ ბილიკებზეც ბევრმა სახელოვანმა სპორტსმენმა იასპარეზა და რამდენიმე მსოფლიოს რეკორდს მიახლოებულ დროშიც ირბინა.

უპირველესად უნდა გამოვარჩიოთ ამერიკელი სპრინტერები — მარიონ ჯონსი და მორის გრინი. ამ უკანასკნელმა მართალია ცუდად დაიწყო, 50 მეტრის გარბენის მერე მხოლოდ მეოთხე იყო, მაგრამ შემდეგ ისე მოუმატა, ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა და 9,97 წამით იმარჯვა. ეს შედეგი გრინის მიერ ათენში დამყარებულ რეკორდს (9,79) კი ჩამორჩება, მაგრამ წლევანდელი სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო დროდ ნაღდად ჩაითვლება. ტრავმის მერე სარბიელს დაუბრუნდა ოლიმპიური ჩემპიონი დონოვან ბეილი, რომელმაც ბოლო, მერვე ადგილი დაიკავა, თუმცა უკმაყოფილო არ ჩანდა და — ახლა სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე შეიძლება წასვლაო — თქვა.

არაერთხელ გვითქვამს, მარიონ ჯონსის მჯობნი ჯერ ქალი არ გამოჩენილა მძლეოსნურ ამქარშიო და ამის დასტურად ლონდონური ტურნირიც იკმარებს. მარიონმა 100 მეტრზე ჩვეულად იქროლა, დისტანცია 10,80 წამში დაფარა და მეორე ადგილზე გასული უკრაინელი ჟანა პინტუსევიჩი (10,98) არც მეტი, არც ნაკლები, სამი მეტრით მოიტოვა უკან. იცის ქალმა საკუთარი თავის ფასი და აკი პრესკონფერენციაზეც თავმომწონედ განაცხადა: „კარგად ვიცი, ამჟამად ვერავინ მომიგებს, ამიტომ დღევანდელი ჩემი სპორტული ფორმის ავ-კარგზე ლაპარაკი, მხოლოდ ადრინდელ შედეგებთან შედარებით თუ შეიძლება“.

ახლა კი დროა 5000 და 10000 მეტრებზე მსოფლიოს რეკორდსმენ, ეთიოპელ ჰაილე გაბრესელასიაზეც ვთქვათ. ჰაილე კენიელი დანიელ კომენის (7,58, 61 წთ) ორმილიან რეკორდს დაემუქრა, თუმცა უშედეგოდ. არადა, გაბრესელასიემ ჩინებულად იასპარეზა, დისტანციის ნახევარიც მარტოობაში ირბინა, ჰოდა, ღირსეული მეტოქეობა რომ ვერავინ გაუწია, რეკორდიც უკან მორჩა. მიუხედავად ამისა, მისი შედეგით — 8.01, 72 წუთი, ბევრი ვერ დაიკვეხნის.

თვალსაჩინო შეჯიბრი გამართეს 5 კილომეტრზე მორბენალმა ქალებმა — მაროკოელმა სარა უაიზიზმა მხოლოდ ბოლო მეტრებზე აჯობა ინგლისელ პაულა რედკლიფს და დისტანცია წლევანდელი სეზონის საუკეთესო დროში 14.42, 03 წუთში დაფარა.

შუბის მტყორცნელმა, რუსმა სერგეი მაკაროვმა კი ისეთი ცნობილ ათლეტებთან ჭიდილში იმარჯვა, როგორებიც ჩეხი იან ჟელეზნი და ინგლისელი სტივ ბაკლი არიან. თუმცა სპეციალისტები იმასაც ამბობენ, ჟელეზნიც და ბაკლიც ჯერ კიდევ ტრავმებს იშუშებენ, თორემ რუსს ასე იოლად ვინ მოაგებინებდაო.

**სოსო ძოტორეიშვილი**

### ტექნიკური შედეგები

#### ქალები

100 მ
1. მარიონ ჯონსი (აშშ) — 10,80 წმ
2. ჟანა პინტუსევიჩი (უკრაინა) — 10,98
3. ინგერ მილერი (აშშ) — 11,13

400 მ
1. კეთი ფრიმენი (ავსტრალია) — 50,32 წმ
2. ფალილატ ოგუნკოია (ნიგერია) — 50,42
3. კეტრინ მერი (ბრიტანეთი) — 50,58

800 მ
1. ლუდმილა ფორმანოვა (ჩეხეთი) — 2.00,63 წთ
2. დაიანა მოდალი (ბრიტანეთი) — 2.01,49
3. ლეტისია ბრიესდე (სურინამი) — 2.01,54

1 500 მ
1. ოლგა ნალიუბოვა (რუსეთი) — 4.06,02 წთ
2. კარმენ ვიუსტენჰაგენი (გერმანია) — 4.06,07
3. ლიდია ჩოეცკა (პოლონეთი) — 4.07,04

5 000 მ
1. სარა უაზიზი (მაროკო) — 14.42,03 წთ
2. პაულა რედკლიფი (ბრიტანეთი) — 14.43,54
3. ლიბი ჰიკმენი (აშშ) — 15.24,45

400 მ. თარჯრბენი
1. დეონ ჰემინგსი (იამაიკა) — 54.44 წმ
2. დებიენ პერისი (იამაიკა) — 54,65
3. ტატიანა ტერეშჩუკი (უკრაინა) — 54,78

სამხტომი
1. ტატიანა ლებედევა (რუსეთი) — 14.43 მ
2. კრისტინა ნიკოლაუ (რუმინეთი) — 14,30
3. ელენა გოვოროვა (უკრაინა) — 14,26

#### კაცები

100 მ
1. მორის გრინი (აშშ) — 9,97 წმ
2. ბრუნი სურინი (კანადა) — 10,02
3. დუეინ ჩემბერსი (ბრიტანეთი) — 10,04

200 მ
1. ჯულიან გოლდინგი (ბრიტანეთი) — 20,23 წმ
2. კლაუდინიო და სილვა (ბრაზილია) — 20,34
3. კევინ ლიტლი (აშშ) — 20,35

400 მ
1. ჯერომ იანგი (აშშ) — 44,45 წმ
2. მარკ რიჩარდსონი (ბრიტანეთი) — 44,79
3. სანდერლეი პარელა (ბრაზილია) — 44,99

800 მ
1. დავიდ კიპტუ (კენია) — 1.44,62 წთ
2. ანდრეა ლონგო (იტალია) — 1.44,72
3. უილიამ ჩირჩირი (კენია) — 1.44,85

მილი
1. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) — 3.47,10 წთ
2. ლაბან როტიჩი (კენია) — 3.50,79
3. ადილ ელ-კაუჩი (მაროკო) — 3.51,62

2 მილი
1. ჰაილე გაბრესელასიე (ეთიოპია) — 8.01,72 წთ
2. პოლ ბიტოკი (კენია) — 8.16,44
3. ჯეიმს კოსგეი (კენია) — 8.16,78

110 მ თარჯრბენი
1. მარკ კრირი (აშშ) — 13,08 წმ
2. ლარი უეიდი (აშშ) — 13,17
3. კოლინ ჯექსონი (ბრიტანეთი) — 13,22

სიმაღლეზე ხტომა
1. სტივ სმიტი (ბრიტანეთი) — 2,28 მ
2. ტიმ ფორსაიტი (ავსტრალია) — 2,24
3. ბენ ჩელენჯერი (ბრიტანეთი) — 2,24

სამხტომი
1. ჯონათან ედვარდსი (ბრიტანეთი) — 17,06 მ
2. პაოლო კამოცი (იტალია) — 17,06
3. ჩარლზ ფრიდეკი (გერმანია) — 16,88

ჭოკით ხტომა
1. მაქსიმ ტარასოვი (რუსეთი) — 5,90 მ
2. ანდრეი ტივონჩიკი (გერმანია) — 5,70
3. ნიკ ჰაისონგი (აშშ) — 5,70

შუბის ტყორცნა
1. სერგეი მაკაროვი (რუსეთი) — 85,42 მ
2. იან ჟელეზნი (ჩეხეთი) — 84,43
3. სტივ ბაკლი (ბრიტანეთი) — 84,24

# ოტის სევილიის ოქრო უნდა, პერეკს — არა




მერლინ ოტი

იამაიკელი ქალბატონი მერილინ ოტი 39 წლის შესრულდა, მაგრამ ძველებურად სირაქლემასავით დარბის. ბელგიის ქალაქ ჰეხტერში მან 100 მეტრი 10,99 წამში გაირბინა და სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე გვარიანი პრეტენზია-ამბიციებით მიემგზავრება. სამაგიეროდ, ჯერჯერობით წყნარად ყოფნას აპირებს ფრანგი მარი-ჟო პერეკი, რომელმაც იქვე 200-მეტრიანი დისტანცია მოიგო.

— ესპანეთში მე არაფერი მესაქმება, მაგრამ ამაზე გული არც მწყდება. რამდენიმე თვის წინ ფეხებს ძლივს დავათრევდი, ახლა კი ტურნირი მოვიგე. ჩემი შანსები 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე არც თუ მცირეა — თქვა ფრანგმა ზანგმა.

მართალია მარი-ჟო: სევილიაში მარიონ ჯონსიც ხომ ირბენს და, მისი გასწრება ჯერ ისე თქვით, ახლა ვინმემ ნახევარი ძალით რომ მოინდომოს.

**დავით გულუა**



REUTERS ჰეხტერიდან

მარი-ჟო პერეკი

# ნუ შემოსწყრებით მშობლებს და სამშობლოს!

## კახი კახიაშვილს ბოლო შეჯიბრების მოგება საქართველოს სახელით სურს

ტრადიციულად პრესტიჟულ სახეობებთან ერთად ბოლო ხანს საბერძნეთში აშკარად წამოიწია ადრე შედარებით ჩრდილში მყოფი ძალოსნობა. სპეციალისტთა თქმით, სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან სიმძიმესთან ჭიდილი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ოდითგანვე დაფასებული იყო. მეორე არგუმენტად ძალოსანთათვის ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესებულ მატერიალურ პირობებს მიიჩნევენ და ეს მართლაც ასეა. მესამე კი ის გახლავთ, რომ 90-იან წლებში ბერძნებმა გაჭირვებული ქვეყნებიდან ძლიერი ძალოსნების გადაბირება დაიწყეს, რამაც შედეგებიც გააუმჯობესა და ჭაბუკებს მისაბაძი ათლეტებიც თვალწინ დაუყენა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უცხოელ გოლიათთა საკმაოდ დიდ კომპანიაში ყველასგან გამოირჩევა ალალი და გულისხმიერი ქართველი. დარწმუნებული ვარ, დაუფიქრებლად, მყის მიხვდებით, ვინც — კახი კახიაშვილი. ამჟამად აკაკიოს კაკიაშვილისად წოდებული



**— როგორ მოგმართოთ, ახლებურად თუ როგორც ადრე გეძახდნენ — კახი?**

— როგორც თქვენთვის იქნება მოსახერხებელი. ახლობლები ახლაც კახის მეძახიან. აკაკიოსად კი მხოლოდ ახალგაცნობილი ბერძნები და ოფიციალური შეჯიბრებების ოქმებში მომიხსენიებენ.

**— ახალი სახელი არ გეხამუშებათ?**

— რაღა ახალია, უკვე რამდენიმე წელია, აქ ვცხოვრობ და მივეჩვიე. ადრე ცოტა კი მეუცხოვებოდა, მაგრამ ხომ იცით, ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და სახელი რაღა გახდა.

**— სახელს თუ შეეჩვიეთ, ალბათ ცხოვრების ახალ წესსა და პირობებსაც შეეგუებოდით?**

— რამდენიმე წლის წინ ჩემმა თანამემამულე ჟურნალისტმა მომინახულა და ზუსტად ეს მკითხა. მაშინ მივუგე, საქართველო ძალიან მენატრება, ასე მგონია, თითქოს სულ რამდენიმე დღის ჩამოსული ვიყო-მეთქი. თავიდან ვფიქრობდი, დრო რომ გავა, ნოსტალგია გადამივლიდა, მაგრამ თურმე შევმცდარვარ. ზოგჯერ ისე მომეძალება, რომ...

**— მეც მსმენია, ქართველები ნოსტალგიით გამოირჩევიანო. ალბათ გენებიც თავისას შვრება...**

— რაც გინდათ, ის დაარქვით, გინდ გენები, გინდ სხვა რამ, ასეა და...

**— გულჩვილი ყოფილხართ. მგონი, თვალზე ცრემლიც გადგებათ**

— მოდით, სხვა რამეზე ვისაუბროთ.

**— კარგით. ეს მცირე შესავლად ჩავთვალოთ და ახლა უფრო სპორტულ საკითხებზე გადავერთოთ. იმ დროის მანძილზე, რაც საბერძნეთის სახელით გამოდიხართ, რა შეიცვალა ძალოსან კახიაშვილში თუ კაკიაშვილიში?**

— უპირველეს ყოვლისა, უფრო ტიტულოვანი გავხდი. ჩემს მიერ მოგებული შეჯიბრებების ჩამოთვლა რომ დავიწყო...

**— არა, ეს საჭირო არ არის. თქვენს მიერ მოგებული სხვადასხვა, ნაკლებად თუ დიდად პრესტიჟული შეჯიბრებების ნუსხის ნახვა ნებისმიერ ცნობარში შეიძლება. მე უფრო ის მაინტერესებს, რა შეიცვალა თქვენში როგორც სპორტსმენში და როგორც ადამიანში?**

— როგორც ადამიანში, ბევრი არაფერი. ისევ ის ვარ, რაც ადრე ვიყავი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება. როგორც სპორტსმენი კი მართლაც ძალიან შევიცვალე. აქ ჩამოსვლისას მეგონა, რომ ნამდვილი პროფესიონალი ვიყავი და აქეთ მესწავლა კი არა, იქით შემეძლო რჩევა-დარიგებების მიცემა. მერე და მერე მივხვდი, რომ მართალი არ ვიყავი. ამას პროფესიონალიზმი არ ერქვა, უფრო თავდაჯერება და საკუთარი ძალების დიდი რწმენა იყო.

**— ახლა? ნუთუ ამხელა სტაჟით კვლავაც ვერ გადალახეთ პროფესიონალიზმის ზღუდე?**

— არა, ამას ვერ ვიტყვი. აუცილებელ დონეს მართლაც მივაღწიე. უბრალოდ, იმაში დავრწმუნდი, რომ თუ პროფესიონალი ხარ, არასდროს უნდა თქვა, ყველაფერი ვიციო. აქ საბერძნეთში, ძალიან პოპულარულია ერთი ფილოსოფოსის ნათქვამი: „რაც მეტი ვიცით, მით მეტი არ ვიცით". მე დღესაც ვსწავლობ და, სპორტში კიდევ კარგა ხანს რომ დავრჩე, მაშინაც ვისწავლი.

**— განა ცხოვრებაშიც ასევე არ არის?!**

— ასეა. სპორტი კი ჩემი ცხოვრებაა. აი, ეს არის ის სახეცვლილება, რომელიც ათენში ჩამოსვლის შემდეგ განვიცადე როგორც სპორტსმენმა.

**— განა სამშობლოში იგივე არ მოხდებოდა? თუ საბერძნეთში ცხოვრებამ გიბიძგათ ასეთი დასკვნებისკენ?**

— ასეთი აზრი ალბათ ნებისმიერ ზრდასრულ სპორტსმენს მოსდის თავში და საქართველოშიც ასევე იქნებოდა. თუმცა პრობლემა ისაა, რომ იქ სპორტში ველარ დავრჩებოდი. იმდენი გაჭირვება გადამიტანია, რომ ამაზე ლაპარაკიც კი არ მსურს, თანაც მობეზრებული თემაა.

**— ვიცი. თქვენს დღეში ჩავარდნილ სპორტსმენებზე პოსტსაბჭოური პრესა ბევრს წერდა. და მაინც, ეს მინდა გკითხოთ: ბოლო ხანს ქართველი ძალოსნები სხვადასხვა დიდ ტურნირებში გარკვეულ წარმატებებს აღწევენ. გავიხსენოთ თუნდაც გიორგი ასანიძე. განა თქვენ ვერ შეძლებდით იმას, რასაც ისინი იქ, საქართველოში ახერხებენ...**

— ეს კი ვიცი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ენთუზიაზმით, ნიჭით და შეუპოვრობით შეიძლება მხოლოდ გარკვეულ ხანს, რაღაც ეტაპზე გახვიდე ფონს. დიდ სპორტში წარმატებების სტაბილურად მისაღწევად კი უფრო მეტია საჭირო.

**— მიგაჩნიათ, რომ, ვთქვათ, მუხრან გოგია მეტად ვერაფერს მიაღწევს?**

— რას ამბობთ, ამის თქმა აზრადაც არ მომსვლია. ჩემი თანამემამულეების ნებისმიერი გამარჯვება უზომოდ მახარებს. ხშირად ამბობენ ხოლმე — აი, სპორტული გმირობაო. მე ვთვლი, რომ ქართველი სპორტსმენების მიერ ნებისმიერ საერთაშორისო ტურნირზე მიღწეული წარმატება ნამდვილი სპორტული გმირობა, სპორტული თავგანწირვაა. ჩემი წამოსვლის შემდეგ საქართველოში ბევრი რამ კი შეიცვალა, მაგრამ უკეთესობა ძალიან ნელა მოდის და თუ მოდის, ის სპორტს ნაკლებად ეხება.

**— ასეთი ინფორმაცია საიდან?**

— ქართველ სპორტსმენებს ვხვდები ხოლმე და მათგან ვიცი.

**— ნებისმიერი სპორტსმენის ყველაზე სანუკვარი ოცნება ოლიმპიადაზე წარმატებაა. თქვენ ოლიმპიურ თამაშებში ორჯერ გაიმარჯვეთ. აპირებთ თუ არა, მესამედაც შეუტიოთ მწვერვალს?**

— სიდნეიში ისევე ვიბრძოლებ, როგორც წინა ოლიმპიადებზე.

**— იმას კი ნამდვილად არ გკითხავთ, რა სინჯის მედლის მოპოვებას გეგმავთ...**

— რაღა კითხვა უნდა, ეს ხომ ისედაც ცხადია.

**— იქნებ რამდენადმე გაცვეთილი იყოს, მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ: თქვენს მიერ მოგებული ტურნირებიდან რომელი იყო ყველაზე ფასეული?**

— სპორტსმენს ყველაზე მეტად ოლიმპიადაზე გამარჯვება ახარებს და მათი ერთმანეთისგან გამორჩევა ძალიან ძნელია. ისე, პირველი ოლიმპიადა მაინც უფრო სასიხარულო იყო.

**— რატომ?**

— ალბათ იმიტომ, რომ პირველი იყო.

**— მაშინ საქართველოს სახელით გამოდიოდით.**

— საქართველოს სახელით, თუმცა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გუნდში.

**— თქვენს იმ სიხარულს, ბუნებრივია, საქართველოს სახელით გამოსვლა აძლიერებდა.**

— ჰო, ასე იყო.

**— შეიძლება ვინმეს არ მოსწონდეს, მაგრამ ფაქტია: სამშობლოში ვერ შეიძინეთ ის, რაც სპორტული წარმატებებისთვის წაგახალისებდათ და ხელს შეგიწყობდათ. ამის გამო ნაწყენი ხომ არ ხართ?**

— სამშობლოზე? სამშობლოზე განაწყენება რა კაცობაა, ეს იგივეა, მშობლებს შემოსწყრე.

**— ახლა მატერიალურად სრულიად უზრუნველყოფილი ბრძანდებით, კარიერის დასრულების შემდეგ ბიზნესში საქმიანობას ხომ არ აპირებთ, როგორც ამას არაერთი სპორტსმენი აკეთებს?**

— თუ საქმე სერიოზულ ბიზნესზე მიდგება, შეიძლება განვიზრახო კიდეც. ისე, რაღაც პატარა საქმე ახლაც მაქვს, ოღონდ რა და როგორ, ნუ მკითხავთ.

**— განა ასეთი საიდუმლოა?**

— არა, მაგრამ სათქმელად არ ღირს.

**— ისე, უკვე ტიპიურ ათენელს ჩამოჰგავხართ. თუნდაც თმის ახალი ვარცხნილობით. ახლა ხომ ნახევარი ათენი ასე დადის.**

— რა ვიცი, ვარცხნილობას და ჩაცმულობას მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მთავარია, სუფთად, სასიამოვნოდ გამოიყურებოდე და სხვებს არ აღიზიანებდე.

**— პოპულარული ხართ ათენში?**

— საკმაოდ. ხალხი მცნობს.

**— ეს არ გაღიზიანებთ?**

— გაღიზიანებას კი არა, სხვა რამეს ვგრძნობ. ხანდახან ვარჯიშზე ისე ვიღლები, არაფრის თავი არ მაქვს და ამ დროს კომპლიმენტების მოსმენა ან ავტოგრაფების მიცემა არცთუ სახალისოა. მაგრამ ამას არ ვიმჩნევ, ხალხს ყურადღებით, პატივისცემით უნდა მოექცე და შენი გამორჩეულობა არ უნდა აგრძნობინო.

**— სპორტისთვის ასაკოვანს ვერ გიწოდებთ, მაგრამ არც უწვერული ბიჭი გეთქმით. არ მოგბეზრდათ სპორტი?**

— ავსტრალიაში უთუოდ უნდა ვიასპარეზო, მერე კი ვნახოთ. ჩემს შესაძლებლობებს რომ ვაფასებ, ვხვდები, რომ სამიოდე წელი კიდევ თავისუფლად შევძლებ გამოსვლას, მერე რა იქნება, მომავალი გვიჩვენებს.

*ბოლოს ჩემმა თანამოსაუბრემ ერთი მეტად საყურადღებო ამბავი გამცნო: ძალიან მინდა, ჩემი კარიერა გამარჯვებით დავასრულო და ეს გამარჯვება ჩემს ხალხს მივუძღვნაო. როგორ, საქართველოს სახელით იასპარეზებთ-მეთქი, რომ ვკითხე, მიპასუხა, ნუ აჩქარდებით, ამის დროც მოვაო.*

*მე კი ეს გამახსენდა: 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადაზე გამარჯვებული კახიაშვილი იქვე, სახელდახელოდ რუს ჟურნალისტებს ინტერვიუს აძლევდა. მაშინ შევნიშნე, რომ რუსული საკმაოდ უჭირდა. ახლაც იგივე შევამჩნიე, მაგრამ ამის მიუხედავად კახისთან გატარებულმა დრომ ძალიან მალე გაირბინა და დაღლა არც მიგრძნია. მიზეზს მოგვიანებით მივხვდი, რომელსაც უკვე სასტუმროს ნომერში ავდიოდი: ის ისეთივე გულახდილია როგორ უწინ იყო, გულღია და ალალ კაცთან საუბარს კი მართლაც რა სჯობს.*

*ტყუილი ყოფილა, რომ გვიკიჟინებენ, მკაცრი დასავლეთი ადამიანებს ზნეს და ხასიათს უცვლისო. ყოველ შემთხვევაში, კაკიაშვილისად ქცეულ კახიაშვილს ვერაფერი დააკლო და, ვგონებ, ვერც ვერასოდეს დააკლებს.*

**ევგენი ზახარჩუკი**
ათენიდან



ჭადრაკი

# ლას ვეგასში წრე იკვრება

ლას ვეგასის „სიზარს პალასში“ თამაშის უფლება საწყისი ასეულიდან უკვე მხოლოდ 16 კაცს შერჩა და მათი უმეტესობა, ცხადია, ელიტარული მოჭადრაკეა. მერვედფინალში გასულთა სიას დააკლდა უნგრელი პიტერ ლეკო, რომელიც ტომით სომეხმა ჩეხეთის მოქალაქემ სერგეი მოვსესიანმა გამოთიშა ჩემპიონატს და ეს ალბათ მეთექვსმეტედფინალების მთავარ მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ. თავი გამოიჩინა კიდევ ერთმა სომეხმა ოლონდ „პატრიოტმა“ (ანუ თავისი ქვეყნის დროშით მოთამაშემ) ვლადიმერ აკოფიანმა, რომელსაც ემსხვერპლა ევგენი ბარეევი, ფიდეს რეიტინგ-ლისტების პირველ ათეულთან მუდამ ახლოს მდგომი და ერთი-ორჯერ შიგაც შეღწეული რუსი მოჭადრაკე. მესამე მოულოდნელობაც კიდევ ერთი „ელიტარის“, რუსი პიოტრ სვიდლერის გავარდნაა, თუმცა მის გამამწარებელ ბულგარელ კირილ გიორგიევს ნამდვილად ძლიერი მოჭადრაკე ეთქმის. ბულგარელმა დამაჯერებლად მოიგო კლასიკური ჭადრაკის პირველი პარტია და მეორეშიც მთლიანად აკონტროლებდა სიტუაციას. სვიდლერს მხოლოდ გამარჯვება კი სჭირდებოდა, მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, რომ თავად შესთავაზა მეტოქეს ყაიმი და მაშასადამე, მერვედფინალში გასვლაც გაუფორმა.

მესამე წრე უიღბლო გამოდგა ვეტერანთათვის. 68 წლის, პატრიარქობასმიღწეულ კორჩნოის მეტოქედ 44 წლით უმცროსი და ჩემპიონატზე პირველ ნომრად განთესილი კრამნიკი ერგო. ვოვა ჩემპიონატზეც მისთვის ჩვეულად, პრაგმატულად თამაშობს: შავებით უშფოთველად სჯერდება ყაიმს, თეთრებით — მოგებისთვის იბრძვის და წარმატებითაც. ამ მეთოდით შებრძოლა იგი პაპისხელა კორჩნოის და 1,5:0,5 დაამარცხა. წააგეს სხვა ვეტერანებმაც — ბელიავსკიმ და ტიმანმა, სამაგიეროდ, მერვედფინალში გავიდა ჩვენთვის ავადსახსენებელი რუმინელი ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ. ხორვატი ჯურიჩისა და ჩვენებური აზმაიფარაშვილის ძლევის შემდეგ მან ბრაზილიელი რაფაელ ლეიტოც შეიწირა და ახლა ვასილი ივანჩუკთან მოუწევს თამაში, რაც, წესითა და რიგით, ჩემპიონატზე რუმინელის დასკვნითი აკორდი უნდა იყოს, რადგან, ერთი რომ, უკრაინელი მეტოქეზე ბევრად ძლიერი და ტიტულოვანია, მეორეც, ლას ვეგასში ჯერჯერობით ყველაზე კარგად თამაშობს. ივანჩუკმა ორი წრე გაიარა, ოთხი პარტია ითამაშა და ოთხივე მოიგო. ალბათ, ახლაც მოიგებს...

**დავით გულუა**

# ვისი იქნება შენიანი?

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის თათრული წაწილი დასრულდა. რუსმა ალისა გალიამოვამ და ჩინელმა სიუ ჟუნმა უკვე გათამაშებულ პარტიათა საერთო რაოდენობის ნახევარი დაჯერჯერობით ქულებსაც თანაბრად ინაწილებენ. მე-7 პარტიაში თეთრებით გალიამოვა თამაშობდა და ესპანურ დაცვაში უპირატესობა ვერ მიიღო. პირიქით, შეტევა სიუ ჟუნმა წამოიწყო. გაცვლათა საკმაოდ გრძელი სერიის შემდეგ ჩინელის შეტევაც ჩაიფუშა და საბოლოოდ სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილში მხარეები 36-ე სვლაზე დაზავდნენ. ორჯერ მეტი სვლა გაკეთდა მერვე, ბოლო ყაზანურ პარტიაში, რომელშიც სიცილიური დაცვა გათამაშდა. მოჭადრაკეებმა აქაც ფიგურების სწრაფ გაცვლებს მიმართეს და მალე დაფაზე მრავალპაიკიანი ლაზიერების ენდშპილი დაფიქსირდა. გალიამოვამ ერთი კი სცადა სიტუაციის გამწვავება, რისთვისაც პაიკიც გაიღო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა; პირიქით, ნაკლული პაიკით თამაში უკვე მისთვის ხდებოდა სახიფათო, ამიტომ იძულებული შეიქნა, დარჩენილი პაიკებიც უკლებლივ გაეცვალა, რის შემდეგაც ბრძოლის ველს გვირგვინოსანთა გარდა მხოლოდ სიუ ჟუნის ლაზიერი და პაიკი და გალიამოვას ლაზიერი შერჩნენ. ამნაირი ენდშპილი თეორიაში თითქმის ყოველთვის საყაიმოდაა ცნობილი. მიუხედავად ამისა, ჩინელი კიდევ 20-ოდე სვლის მანძილზე დააქროლებდა თავის ლაზიერს დაფის მთელ არეზე, იმ იმედით, იქნებ გალიამოვამ რაიმე სისულელე ჩაიდინოსო. მაგრამ როცა მიხვდა, რომ პირველთანრიგოსანს არ ეთამაშებოდა, 77-ე სვლაზე ყაიმს შეურიგდა. მატჩის ანგარიში 4:4 გახდა.

სიუ ჟუნ — გალიამოვას მატჩი 15 აგვისტოს ჩინურ შენიანში განახლდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

# ლორდები რგოლებს კარგავენ

# ხმა ფულის სანაცვლოდ

## მექრთამეობის პირველი საქმე გაიხსნა

*„დიახ, ჩვენ პრობლემა გვქონდა სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული კორუფციის გამო. მნიშვნელოვანი კრიზისი იყო, მაგრამ სოკ-მა საკმაოდ სწრაფად გადაწყვიტა ეს პრობლემა და ძალიან მკაცრადაც გამოხატა თავისი პოზიცია — თქვა ამ გაზაფხულზე თბილისში სტუმრობისას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა — ამასთან დაკავშირებით სოკ-ის ექვსი წევრი გაირიცხა, ოთხმა თავად დაწერა განცხადება წასვლაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეთაგან ნახევარი ჩვენი აღმასკომის წევრია, ნახევარიც სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტისა.*

*მაგრამ გვსურს, ამ პრობლემას პოზიტიური მხრიდან შევხედოთ. ეს კი ისაა, რომ სწრაფად გამოვავლინეთ ოლიმპიური მოძრაობის ნაკლი და ამას სოკ-ის მომავალი რეკონსტრუქციისას გამოვიყენებთ“.*

*სამარანჩმა კი თქვა, მალე გამოვავლინეთ ოლიმპიური მოძრაობის ნაკლიო, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ფეხმოკიდებული მექრთამეობისა და კორუფციის მორევზე დიდი ხნის წინათ გვაფრთხილებდა ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტი ენდრიუ ჯენინგსი თავის სკანდალურ წიგნში „ხუთი რგოლის ლორდები“.*

*ჯენინგსა და მის წიგნზე ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული სკანდალური ისტორიის ახალ ამბებზე მოგითხრობთ.*



დევიდ სიმონსი კი იცინის, მაგრამ სატირლად უფრო აქვს საქმე — ბიზნესის დაკარგვა და ციხე ელის



1997 წელი. მაშინ კიმ უნ იონგსა და იტალიის ეოკ-ის პრეზიდენტს, იმავდროულად ფეხბურთის ფედერაციის მეთაურსა და ევროპის ეოკ-თა გენერალური მდივნის მარიო პესკანტეს, ხუთი რგოლის ამ ორი ლორდის თავზე უღრუბლო ზეცა იყო, რომელიც შარშან მოიქუფრა. კორეელის შესახებ ამ წერილში მოგახსენეთ, იტალიელზე კი შეგახსენებთ, რომ იგი დოპინგთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვა, რის გამოც თანამდებობებიდან გადადგომა ითხოვა...

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

აშშ-ის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით აგორებული სკანდალის გამო ბრალდება წაუყენა ადგილობრივ საქმოსანს, რომელიც გადასახადების კანონის დარღვევის გამო დამნაშავედ მიიჩნიეს.

საქმოსნის განცხადებით, იგი თანახმაა ითანამშრომლოს გამოძიებასთან და აღიარებს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი წევრის ვაჟიშვილს თავის კომპანიაში უკანონოდ დასაქმებას სთავაზობდა, რითაც აშშ-ში მუდმივი საცხოვრებელი სტატუსის მიღებაში ეხმარებოდა.

მართლმსაჯულების დეპარტამენტმა გამოძიება დეკემბერში დაიწყო მას შემდეგ, რაც გაცხადდა, რომ სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის ორგანიზატორები ზამთრის თამაშების უფლების მოსაპოვებლად სოკ-ის წევრებს ქრთამად აძლევდნენ ფულს, სტიპენდიებს, უნაზღაურებდნენ სამედიცინო მომსახურების ხარჯებს და უძღვნიდნენ უამრავ საჩუქარს.

იმავე დეპარტამეტის ცნობით, ამ სამარცხვინო გარიგებების თანამონაწილეა დევიდ სიმონსიც, რომელიც მიმართავდა მაქინაციებს, ჩქმალავდა ზედნადებს, რათა სოკ-ის დიდმოხელის ვაჟის ხელფასი „სოლტ ლეიკ 2002“-ის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დაფინანსებულიყო.

მსჯავრდებულ სიმონსის თქმით, იმ გავლენიანი ბობოლა სოკ-ელის ვაჟის დასაქმება განპირობებული იყო იმით, რომ „გავლენა მოეხდინა მამამისის ხმაზე, რათა სოლტ ლეიკს 2002 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პატივი რგებოდა“.

სწორედ ამ და ამგვარი გარემოებების გამჟღავნებამ გამოიწვია გარიცხვები და გადადგომები სოკ-შიც და სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშების ორგანიზატორთა შორისაც.

შვილის მტკიცებით, ის მუშაობდა ნიუ ჯერსში „HACKENSACK“-ის კორპორაციაში, რომელიც სამხედრო აღჭურვილობის ექსპორტ — იმპორტიორია.

მართლმსაჯულების დეპარტამენტის წყაროები სოკ-ის იმ ბობოლა წევრად ასახელებენ სამხრეთკორეელ კიმ უნიონგს, ხოლო მის ვაჟიშვილად იუნგ ჰუუნს, რომელიც ამავე დროს ცნობილია როგორც იონ კიმი. მამა — კიმ უნ იონგი სოკ-ის პრეზიდენტის სავარძლის პოსტზე მთავარ კანდიდატად ითვლებოდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ KEYSTONE COMMUNICATIONS-ის თავმჯდომარე სიმონსი 1990 წლის ზაფხულში შეუთანხმდა სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის უცნობ მოხელეს იმის თაობაზე, რომ იონ კიმი KEISTONE-ის ნიუ იორკ სიტის ოფისში დაესაქმებინა და გავლენა მოეხდინა მამამისის ხმაზე სოლტ ლეიკის სასარგებლოდ.

თავის მხრივ KEISTOUNE-მა ის თავის უწყებაში შეიყვანა და წელიწადში თითქმის ორი წლის ვადით 50 000 აშშ დოლარი გასამრჯელო დაუნიშნა, რომელიც შემდგომ 70 000 დოლარამდე გაიზარდა.

KEYSTOUNE-ი, სხვადასხვა ინტრიგების მეშვეობით, მათ შორის საკონსულტაციო და ვიდეო მომსახურებების უგულვებელყოფის ხარჯზე, იუნგ ჰუნისთვის ხელფასს უზრუნველყოფდა.

სასამართლოში სიმონსმა აღიარა ბიზნესისთვის განკუთვნილი თანხიდან „იმ დაქირავებული“ ყმაწვილისთვის ხელფასის უკანონოდ გაცემა და გადასახადების კანონის დარღვევა.

გადასახადის კანონის დარღვევის მუხლი ითვალისწინებს მაქსიმუმ ერთწლიან სასჯელს სატუსაღოში და 10 000-დოლარიან ჯარიმას.

3 აგვისტოს სოლტ ლეიკ სიტის ფედერალური მაგისტრატურის წინაშე სიმონსი წარდგა როგორც დამნაშავე და იმავე დღეს აშშ-ის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა იუტელი საქმოსანი დამნაშავედ სცნო გადასახადების კანონის დარღვევაში, რითაც სოლტ ლეიკ სიტისთან დაკავშირებული მექრთამეობის პირველი საქმე გაიხსნა.

სიმონსი წერილობით განცხადებაში მიუთითებს, იუნგ ჰუუნი სამსახურში სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ტომ უელჩის თხოვნით დავიქირავეო.

„გულწრფელად ვწუხვარ ჩემს საქციელს და ვკისრულობ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ უელჩისა და კიმის მოთხოვნით ფედარალური კანონი დავარღვიე“ — ამბობს სიმონსი.

ძიებამ გამოააშკარავა უმთავრესი ბრალდება — სკანდალი, რომლის ცენტრში მოექცნენ უელჩი და საორგანიზაციო კომიტეტის მეორე ოფიციალური პირი ტომ ჯონსი ბრალდებით „ხმა ფულის სანაცვლოდ“.

უელჩმა, რომელიც წარმატებით ხელმძღვანელობდა ადგილობრივ ოლიმპიურ კომიტეტს და იუტას შტატს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლებაც მოუპოვა, თავი იმართლა, ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალურმა პირებმა იცოდნენ, რასაც ვაკეთებდიო.

სოლტ ლეიკის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თებერვლის სპეციალურ პრეს-ბიულეტენში ნათქვამია, რომ საორგანიზაციო კომიტეტის წევრები თამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვებაში იმდენად იყვნენ დახელოვნებულები, რომ სოკ-ის დელეგატებს თავზე აყრიდნენ ფულსა თუ მფირფას საჩუქრებს და ისინი „სუპერ ბოულზეც“ კი წაიყვანესო.

როგორც ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, ამ სკანდალურ ისტორიასთან დაკავშირებით თავად სოკ-იც ატარებდა გამოძიებას, რის გამოც რამდენიმე დელეგატს წითელ-ყვითელი ბარათები აუფრიალეს, თანამდებობები დაატოვებინეს და ოლიმპიური რგოლებიც დააკარგვინეს, მაგრამ, როგორც ვთქვით, ენდრიუ ჯენინგსი ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების ქრთამით მოპოვების ჩვეულებაზე და სოკ-ში მომძლავრებული კორუფციის შესახებ დიდი ხნის წინათ გვაფრთხილებდა.

ჯენინგსი მრავალი დოკუმენტური ფილმისა თუ წიგნის ავტორია — იგი არის ამ სფეროებში მრავალი საერთაშორისო პრემიების მფლობელი. მისმა სკანდალურმა წიგნმა „ხუთი რგოლის ლორდები“, რომელიც თორმეტ ენაზე ითარგმნა, მსოფლიო გამოხმაურება ჰპოვა. ჯენინგსი — ბრიტანეთის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო საბჭოს წევრი — სტუდენტებისა და სწავლულებისთვის მთელს მსოფლიოში კითხულობს ლექციებს.

შარშაწინ დანიაში სპორტულ ჟურნალისტთა სემინარებზე ყოფნისას ენდრიუ ჯენინგსმა ჩვენც წაგვიკითხა ლექცია, რომელიც სპორტში ფესვგადგმულ კორუფციას ეძღვნებოდა და იქვე მოგვიწოდა, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მოპოვებისთვის არაკეთილსინდისიერი ბრძოლისა და სოკ-ში განვითარებული კორუფციის წინააღმდეგ ხმა აღგვემაღლებინა.

ამასთან, მან ამ თემაზე საინტერესო ლექციაც წაგვიკითხა და მოგვეცა საშუალება გავცნობოდით მის წიგნს „ხუთი რგოლის ლორდები“. იმ წიგნში საუბარია დღევანდელი ჩვენი წერილის ერთ-ერთ გმირზე, დოქტორ უნ იონგ კიმზე, ვისაც წლეულს სოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დაატოვებინეს. აი, ის ფრაგმენტიც:

*„თუ ვაშინგტონში კაპიტოლ ჰილის არქივში ჩემსავით დაიწყებთ ქექვას, მაშინ თქვენც შეგეძლებათ გაიგოთ სიმართლე სოკ-ის წევრ სამხრეთ კორეელ დოქტორ უნ იონგ კიმის შესახებ, რომელიც მეტოქეობას უწევს ბებერ ფაშისტ სამარანჩს, რათა მისი ადგილი დაიკავოს (სხვათა შორის, 1994 წელს ლოზანაში შვეიცარიის სასამართლომ ჯენინგს 5-დღიანი პატიმრობის განაჩენი გამოუტანა. მას შემდეგ, რაც სოკ-ის პრეზიდენტმა ჟურნალისტს უჩივლა. ჯენინგსის თქმით, ეს განაჩენი მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო იყო. გ.გ.)*

*დოქტორი კიმი ტაეკვანდოს მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტიც გახლავთ, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. იგი მსოფლიო ტაეკვანდოს ფედერაციის პრეზიდენტად 1972 წელს დაინიშნა პირსისხლიანი გენერლების ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ, რომელიც შემდეგ კორეის დიქტატორი გახდა. არის სხვა ტაეკვანდოს ფედერაციებიც, მაგრამ მხოლოდ დოქტორ კიმის ფედერაცია სცნო სოკ-ის პრეზიდენტმა სამარანჩმა, ალბათ იმიტომ, რომ ისიც ისეთივე უკვდავი ფაშისტია, როგორც სოკ-ის პრეზიდენტი.*

*კაპიტოლ ჰილის ფაილებში ინახება 1976 წლის კორეა გეითის გამოძიების მასალებიც. აშშ-ის კონგრესმა ფედერალური საგამოძიებო ბიუროსა და ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დახმარებით გამოიძია უტყუარი სამხილი, რომ კორეელი დიპლომატები სისტემატიურად აძლევდნენ ქრთამს ამერიკელ პოლიტიკოსებს.*

*არქივებში ინახება ფაქტები, რომლებიც ამხელენ, რომ დოქტორი კიმი იყო ასისტენტ-დირექტორი კორეის ცენტრალური სადაზვერო სამსახურისა, რომელიც განგსტერთა კომპანიაა. მისი წევრები სამხედრო რეჟიმისას ხოცავდნენ მოწინააღმდეგეებს ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ — კორეაში, ევროპასა და ამერიკაში.*

*დოქტორი კიმი აგრეთვე ცდილობდა ქრთამი მოეთხოვა ამერიკული კომპანიებისაგან, რომელთაც კორეაში ბიზნესის წარმოება სურდათ.*

*დოქტორი კიმი ახლა სოკ-ის წამყვანი წევრია და ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე მე გამაოცა იმ ფაქტმა, რომ წამყვანი ამერიკელი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და ტელებოსები ხელს ართმევდნენ კაცს, რომელიც ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ძირი გამოეთხარა მათი დემოკრატიული სისტემისთვის. აი, ეს არის სამოქალაქო ცხოვრებაში დიდი ფულის ძალაუფლება პატიოსნებასა და სიმართლეზე“*

**გიგა გურასაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

**ტოტენჰემი 3:1 ნიუკასლი**

0:1 სოლანო (17), 1:1 ივერსენი (29), 2:1 ფერდინანდი (45), 3:1 შერვუდი (62)

## შვედეთი

**ელფსბორგი 2:1 ნორჩიოპინგი**

**იორგრიტე 0:1 იურგარდენი**

**მალმიო 2:0 ჰამარბი**

## გერმანია

**თასის II ეტაპი**

**ზაარბრიუკენი 0:1 შალკე**

## ჩეხეთი

**დრნოვიცე 2:0 ბრნო**

## დანია

**ესბერგი 1:1 ვეილე**

## კასპაროვი — მსოფლიო






1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4




# ჩიტი გვრიტი...

ჰოდა, მიეპარა მასპინძელი გუნდის „ბალტიმორ ორიოლზის“ თილისმა-ჩიტი სტუმარი გუნდის „დეტროიტ ტაიგერზის“ მოთამაშეს ქარიმ გარსიას, ვითომცდა ფოტოს გადასაღებად. ჰოდა, დააჩხაკუნა და აპარატიდან გამოვარდა წვრილი თოკი, რომელიც ბეისბოლისტს შემოეხვია. ჰოდა, ადგა გარსია და მთელი ბიდონი ცივი წყალი დაათხლიშა თავზე იმ საწყალ ჩიტსა, მაშ!



# ელვა-დეპეშა

მოსკოვი ტჩკ კრემლი ტჩკ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ელცინს

ბორის ნიკოლაევიჩ, სანამ თქვენ საქართველოს მთიანეთზე ფიქრობთ, თქვენს ცხვირწინ მოსკვა რეკაზე გაიმართა საწყლოსნო ფორმულა ერთის გრან პრი ნატოს წევრი ქვეყნების პილოტთა მონაწილეობით ტჩკ გაიმარჯვა ამერიკელმა სკოტ გილმენმა ტჩკ მაცხოვრის ტაძრის წინ გადაღებულ ამ ფოტოს გიგზავნით საბუთად ტჩკ

**კეთილისმსურველი**



# დილემა

თქვენ როგორ მოიქცეოდით? აი, მაგალითად, ჩოგბურთის ვარსკვლავი ანდრე აგასი მონრეალის ტურნირზე ყოფნის დროს არ დაიბნა და ვარჯიშის შემდეგ მხიარულად გაესაუბრა ინვალიდ კოლეგებს, მარიო პერონსა (მარცხნივ) და რიკ მოლიეს. ფოტოს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი ტექნიკის სრულყოფაზე უნდა საუბრობდნენ, მაგრამ... არა მგონია, აგასი შეცოდების ტონით ესაუბრებოდეს — ეს დაუშვებელია — არადა, მიჯაჭვული კაცისთვის ჩოგბურთის ნიუანსების სწავლება იქნებ შავ იუმორადაც ჩამოგართვას ვინმემ. ამიტომაც გეკითხებით, თქვენ როგორ მოიქცეოდით-მეთქი.



# ამოცანა გვეკითხება

A და B პუნქტებს შორის მანძილი 120 კილომეტრია. მანქანამ ეს მანძილი 65 კმ/სთ-ის სიჩქარით გაიარა. ამოცანა გვეკითხება, რამდენი წლის არის შუა გზაზე მდგომი ინსპექტორი? — ეს გახლავთ ბავშვობის დროინდელი და საკმაოდ სულელური ხუმრობა.

ახლა ეს: რონალდო იაპონელი ბავშვების გარემოცვაშია, რაღაც პლაკატი აღუმართავს და თან აცხადებს, სანამ ტოკიოში ვარ, ფეხბურთზე ერთ სიტყვასაც არ ვიტყვიო. მეორე ფოტოზე კი იგი და მისი თანამემამულე მილენე დომინგუში სუზანა ვერნერის გულის გასახეთქად ხელიხელგადახვეულნი დასეირნობენ ჰონკონგის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ტიმოთი ფოკის ეზოში და სადილს ელიან. ამოცანა გვეკითხება, რა შუაშია აქ მაჯის საათი?

პასუხი: მაჯის საათი იმ შუაშია, რომ რონალდო (დომინგუშიც) ერთ-ერთი შვეიცარიული ფირმის ნაწარმის პრომოუტერია და შორეულ აღმოსავლეთში კომერციული მისიითაა გაგზავნილი.



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli